# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

22 მაისი **სამშაბათი** 2012 **№119(13725)** ფასი 80 თეთრი


## ნიკოლოზ I

### ცქიტიშვილი ირანის ჩემპიონია



12

# ალმასკომმა წითლად ამოკანრა: ესტაფეტი





2

## ქუთაისი მესამეა ზედიზედ მეორედ



12

## ბუბა ტყავაძე

# გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ

“მეტალურგი” საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. ამის შესახებ “ლელოს” რუსთავის “მეტალურგის” მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ** უთხრა. გუშინ იგი ფედერაციაში ალმასკომის დასრულებიდან მცირე ხნის შემდეგ მივიდა.

*“ჩვენი პოზიცია ცალსახაა – ალმასკომის გადაწყვეტილებას უსამართლოდ მივიჩნევთ და მის გაპროტესტებას ვაპირებთ. ჩვენი იურისტები ამ საკითხზე უკვე მუშაობენ.*

*ფეხბურთის ფედერაციაში ვნახე ზვიად სიჭინავა და მას ალმასკომის სხდომის ოქმი ვთხოვე. მითხრეს, რომ მას მხოლოდ მეორე დღეს გადმომცემდნენ. ხვალ (დღეს, რედ.) გავეცნობით ამ ოქმს და ამის შემდეგ უფრო დეტალურად შემეძლება იმაზე საუბარი, თუ სად და როგორ ვაპირებთ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას”*, - გვითხრა ტყავაძემ.

ჩვენ კი ვაპირებთ “ლელოს” ხვალინდელ ნომერში მისი ინტერვიუ შემოგთავაზოთ და “მეტალურგის” პოზიცია უფრო ვრცლად დავაფიქსიროთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



დიდიე დროგბა





7

## ფინალის უცნობი დეტალები

### პენალტის დარტყმა არავის უნდოდა!

9

## პლეი აუტიდან თამაშში: ჩიხურა, ბათუმი, სიონი და ვიტ ჯორჯია



4

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

სპარტაკი-ბათუმი; ინციდენტები მოედანზეც იყო და ტრიბუნაზეც

## ჰერტა გავარდა

### კობის ამბავი მალე გაირკვევა



9

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა

# ჩემპიონი ზესტაფონია!

## უმაღლესი ლიგის პლეი ოფი გუშინ ფედერაციაში დასრულდა

საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფი გუშინწინ დასრულდა, ჩემპიონი კი გუშინ გაირკვა – ასეთი რამ ალბათ, მხოლოდ საქართველოში შეიძლებოდა მომხდარიყო. გუშინწინ ჩემპიონობა "ზესტაფონმაც" იზეიმა და "მეტალურგმაც", ხოლო რომელი მათგანის ზეიმი აღმოჩნდებოდა უსაფუძვლო, ეს გუშინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის საგანგებო სხდომაზე უნდა გარკვეულიყო.

უმაღლესი ლიგის დასრულებამდე მცირე ხნით ადრე იმედი გამოვთქვით, რომ "ზესტაფონი" და "მეტალურგი" სეზონს ქულათა თანაბარი რაოდენობით არ დაასრულებდნენ. თუმცა სწორედ ასე მოხდა და მეტისმეტად უსიამოვნო სიტუაციას მაინც ვერ ავცდით - საქართველოს ჩემპიონი საფეხბურთო მოედანზე კი არა, აღმასკომზე გამოვლინდა.

ბოლო დროს ფედერაციის ხელმძღვანელები თუ სხვა პასუხისმგებელი პირები აცხადებდნენ, რომ ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში ჩემპიონი "მეტალურგი" გახდებოდა. სფფ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ცხრილშიც პირველ ადგილზე "მეტალურგი" ეწერა, მაგრამ აღმასკომმა ხანგრძლივი თათბირის შემდეგ საქართველოს ჩემპიონად „ზესტაფონი" გამოაცხადა.

ჩემპიონის საკითხი კი სადავო იმიტომ გახდა, რომ საქართველოს ჩემპიონატის დებულების მიხედვით, თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა იმ გუნდს ენიჭება, რომელსაც გამარჯვებათა მეტი რაოდენობა აქვს. ზესტაფონელებს მთლიან ჩემპიონატში აღმოაჩნდათ მეტი მოგება, რუსთაველებმა კი კონკურენტს ამ მაჩვენებლით რვა საუკეთესო გუნდში მოპოვებული გამარჯვებათა რაოდენობით აჯობეს.

დებულებაში გარკვევით ვკითხულობთ, რომ უპირატესობა ენიჭება ჩემპიონატში მეტი მოგების მქონე გუნდს და იმავე პუნქტში არსად იყო ნახსენები პლეი ოფი ან რვა საუკეთესო გუნდი. სწორედ ამიტომ, „ზესტაფონი" ითხოვდა, რომ სფფ-ს ამ ტერმინით ეხელმძღვანელა. თავის მხრივ "მეტალურგი" 15 მარტს, პლეი ოფის სტარტზე ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტიდან კლუბებში დაგზავნილი განმარტების წერილის გათვალისწინებას ითხოვდა. როგორც გახსოვთ, ამ წერილში ეწერა, რომ მეტი მოგება ზედა რვა გუნდს შორის იგულისხმებოდა. "ზესტაფონის" კონტრარგუმენტი კი ის იყო, რომ აღმასკომის მიერ დამტკიცებული დებულება ამ წერილით ვერ შეიცვლებოდა და აღმასკომზე დამტკიცების გარეშე მას არავითარი იურიდიული ძალა არ ჰქონდა.

აღმასკომის სხდომა დაახლოებით 12 საათსა და 30 წუთზე დაიწყო და ორ საათზე მეტხანს გასტანა. აღსანიშნავია, რომ მანამდე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში იმყოფებოდა, სადაც მინისტრ **ლადო ვარძელაშვილთან** ჰქონდა საქმიანი შეხვედრა. აღმასკომის სხდომა მხოლოდ საწყისი ათი წუთის განმავლობაში იყო ღია, რის შემდეგაც საკითხის განხილვა დახურულ კარს მიღმა გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ სხდომას კლუბების წარმომადგენლები არ დასწრებიან და, შესაბამისად, ატმოსფერო ნერვიული და ემოციური არ ყოფილა.

აღმასკომის სხდომის დასრულებისთანავე მედიას დარბაზში უხმეს და მიღებული გადაწყვეტილებები ზვიად სიჭინავამ გამოაცხადა.

**- საქართველოს ჩემპიონად გამოცხადდა "ზესტაფონი", რადგანაც აღმასკომმა დაასკვნა, რომ დებულებაში ნახსენები სიტყვა "ჩემპიონატი" გულისხმობს მთელ ჩემპიონატს და არა მის რომელიმე სტადიას;**

**- აღმასკომმა მკაცრად გააფრთხილა "ზესტაფონის" პრეზიდენტი ილია კოკაია. სიჭინავას განცხადებით, თუ იგი ფეხბურთის ფედერაციასთან ულტიმატუმის ენით საუბარს განაგრძობს, "ზესტაფონი" ჩემპიონატიდან მოიხსნება;**

**- აღმასკომის გადაწყვეტილებით, ილია კოკაიამ აღმასკომს ერთი კვირის განმავლობაში უნდა წარუდგინოს ის ფაქტები, რომლებზეც თავად ისაუბრა. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ "ზესტაფონის" პრეზიდენტმა პრესკონფერენციაზე ღიად განაცხადა, რომ მარტვილის "მერანისა" და რუსთავის "მეტალურგის" მატჩი გარიგებული იყო. კოკაიამ იქვე თქვა, რომ ამის შესახებ უტყუარი ფაქტები აქვს.**

სიჭინავას განცხადებით, აღმასკომმა იურისტებთან კონსულტაციები გაიარა და ზემოთ ნახსენები სამივე საკითხის თაობაზე სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

აღმასკომის სხდომის მთავარი საკითხი, რა თქმა უნდა, ჩემპიონის დასახელება იყო, თუმცა აღმასკომის წევრები სხვა საჭირბოროტო საკითხებსაც შეეხნენ. მათ შორის განსაკუთრებულია გარიგებული მატჩები. კოკაიას მიერ დასახელებული "მერანი"-"მეტალურგის" შეხვედრა უფრო დეტალურად, შესაძლოა, უახლოეს აღმასკომზე ან 5 ივნისს დანიშნულ ყრილობაზეც გაარჩიონ – ეს იმ შემთხვევაში, თუ "ზესტაფონის" პრეზიდენტი დაპირებულ მტკიცებულებებს წარმოადგენს. თუ ასე მოხდა, საქმეში სამართალდამცავი ორგანოებიც ჩაერთვებიან, ხოლო თუ კოკაიამ ფაქტები ვერ წარმოადგინა, მას ალბათ, ნახსენები კლუბების მიმართ ბოდიშის მოხდას მოსთხოვენ.

მოკლედ, საინტერესო ამბები გველის და ნუ გამოვრიცხავთ, რომ სულ მალე საჩემპიონო დავაზე უფრო ხმაურიანი თემები ამოტივტივდეს.



ჩემპიონატი კი დასრულდა, დებულების თანახმად ტიტული "ზესტაფონს" მიეკუთვნა, მაგრამ ამით პრობლემა უმტკივნეულოდ ვერ გადაიჭრა. ვის სასარგებლოდაც უნდა დასრულებულიყო ეს დავა, უსიამოვნო ვითარებას მაინც ვერ გავექცეოდით. "მეტალურგის" ფეხბურთელებისა თუ გულშემატკივრების გულისტკივილის გაზიარებაც აუცილებელია – მათ ხომ ფეხბურთის ფედერაცია ეუბნებოდა, რომ ლიდერები იყვნენ და სწორედ ამიტომ, ჩემპიონობაც იზეიმეს...

პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ შექმნილ ვითარებაში ბრალი ფეხბურთის ფედერაციას მიუძღვის, რომელმაც დებულების შედგენისა და განსაკუთრებით, მისი განმარტებისას შეცდომა დაუშვა. ეს ისეთი შეცდომაა, რომელსაც უმტკივნეულოდ ველარ გამოასწორებ. ამ საქმეს ბოდიში არ უშველის, მაგრამ მაინც არ იქნებოდა ურიგო, სფფ-მ მომხდარის გამო პასუხისმგებლობა იგრძნოს, საკუთარი შეცდომა აღიაროს და კლუბებსაც და საფეხბურთო სამყაროსაც ამ სრულიად არასაჭირო და არაფრის მომცემი დავიდარაბის წარმოქმნისთვის მოუბოდიშოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები



### საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომის ოქმი №11

ქ. თბილისი
სფფ-ს საკონფერენციო დარბაზი
21 მაისი, 2012 წ.

ესწრებოდნენ: დ. სიჭინავა, ა. ჩივაძე, გ. ფირცხალავა, ვ. ვარძელაშვილი, გ. ასანიძე, მ. ანჯაფარიძე, გ. როსტომაშვილი, გ. ცაავა, ს. კვარაცხელია, გ. რევაზიშვილი, კ. ებრალიძე, გ. მაისურაძე, ს. გაბელაია, ლ. მინდელი.

დღის წესრიგი

1. საქართველოს XXIII ეროვნულ ჩემპიონატში შექმნილი მდგომარეობის შესახებ;

2. სხვადასხვა.

1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა განიხილა საქართველოს XXIII ეროვნულ ჩემპიონატში შექმნილი სიტუაცია, რომელშიც ს.კ. „ზესტაფონმა" და რუსთავის „მეტალურგმა" დააგროვეს თანაბარი ქულები.

საქართველოს 2011-12 წ.წ. XXIII ეროვნული ჩემპიონატის დებულების 3.3 მუხლის თანახმად პირველ ეტაპზე უმაღლეს ლიგაში 1-8 ადგილზე გასული გუნდები, ერთმანეთთან ნათამაშევ მატჩებში დაგროვილი ქულებით (ბურთებით) ორ წრედ გააგრძელებენ ბრძოლას საჩემპიონო პლე-ოფში, ამავე დროს დებულების 4.4 მუხლის შესაბამისად უმაღლეს, პირველ და დუბლების ჩემპიონატში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:

4.4.1. ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;

და ა.შ.

ამასთან ერთად მეორე ეტაპის დაწყების წინ სფფ-ს საშეჯიბრო განყოფილების მიერ უმაღლესი ლიგის კლუბებისადმი განმარტების სახით გაგზანილ წერილში აღნიშნულია, რომ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა 1-8 ადგილების საბოლოო ცხრილის შედეგების შესაბამისად ჩემპიონატის დებულების 4.4.1. და ა.შ. მუხლების მიხედვით. აქედან გამომდინარე სფფ-ს აღმასკომმა ხმათა უმრავლესობით (13 თანახმა, 1-წინააღმდეგი)

დაადგინა: 1.1. საქართველოს 2011-12 წლების XXIII ეროვნული ჩემპიონატის დებულების 4.4.1. მუხლის შესაბამისად საქართველოს 2011-12 წლების ჩემპიონად გამოცხადდეს ზესტაფონის „ზესტაფონი", რადგან ჩემპიონატის განმავლობაში „ზესტაფონმა" მოიგო 24 მატჩი, ხოლო „მეტალურგმა" - 19 მატჩი.

2. ბოლო ხანებში ს.კ. „ზესტაფონის" პრეზიდენტის ილია კოკაიას მხრიდან ადგილი ჰქონდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ ულტიმატუმის ენით საჯარო გამოსვლებს. ამასთან დაკავშირებით სფფ-ს აღმასკომმა დაადგინა: 2.1. სფფ-ს მიმართ ულტიმატუმების ენით საჯარო გამოსვლებისათვის გაფრთხილებულ იქნეს ს.კ. „ზესტაფონის" პრეზიდენტი ილია კოკაია. მომავალში მსგავსი ულტიმატუმების ენით საჯარო გამოსვლებისათვის ს.კ. „ზესტაფონის" მიმართ სფფ-ს მხრიდან გატარდეს უმკაცრესი ზომები, მათ შორის ჩემპიონატიდან მოხსნაც.

2.2. ნებისმიერი კლუბის ოფიციალური პირების მხრიდან სფფ-ს მიმართ ულტიმატუმების წაყენების შემთხვევაში, სფფ-ს მხრიდან კლუბების მიმართ გატარდეს უმკაცრესი ზომები, მათ შორის ჩემპიონატიდან მოხსნაც.

3. ს.კ. „ზესტაფონის" პრეზიდენტმა ილია კოკაიამ საჯაროდ განაცხადა, რომ იგი ფლობს ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ ს.კ. მარტვილის „მერანისა" და რუსთავის „მეტალურგის" 2012 წლის 2 მაისის მატჩი ჩაწყობილი იყო. ამასთან დაკავშირებით სფფ-ს აღმასკომმა დაადგინა: 3.1. დაევალოს ს.კ. „ზესტაფონის" პრეზიდენტ ილია კოკაიას ერთი კვირის განმავლობაში სფფ-ს აღმასკომს წარუდგინოს ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

სფფ-ის გენერალური სამდივნო

● U21, U19. პრესკონფერენცია

# ალექსანდრე ჩივაძე:
# სჯობს, მომავალზე ვიფიქროთ

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ალექსანდრე ჩივაძის** დებიუტი 1-ელ ივნისს მინსკში შედგება: ჩვენი გუნდი ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს ბელარუს თანატოლებთან. ამის მერე ქართული დელეგაცია ტალინში გადაინაცვლებს, სადაც 5 ივნისს ესტონელებთან ოფიციალური შეხვედრა გველოდება.

გუშინ ალექსანდრე ჩივაძე მედიას შეხვდა და მოსამზადებელ ეტაპის გეგმებზე ელაპარაკა:

- ეროვნულ ნაკრებს ავსტრიაში გავყვები და 24 მაისს თურქეთთან ამხანაგურ შეხვედრას დავესწრები. მიზეზი ისაა, რომ თემურ ქეცბაიამ ეროვნულში ახალგაზრდული ნაკრების ხუთი კანდიდატი გამოიძახა – საბა კვირკველია, ნიკა ძალამიძე, ლევან ყენია, თორნიკე ოქრიაშვილი და ლევან მჭედლიძე. შესაძლოა, ისინი ბელარუსსა და ესტონეთთან დავიმატოთ.

ავსტრიის შემდეგ კი ხორვატიაში გავემგზავრები და ჩვენი 19-წლამდელების მატჩებს დავესწრები, რადგან რამდენიმე კანდიდატი ოთარ კორღალიძის გუნდშიც გვყავს.

ახალგაზრდულის შეკრება კი თბილისში, 24 მაისს დაიწყება. ჩემს არყოფნაში გუნდს ზაურ სვანაძე, გელა ინალიშვილი და დავით გვარამაძე გაწვრთნიან. საქართველოს ჩემპიონატში დასაქმებული ფეხბურთელები პირველივე დღიდან იქნებიან, ეროვნულის ხუთ მოთამაშეს 27 მაისს ველით, სრული შემადგენლობით კი 31 მაისს მინსკში შევიკრიბებით, სადაც 19-წლამდელების ფეხბურთელებიც დაგვემატებიან.

**- ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად არის?**

- საბედნიეროდ, ჯანმრთელად არიან და იმედია, ესტონეთს საბრძოლო შემადგენლობით ვესტუმრებით.

**- როგორც ადრე ბრძანეთ, აქცენტს შემადგენლობის გაახალგაზრდავებაზე გააკეთებთ.**



ალექსანდრე ჩივაძე

- ჯგუფში 3 ქულით ბოლოსწინა ადგილზე ვიმყოფებით და მხოლოდ ესტონეთს ვუსწრებთ. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა მიუღწეველი ჩანს. ამიტომ, შესარჩევ ეტაპის დარჩენილ მატჩებს გუნდის შესათამაშებლად გამოვიყენებ. გაფართოებულ 30-კაციან სიაში აქცენტი 1992 წელს და შემდეგ დაბადებულებზე გავაკეთე. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ წინა თაობის საუკეთესო მოთამაშეებზე უარს ვამბობთ.

**- რა ხდება "აუსბურგის" ნახევარმცველ აკაკი გოგიასთან დაკავშირებით: ბოლოს და ბოლოს, სურს თუ არა საქართველოს ნაკრებში თამაში?**

- გოგიას მოწვევა მსურდა, ახლა მოლაპარაკება მიმდინარეობს.

**- შევიტყვეთ, რომ კიევის „ობოლონის" ნახევარმცველს, ირაკლი მესხიას დაუკავშირდით.**

- დიახ, ველაპარაკე და ირაკლიმ მითხრა, რომ მზადაა, საქართველოს ნაკრებში ითამაშოს. მაგრამ საქმეში ნახვა ახლა ვერ ხერხდება, რადგან მაისის ბოლოს უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრებს ელიტრაუნდში დაეხმარება.

შეგახსენებთ, რომ ესტონეთთან გასვლითი შეხვედრის შემდეგ, ქართველი ახალგაზრდები შესარჩევ ციკლში ორ საშინაო შეხვედრას ჩაატარებენ: 15 აგვისტოს ხორვატიას უმასპინძლებენ, 6 სექტემბერს კი - ესტონეთს.

**მერაბ მამულაშვილი**

● საკლუბო ინფრასტრუქტურა



# სასტუმროც, ტრიბუნაც, მოედნებიც...

საფეხბურთო კლუბი 'ზესტაფონი" უკვე მესამე წელიწადია საკმაოდ შთამბეჭდავ პროექტს ახორციელებს. იმერლები ბაზას აშენებენ, თანაც ეტაპობრივად და იქ მისული ადამიანი, გულგრილი ვერ დარჩება იმ მოედნებით, რომლებიც უკვე ექსპლუატაციაშია. პირდაპირ რომ ვთქვათ, „ზესტაფონს" ბაზაზე ორი სრულფასოვანი ბუნებრივსაფრიანი მოედანი აქვს და ნებისმიერი უმაღლესი ლიგის გუნდს უნდა შეშურდეს, იმდენად მაღალი ხარისხის საფარია ორივე მოედანზე.

პირველი მინდორი ექსპლუატაციაში 2010 წლის 23 ნოემბერს ჩადგა მწყობრში, სადაც ამ მომენტისთვის გუნდის დუბლშემადგენლობა ვარჯიშობს. უკვე ამოქმედდა და სწორედ პირველ მოედანზე უკეთესი ხარისხის ეს მეორე მოედანი წარუდგინა მედიას კლუბის ხელმძღვანელობამ. როგორც კლუბის პრესსამსახურის ხელმძღვანელი **სერგო ფუტკარაძე** განმარტავს, პირველი მოედნისგან განსხვავებით, მეორე შედარებით გვიან ამოქმედდა, რამაც ბალახს საშუალება მისცა მოძლიერებულიყო.

„პრაქტიკამ მოგვცა სწავლის საშუალება და მეორე მოედანზე, სანამ ბალახი არ მომაგრდა, გუნდი არ შესულა, მინდორი შემოდგომაზე დაიგო და მთელი ზამთარი „ისვენებდა". დიდი გუნდი სწორედ მეორე მოედანზე ვარჯიშობს".

პირველი მოედნის გვერდით სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც სამსართულიანი იქნება და ყველა დამხმარე შენობა-ნაგებობას მოიცავს. აქ განთავსდება სამრეცხაო, საკუჭნაო, თეორიული მეცადინეობის ოთახები. მოკლედ, ყველაფერი გაკეთდება გუნდის სრული ფუნქციონირებისთვის. მესამე სართულზე 65-ადგილიან სასტუმროს ორი გუნდის მასპინძლობა შეეძლება.

როგორც ფუტკარაძე ამბობს, შენობის ჩონჩხი და კარკასი, აგვისტოს შუა რიცხვებში უკვე დასრულდება,

„გეგმის მიხედვით კარკასი აქამდეც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ამინდებმა შეგვიშალა ხელი. აგვისტოსშივე დაიწყება კოსმეტიკური რემონტი. მოსაპირკეთებელი სამუშაოები რამდენიმე თვეს გასტანს და სეზონის მეორე ნახევარს უკვე აქ შეხვდება გუნდი".

გარდა სასტუმროსი, ბაზას ექნება სატრენაჟორო დარბაზი და ჩოგბურთის კორტები, მეორე მოედნის გვერდით კი 300 კაცზე გათვლილი ტრიბუნა შენდება, რომელიც, როგორც კლუბში განმარტავენ, მეტსაც დაიტევს. ტრიბუნის ძირში სწრაფი კვების ობიექტები განთავსდება.

გარდა ორი მზა მოედნისა, ბაზაზე კიდევ ერთი მინდორია, რომელის საფარი ჯერ დაგებული არ არის. სერგო ფუტკარაძის თქმით, მესამე მოედანზე კლუბს ექსპერიმენტის ჩატარება სურს — ბალახის მოსამარაგებელი მეურნეობის მოწყობას გეგმავს. "საცდელი ბალახი პირველი მინდვრის გვერდით გვაქვს დათესილი და საბოლოო გადაწყვეტილებას შედეგის მიხედვით მივიღებთ. გვინდა, რომ ხარისხიანად გაკეთდეს ყველაფერი", — ამბობს სერგო ფუტკარაძე.

**მაგდა კლდიაშვილი**

# ოთარ კორღალიძე:
# მთავარია, მსაჯებს საბაბი არ მივცეთ

ქართველ გულშემატკივარს 25 მაისიდან მორიგი ვნებათაღელვა ელის: საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ხორვატიაში ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდის მატჩებში ფინალურ ეტაპზე გასვლას შეეცდება. ოთარ კორღალიძის გაწვრთნილი გუნდის მეტოქეები მასპინძელი ხორვატია, ავსტრია და ბოსნია იქნებიან.

გუშინ ეროვნული ნაკრების საწვრთნელ ცენტრ "ბასაში" ოთარ კორღალიძემ პრესკონფერენცია გამართა და ნაკრების შემადგენლობა გამოაცხადა.

- გუნდში საბრძოლო განწყობაა და ეს ძალიან მახარებს. 14 მაისიდან ლეგიონერების გარეშე ვემზადებით. დროულად მხოლოდ "იაგელონიას" ნახევარმცველი მერაბ გიგაური ჩამოვიდა. სამწუხაროდ, ხორვატიაში შემოგვიერთდებიან ვაკო ყაზაიშვილი, გიორგი ჭანტურია და დავით სხირტლაძე, რომლებიც კლუბებმა შეკრებაზე არ გამოუშვეს. ვიტესელები 22 მაისიდან ჩვენთან ივარჯიშებენ და მათი დაგვიანება ნაკლებ პრობლემას გვიქმნის, მაგრამ სხირტლაძე 23 მაისს თამაშობს, 24-ში ჩამოდის და ფაქტობრივად, ჩვენთან ერთად ტურნირამდე ვერ ივარჯიშებს. ცხადია, ეს ძალიან არასასურველია.

შემადგენლობის მონახაზი ისედაც ცნობილი იყო, მაგრამ შეკრებაზე თითოეულ მოთამაშეზე უფრო დეტალურად დაკვირვება მსურდა. ჩვენ შეცდომის უფლება არ გვაქვს და ნიჭიერი მოთამაშე არ უნდა გამოგვეპაროს.

**- დინამოელი სანდრო რეხვიაშვილი ვერ დაგეხმარებათ?**

- სამწუხაროდ, ასეა. მას ისეთი ტრავმა ჰქონდა, რომლის მორჩენასაც დრო სჭირდება. 18-კაციანი განაცხადი კი ისედაც არასაკმარისია. ღმერთმა არ ქნას, ვინმემ ორი ყვითელი ბარათი რომ მიიღოს, პრობლემა შეიქმნება. ასეთ პირობებში, ტრავმირებული ფეხბურთელის წაყვანა გაუმართლებელია. მანამდე ტრავმის გამო დათა ხოჭოლავა დაგვაკლდა და ორივეზე გული მწყდება, რადგან საჭირო მოთამაშეები არიან.

**- სხვა ყველა ჯანმრთელად არის?**

- დავით გელაშვილმა ვარჯიშზე მცირე ტრავმა მიიღო, მაგრამ საშიში არაფერია.

**- მეტოქეთა თამაშები თუ ნახეთ?**

- რა თქმა უნდა. მაგრამ ავსტრიელების მხოლოდ ერთი მატჩი ვნახეთ, ბოსნიელების კი - ორი. ეს უკანასკნელი საკმაოდ ტექნიკურ და გამართულ ფეხბურთს აჩვენებს. აბსოლუტურად სხვა გუნდია ხორვატია, რომელიც ძალიან ხისტი, შეიძლება ითქვას, უხეში გუნდია. მეტოქეთა საფუძვლიანი ანალიზი გავაკეთეთ, მაგრამ დარჩენილ დღეებში ამ შეხვედრებს კიდევ ვნახავთ, რაიმე რომ არ გამოგვეპაროს.

**- ხორვატიაში ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გიორგი დევდარიანი მოგყვებათ?**

- მას თავისი საქმეები აქვს და წამოსვლაზე არაფერი უთქვამს.

**- მოწინააღმდეგე გუნდის ბევრი ფეხბურთელი თავის ქვეყნის გუნდების ძირითად შემადგენლობაში თამაშობს. ჩვენთან ასეთი თითებზე ჩამოსათვლელია - ეს პრობლემას არ გიქმნით?**

- ცხადია, ეს პრობლემაა, მაგრამ ბევრი ფეხბურთელი დუბლშემადგენლობაში გამოდის და ესეც კარგია. მთავარია, რომ თამაშობენ და სკამზე არ სხედან.

**- მსაჯები ჩვენნაირ ქვეყნებს გრანდებთან მატჩებისას ყოველთვის ჩაგრავენ. 17-წლამდელების ჰოლანდიასთან შეხვედრამ ეს კიდევ ერთხელ გამოაჩინა. საამისოდ ბიჭები ფსიქოლოგიურად შეამზადეთ?**

- სხვა საკითხებთან ერთად, თეორიულ მომზადებაზე ამაზეც ვლაპარაკობთ. თუმცა, სულ სხვის სასარგებლოდ ცდებიან და, იქნებ, ახლა საჩვენოდ ჩაუსტვინონ? მთავარია, მსაჯებს საბაბი არ მივცეთ, ჩვენი იმედი კი ისევ ჩვენი ბიჭები, მათი მონდომება და თამაშია.

**გიორგი გაგნიძე**, ნაკრების ფეხბურთელი:

- პორტუგალიური ტურნირი გამოცდილების კუთხითაც ძალიან წაგვადგა და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც, რადგან საფრანგეთთან და სერბეთთან მოგება პატარა ამბავი არ იყო. ბიჭები უფრო თავდაჯერებულები გავხდით. ამას გარდა, მნიშვნელოვანი იყო ახალი მწვრთნელის მოთხოვნების გაცნობა და მის მიერ დანერგილი ახალ ტაქტიკურ სქემასთან შეგუება.

ჩვენ სამივე მეტოქის თამაში ვნახეთ და მიმაჩნია, რომ დაუმარცხებელი არც ერთი არ არის. ახლა ჩვენ განსაკუთრებულად მოტივირებულები ვართ. მთავარია, მეტოქეებს ჩვენი თამაში მოვახვიოთ და ყველასთან მოგებისთვის ვითამაშოთ.

მეკარეები: დავით ლეგაშვილი (უგუნდო), ლევან ტყეშელაშვილი („დინამო" თბილისი).

მცველები: არჩილ ტვილდიანი, ნიკა სანდოხაძე, გიორგი გაგნიძე (ყველა - „დინამო" თბილისი), თედო გრიგალაშვილი („ზესტაფონი"), კოტე ზარნაძე („ბაია", ზუგდიდი), გიორგი ჯგერენაია („გაგრა").

ნახევარმცველები: გიორგი პაპავა, ლაშა პარუნაშვილი (ორივე - „დინამო" თბილისი), ვალერი ყაზაიშვილი („ვიტესი", ჰოლანდია), დავით გიგაური (იაგელონია", პოლონეთი), ნიკა ჭკუასელი („გაგრა"), ნოდარ კიკნაველიძე („გაგრა").

თავდამსხმელები: გიორგი ჭანტურია ("ვიტესი", ჰოლანდია), დავით სხირტლაძე ("ორჰუსი"), ოთარ კვერნაძე ("ზესტაფონი"), დავით გელაშვილი („სპარტაკი", ცხინვალი)

**მერაბ მამულაშვილი**



ოთარ კორღალიძე

● სიახლე

# კაზინო აჭარასთან ერთად

ქართულ სათამაშო ბიზნესში შემოვიდა მსოფლიოში ონლაინ თამაშების მწარმოებელი წამყვანი კომპანია ევრიმატრიქსი, რომელმაც საქართველოში წამყვან და უდიდესი გამოცდილების მქონე კაზინო „აჭარასთან" ერთად შექმნა ონლაინ თამაშების პორტალი Playadjara.com




ამიერიდან Playadjara.com ქართულ ბაზარზე წარდგება, როგორც კაზინო „აჭარის" ოფიციალური ონლაინ თამაშების პორტალი, პრეზენტაცია კი გუშინ, 21 მაისს კაზინო „აჭარაში" გაიმართა.

Playadjara.com ქართველ ინტერნეტმომხმარებლებს **იან ლივინგსტონმა** (კაზინო აჭარის გენ. დირექტორი), **იან რედინფელდმა** (ევრიმატრიქსის აღმასრულებელი დირექტორი) და **ლაშა გოგიბერიძემ** (ფლეი აჭარის გენ. დირექტორი) წარუდგინეს.

Playadjara.com მსოფლიოში არსებული წამყვანი ონლაინ თამაშების გარდა, როგორებიც არის ონლაინ ტოტალიზატორი, პოკერი, ლაივ კაზინო, ვიდეო თამაშები და სლოტები, სპეციალურად ქართველი მომხმარებლებისთვის შექმნილ კლასიკურ თამაშებსაც სთავაზობს — ბურა, დურაქა, ქართული ნარდი... ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ თამაშებისა, რომელსაც გვთავაზობს Playadjara.com.

Playadjara.com არის პირველი ქართული ონლაინ თამაშების კომპანია ბაზარზე, რომლის მომხმარებელი დაცულია თანამედროვე ინფორმაციული უსაფრთხოების მექანიზმით, რომელიც მოქმედი და გამოცდილია მსოფლიო სათამაშო ბაზარზე. R

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გურულების ოცნება გადაიდო

21.05. მცხეთა. მცხეთა პარკი.
1200 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 3**

**გურია 0**

1:0 კასრაძე (2. კორიფაძის პასით), 2:0 გურეშიძე (66), 3:0 ჯანელიძე (69. კორიფაძის პასით).

| ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 | გურია 4-4-1-1 |
|---|---|
| დაუშვილი | გოგუაძე |
| ხურციძე | ზ. ჩხეტიანი |
| დავლაშელიძე | ბაქრაძე |
| კასრაძე | რ. ონიანი |
| ლანიაშვილი | ჯანგიძე |
| ვასაძე | მაისაშვილი |
| გურ. გურეშიძე | მოსიაშვილი |
| კორიფაძე | ჩარგეიშვილი |
| გ. ჯანელიძე | ჩუენსუ |
| ჩიმაკაძე | კვერენჩხილაძე |
| ზაქრაძე | გ. თოდუა |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| გ. კოჭლაშვილი | გ. იმნაძე |

**ვიტ ჯორჯია**

59. ზაქრაძე - **ლობჯანიძე**
90. ჯანელიძე – **ვაშაკიძე**
90. კორიფაძე - **ჯაყელი**

*სათადარიგოები: სვანაძე, ტიელიძე, ჯულელი, კუხალეიშვილი*

**გურია**

46. ჯანგიძე - **სამსეიშვილი**
46. მოსიაშვილი - **ტ. კუპულაძე**

*სათადარიგოები: ბუბუტეიშვილი, ალავერდაშვილი, ლალაძე, რ. კუკულაძე, კილაძე.*

**გაფრთხილება:** ჯანელიძე (14), ჩუენსუ (32), მოსიაშვილი (35), ჩხეტიანი (40), კასრაძე (62).

**გაძევება:** კასრაძე (85), ჩუენსუ (85).

**არბიტრი:** ო. ხეცაძე




ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, ლანჩხუთის "გურიას" უმაღლეს ლიგაში დაბრუნების რეალური შანსი ჰქონდა, "ვიტ ჯორჯია" კი პირველად იდგა გავარდნის რეალური საფრთხის წინაშე.

მაგრამ გუშინ "ვიტ ჯორჯიამ" დამაჯერებლად გაიმარჯვა და გურულებს ალზევების საშუალება არ მისცა.

მასპინძლებმა ანგარიში მე-2 წუთზე გახსნეს: მარჯვენა ფლანგიდან **გიორგი კორიფაძის** ჩაწოდების შემდეგ ბურთი კარში **ლაშა კასრაძემ** თავით გააგზავნა.

სტადიონზე უამრავი ლანჩხუთელი გულშემატკივარი შეიკრიბა და მასპინძლებად თავს სტუმრები უფრო გრძნობდნენ. მათგან გამხნევებულმა გურულებმა მწვავედ შეუტიეს და ანგარიშის გათანაბრების რეალური შესაძლებლობებიც ჰქონდათ. მაგრამ შანსით ვერც **გიგა კვერენჩხილაძემ** ისარგებლა და ვერც **თამაზ ჩარგეიშვილმა**.

დაცვაში ჩამჯდარი "ვიტ ჯორჯია" სწრაფი კონტრშეტევების განხორციელებას ახერხებდა. ამან შედეგი მეორე ტაიმში გამოიღო. როდესაც "გურია" გადამწყვეტი შტურმისთვის ემზადებოდა, მარცხენა ფლანგზე **გურამ გურეშიძემ** სტუმართა მოთამაშეს ბურთი აართვა, ცენტრისკენ დაიძრა და კარში დაარტყა. მეკარე **მიხეილ გოგუაძე** ბურთს ვერ ხედავდა და 2:0...

"გურია" გატყდა და მალე მესამედაც გაუშვა: მორიგი კონტრშეტევა მასპინძელთა შორის ერთ-ერთმა საუკეთესო კორიფაძემ წამოიწყო და ბურთი კარისკენ ჩაკიდა, **გიორგი ჯანელიძემ** მეკარეს კარიდან ოდნავ გამოსვლა არ აპატია, ბურთი თავზე გადაუგდო და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 3:0.

თუმცა, მალე იმავე კორიფაძის გადაცემით ჯანელიძე კვლავ მეკარესთან პირისპირ დარჩა და დუბლის შესრულება შეეძლო, მაგრამ ძალზედ არაზუსტად დაარტყა.

მატჩის მიწურულს მასპინძელი **ლაშა კასრაძე** გურულთა ლეგიონერ **არნო ჩუენსუს** წაეკინკლავა. მართალია, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგრამ არბიტრმა ორივეს ყვითელი ბარათი აუფრიალა, რაც ორივესთვის მეორე გამოდგა და მოედნის დატოვება მოუხდათ.

ცხადია, მომენტები ლანჩხუთლებმაც შექმნეს, მაგრამ გუშინ "ვიტ ჯორჯიას" დღე იყო – ვეტერინარებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს და უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნეს, "გურია" კი მომავალ სეზონშიც პირველ ლიგაში იასპარეზებს. არადა, ასეთი გულშემატკივრის გუნდი მართლაც უკეთეს ბედს იმსახურებს.

**მერაბ მამულაშვილი**
მცხეთა-თბილისი
**გურამ დოლენჯაშვილის** ფოტოები

# ბენდელაზე სისხლიც დაიღვარა

## ბათუმი ისევ უმაღლესლიგელია

21.05. თბილისი. ბენდელა.
1500 მაყურებელი

**სპარტაკი 1**

**ბათუმი 3**

0:1 გოგიტიძე(14), 0:2 ჯორბენაძე(20), 1:2 ჩაფიძე (63,პენალტით), 1:3 ლობჟანიძე (85, ცნობილაძის პასით)

| სპარტაკი 4-2-3-1 | ბათუმი 4-4-2 |
|---|---|
| ნადირაძე | მ. ალავიძე |
| ჭაფოძე | ფარტენაძე |
| ტეტუნაშვილი | კაჭკაჭიშვილი |
| ლომაია | ხუხია |
| ნ. მაისურაძე | მაკარიანი |
| თ. შონია | თევდორაძე |
| შარაშენიძე | გოგიტიძე |
| თუხარელი | ზ. ლობჟანიძე |
| სამხარაძე | დიასამიძე |
| ჩაფიძე | ბაციკაძე |
| მელქაძე | ჯორბენაძე |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| ვ.ხაჩიძე | გ.გურული |

**სპარტაკი**

31. თ.შონია – **მ. ჯიშკარიანი**
54. მელქაძე – **ქოხონელიძე**

სათადარიგო: ძაგანია, გაბაშვილი, მერეჩკო, ლობჯანიძე

**ბათუმი**

46. დიასამიძე – **ცნობილაძე**
62. გოგიტიძე – **ბერიძე**
71. ბ.თევდორაძე – **ა. მუჯირი**

სათადარიგო: ქორიძე, თოდაძე, ცანავა, ტაკიძე

**გაფრთხილება:** შარაშენიძე(66), ჩაფიძე (81), მ. ჯიშკარიანი (86), ჭაფოძე (90)

**მსაჯი:** მ.ბეუქლიშვილი




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



ოთხწლიანი პაუზის შემდეგ ბათუმის "დინამო" უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა, გადამწყვეტ შეხვედრაში ბათუმელებმა ყველა კომპონენტში აჯობეს ცხინვალის "სპარტაკს" და დასახულ მიზანს ეწიეს.

"ბენდელაზე" ხალხმრავლობა იყო, პატარა სტადიონი საკმარისი არ აღმოჩნდა, ყველა მსურველი ვერ დაიტია. "ბათუმს" ასეულობით გულშემატკივარი უჭერდა მხარს და არასასიამოვნო ინციდენტიც მოხდა. ჯერ კი უშუალოდ თამაშზე გეტყვით.

"ბათუმი" მოწინააღმდეგეზე მონდომებული ჩანდა. სტუმრები უფრო მობილიზებულები იყვნენ, მაღალი კონცენტრაცია მთელი მატჩის განმავლობაში შეინარჩუნეს. ძალიან ნერვიული შეხვედრა იყო და "ბათუმი" ამისთვისაც მზად აღმოჩნდა – დაძაბულობას გაუძლო.

"სპარტაკმა" ბურთზე კონტროლის მოპოვება ვერ მოახერხა, "ბათუმი" კი სწრაფ შეტევებზე აკეთებდა გათვლას, მეტოქის შეცდომებზეც ფხიზლად იყო დადარაჯებულ- ჩასაფრებული. ერთხელაც სპარტაკელებმა ვერ ამოიტანეს ბურთი კარგად, უმეთვალყურეოდ დარჩენილმა **გელა გოგიტიძემ** ამ ყველაფრით კარგად ისარგებლა და საჯარიმოს ხაზიდან ზუსტად შეასრულა საგოლე დარტყმა.

მასპინძლები სიტუაციის გამოსწორებას შეეცადნენ. **ლაშა ჩაფიძე** რთული მდგომარეობიან ცდილობდა თავით დარტყმას და აქედან სახეირო ვერაფერი გამოადნო. "სპარტაკში" არ აღმოჩნდა ისეთი ფეხბურთელი, ვინც გუნდის თამაშს დაალაგებდა, ლიდერობას იკისრებდა, ყოველივე ეს კი "ბათუმს" აძლევდა ხელს – გოლი უკვე გატანილი ჰქონდა და მეტოქეს მდევრის როლში ამყოფებდა.

შეუპოვარმა "ბათუმმა" უპირატესობა **მიხეილ ჯორბენაძის** ეფექტური გოლით გაზარდა: ბათუმელმა ოსტატურად გადაავლო ბურთი თავზე მცველს და მერე მეკარესაც არ დაუტოვა შანსი.

ეს უკვე სერიოზული განაცხადი იყო "ბათუმის" წარმატებაზე. ფრე არც ერთი გუნდს არ აძლევდა ხელს, "სპარტაკის" ამოცანაც ძალიან გართულდა. მასპინძლებს სამი გოლის გასატანი რესურსი არ ეტყობოდათ, მაგრამ ისიც საკითხავი იყო, როგორ გააგრძელებდა თამაშს "ბათუმი" – 34-ე წუთზე მატჩის არბიტრმა **მალხაზ ბეუქლიშვილმა** სტუმართა დამრიგებელ **გია გურულს** მოედანი დაატოვებინა.

"ბათუმი" ამ ფაქტმა ფსიქოლოგიურად ვერ გატეხა. "სპარტაკი" რაღაცას ცდილობდა, თუმცა სუმბურულად ირჯებოდა, სტუმრები კი მწარედ იჩხვლიტებოდნენ კონტრშეტევებზე.

მეორე ტაიმის დასაწყისში "სპარტაკს" თითქოს ფხა მოემატა. **თემურ შარაშენიძემ** კარგად დაუგდო ბურთი **გიორგი ქოხონელიძეს**, რომელმაც ხელსაყრელი პოზიციიდან "ბათუმის" მეკარე **მიხეილ ალავიძეს** ვერ აჯობა.

ამასობაში სიტუაცია დაიძაბა მოედანს მიღმა, ტრიბუნაზე ჩოჩქოლი ატყდა, მალე მოედანთან თავპირდასისხლიანებული ბათუმელი ქომაგი გამოჩნდა, ექიმის დახმარებას ითხოვდა. სტუმართა გუნდის გულშემატკივრებმა დაიჩივლეს, ეს არის თქვენი მასპინძლობა, სად არის ასეთ დროს პოლიციაო. თავგატეხილ გულშემატკივარს სტადიონზე მყოფმა სასწრაფო დახმარების ექიმებმა აღმოუჩინეს დახმარება, პოლიცია კი ინციდენტიდან რამდენიმე წუთში მოვიდა. ძალოვანების გამოჩენამ სიტუაცია დააშოშმინა. მოედანზე კი სიტუაცია დაიძაბა...

შეტევაში "სპარტაკის" გამოცდილი მცველი **დავით ლომაია** ჩაერთო და **ნიკა ხუხიასთან** ორთაბრძოლაში 11-მეტრიანი მოიპოვა. ჩაფიძემ სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირა, გაჩნდა იმის წინაპირობა, რომ "სპარტაკი" მთელი ძალებით გადავიდოდა შეტევაში.

ემოციური მუხტი უკვე მასპინძელთა მხარეს იყო, თუმცა ნაპერწკალი მალევე ჩაქრა. "ბათუმმა" ისევ სასურველ კალაპოტში გადაიტანა ყველაფერი, კარგად ჩართო თამაშში ფეხმალი **ირაკლი ცნობილაძეც**. მან ერთხელ სოლო რეიდიც კი განახორციელა და "სპარტაკის" მეკარეს ბურთის კუთხურზე მოგერიებამ მოუწია. გამოსარჩევია ჯორბენაძის "მაკრატელაც", რომელსაც ცოტათი სიზუსტე დააკლდა.

ბათუმელებმა კონტრშეტევაზე მაინც გაიტანეს: **გიორგი კაჭკაჭიშვილმა** თავით გაუქრა პასი ცნობილაძეს, რომელმაც მერე **ზვიად ლობჟანიძეს** გადააწოდა ბურთი და 1:3.

**დავით თავართქილაძე**

**სხვა მატჩები**

| | |
|---|---|
| **მერცხალი-სიონი** | 1:3 |
| **გაგრა-ჩიხურა** | 2:1 |

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩიხურა | 14 | 8 | 2 | 4 | 25 | 15 | 26 |
| 2 | ბათუმი | 14 | 7 | 3 | 4 | 18 | 13 | 24 |
| 3 | სიონი | 14 | 6 | 6 | 2 | 23 | 13 | 24 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 14 | 7 | 2 | 5 | 19 | 11 | 23 |
| 5 | გურია | 14 | 6 | 5 | 3 | 22 | 21 | 23 |
| 6 | სპარტაკი | 14 | 6 | 3 | 5 | 19 | 16 | 21 |
| 7 | გაგრა | 14 | 3 | 4 | 7 | 14 | 21 | 13 |
| 8 | მერცხალი | 14 | 0 | 1 | 13 | 3 | 33 | 1 |

*შენიშვნა: ცხრილი მომზადებულია www.gff-ge-ს მიხედვით*

ევრო 2012 ესპანეთის ნაკრები

# ტრიუმფიდან ნაკრებში



ხუან მატა და ფერნანდო ტორესი ნაკრებში ხელდამშვენებულნი მიდიან

**მეკარეები:** *იკერ კასილიასი (რეალი), პეპე რეინა (ლივერპული), დავიდ დე ხეა (მანჩესტერი).*

**მცველები:** *ალვარო არბელოა, რაულ ალბიოლი, სერხიო რამოსი (რეალი), ხუან ალბა (ვალენსია), ნაჩო მონრეალი (მალაგა), ხუანფრან ტორესი, ალვარო დომინგესი (ატლეტიკო).*

**ნახევარმცველები:** *ჩაბი ალონსო (რეალი), სანტი კასორლა, ისკო (მალაგა), ბენიატ ეჩებარია (ბეტისი), ხავი გარსია (ბენფიკა), ბრუნო სორიანო (ვილიარეალი), დავიდ სილვა (სიტი), ხესუს ნავასი (სევილია), ხუან მატა (ჩელსი).*

**თავდამსხმელები:** *ალვარო ნეგრედო (სევილია), რობერტო სოლდადო (ვალენსია), ადრიან ლოპესი (ატლეტიკო), ფერნანდო ტორესი (ჩელსი).*

**ვისენტე დელ ბოსკემ** ეროვნული ნაკრების 21-კაციან სიას ორი ფეხბურთელი დაამატა. ორივე ჩემპიონთა ლიგის მომგები „ჩელსიდან" - **ხუან მატა და ფერნანდო ტორესი.** შეგახსენებთ, რომ დელ ბოსკემ შემადგენლობა ორი ამხანაგური მატჩისთვის დაასახელა და სიაში არ შეიყვანა „ბარსელონას", „ბილბაოს" და „ჩელსის" ფეხბურთელები. პირველ ორს 25 მაისს ესპანეთის თასის ფინალი ელის, ხოლო „ჩელსიმ" ჩემპიონთა ლიგის ფინალი ტრიუმფით მოიგია. ის, რომ მწვრთნელი ამ ორ ლეგიონერს დაამატებდა, მოულოდნელი არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ტორესის სპორტულ ფორმასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვები.

ტორესი და მატა ეროვნულ ნაკრებს 25 მაისს შეუერთდებიან ავსტრიაში დროებით საწვრთნელ ბაზაზე. ვისენტე დელ ბოსკე ევრო 2012-ზე წამსვლელ 23 კაცს 27 მაისს დაასახელებს. ესპანელებს პირველი თამაში 10 ივნისს ელით, იტალიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ „ფურია როხას" ექსპერიმენტულ შემადგენლობას.

## ფურია როხამ დაიწყო

გუშინ მადრიდში, „ლას როსასის" ბაზაზე ესპანეთის ნაკრებმა მზადება დაიწყო. გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელია. ამიტომაც, ვისენტე დელ ბოსკემ პირველი ვარჯიში უფრო გაცნობითი ხასიათის ჩაატარა. მხოლოდ ამის შემდეგ ფეხბურთელებმა ბურთით და უბურთოდ ივარჯიშეს. დელ ბოსკემ გუნდი სამ ნაწილად გაყო და ისე ავარჯიშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ევრო 2012 საფრანგეთის ნაკრები

# რიბერი ითამაშებს

19 მაისს ჩემპიონთა ლიგის ფინალის დამატებულ დროში **დიდიე დროგბასთან** შეტაკების შემდეგ **ფრანკ რიბერიმ** ტრავმა მიიღო. **იუპ ჰაინკესი** იძულებული გახდა, ნახევარმცველი შეეცვალა. საფრანგეთის ნაკრების გულშემატკივრებს ალბათ გული გადაუქანდათ, როცა ექიმებმა ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამამდე კოჭლობით მიიყვანეს. ფეხბურთელი "ბაიერნის" ექიმებმა იმავე საღამოს გასინჯეს და განაცხადეს, რომ საშიში არაფერია და ვარჯიშებს ის უახლოეს დღეებში დაუბრუნდება.

**ლევან ბიბილაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა

# 22 უკვე ცნობილია

ევროპაში საკლუბო სეზონი დასასრულს უახლოვდება, ახლახან დასრულდა სეზონის ყველაზე მთავარი ტურნირის, ჩემპიონთა ლიგის ფინალიც. ეროვნული პირველობების დასრულების შემდეგ გაირკვა იმ 22 კლუბის სახელი, რომლებიც მომავალ გათამაშებაში, ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებენ. ლიგის ჯგუფურ ეტაპზე 32 კლუბი თამაშობს, აქედან 10 საგზური პლეი ოფში გათამაშდება.

ახალი ტურნირის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა 30 აგვისტოს გაიმართება და საინტერესო ბატალიებსაც უნდა ველოდოთ, რადგან რამდენიმე ძალიან კარგი გუნდი არ მოხვდა პირველ კალათში. მაგალითად, ინგლისის ჩემპიონი „მანჩესტერ სიტი" მეორე კალათშია, იტალიის ჩემპიონი „იუვენტუსში" - მესამეში, ხოლო გერმანიის ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსია" - მეოთხეში.

პირველ კალათში განთესილთა შორის იქნებიან: **„ჩელსი", „ბარსელონა", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ბაიერნი", „რეალი", „არსენალი", „პორტუ" და „მილანი".**

მეორე კალათში: **„ვალენსია", „ბენფიკა", „შახტარი", „ზენიტი", „შალკე" და „მანჩესტერ სიტი".**

მესამე კალათში: **„ოლიმპიაკოსი", „აიაქსი", „ანდერლეხტი", „იუვენტუსი", „კოპენჰაგენი".**

მეოთხე კალათში: **„გალათასარაი", „ბორუსია", „მონპელიე", „ნორდსილანდი".**

მოკლედ, კენჭისყრამ შეიძლება ასეთი „სიკვდილის" ჯგუფი გამოადნოს: „ბარსელონა", „მანჩესტერ სიტი", „იუვენტუსი" და „ბორუსია".

ჩემპიონთა ლიგის ფინალი 2013 წლის 25 მაისს „უემბლიზე" გაიმართება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჩელსი, როგორც თასის მფლობელი, პირველ კალათში იქნება

ამბები

## ერიკ აბიდალი საავადმყოფოდან გამოწერეს

„ბარსელონას" ფრანგი მცველი **ერიკ აბიდალი** საავადმყოფოდან შინ გაუშვეს. ჰოსპიტალში მან ღვიძლის გადანერგვის ოპერაციის შემდეგ 40 დღე გაატარა. ახლა 32 წლის ფეხბურთელი აღდგენით პროცესს შინ გაატარებს, თუმცა ჰოსპიტალში ვიზიტი შემოწმებებისათვის ძალიან ხშირად დასჭირდება. „ბარსელონას" ფეხბურთელები ამბობენ, რომ თასის ფინალის წინ ეს ამბავი მათ ფრთებს შეასხამს ტიტულისათვის ბრძოლაში.

## მესი, GOAL.COM-ის რჩეული

ყველაზე პოპულარულმა საფეხბურთო საიტმა Goal.com-მა მოაწყო გამოკითხვა, რომლის მიზანიც ლა ლიგის 2011/12 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის დასახელება იყო. ყველას „პიჩიჩის" მომგებმა (50 გოლით) **ლიონელ მესიმ** აჯობა - მან ხმების 48,64% მიიღო და სულ ცოტათი გაასწრო **კრიშტიანო რონალდოს** - 46,22%. რეალურად, მესის სხვა კონკურენტი არც ჰყოლია, რადგან მესამე ადგილზე გასულ **მესუთ იოზილს** (რეალი) მხოლოდ ხმების 3,81% შეხვდა. რადამელ **ფალკაო ფალკაო** (ატლეტიკო) მეოთხეა - 1,34%.

## შაჰინს ისევ რეალში სურს, ალბიოლსაც

„რეალის" თურქმა ლეგიონერმა **ნური შაჰინმა** განაცხადა, რომ მიუხედავად იმედგაცრუებისა, მადრიდულ კლუბში სურს დარჩენა. 23 წლის ფეხბურთელს კარიერის გაგრძელებას სხვადასხვა კლუბში უწინასწარმეტყველებდნენ, მათ შორის, მიუნხენის „ბაიერნში", „გალათასარაიში" და სხვაგან. *„მსურს, დავრჩე მსოფლიოს საუკეთესო კლუბში. მსურს ვიყო წარმატებული აქ. მინდა დავამტკიცო, რომ მე „რეალში" თამაშის ღირსი ვარ. ჩემი ოცნებაც მხოლოდ ესაა",* - განაცხადა ნური შაჰინმა სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე.

შეგახსენებთ, რომ ნური შაჰინი 22 წლის ასაკში გახდა ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელი. ის „რეალმა" შეიძინა, თუმცა თამაში პირველ გუნდში შაჰინს იშვიათად უწევს. შაჰინი „რეალს" კონტრაქტით 2017 წლამდე ეკუთვნის.

სხვათა შორის, იმავე აზრზეა **რაულ ალბიოლიც.** ესპანეთის ნაკრების მცველსაც ნაკლებად ეძლევა ძირითადში თამაშის შანსი, მაგრამ 26 წლის ალბიოლიც „რეალში" დარჩენაზე ოცნებობს.

## აგუერო რეალში 62 მილიონად?

ესპანური პრესა იუწყება, რომ მადრიდის „რეალი" სუპერტრანსფერს აპირებს - „მანჩესტერ სიტის" არგენტინელი **სერხიო აგუეროს** სანაცვლოდ 62 მილიონ ევროს სთავაზობს! ამ ინფორმაციის თანახმად, **გონსალო იგუაინი** ალბათ მაინც დატოვებს „სამეფო კლუბს", რადგან თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა. ამის გამო „რეალში" იგუაინის ალტერნატივაზე დაფიქრდნენ. კლუბის პრეზიდენტი **ფლორენტინო პერესი** მზადაა, ამხელა თანხა გადაიხადოს არგენტინელში, რომელმაც „სიტის" ჩემპიონის ტიტული მოუტანა.

## [illegible] ადებაიორი

„მალაგა" [illegible] - არაბული ინვესტიციით ფრთაშესხმულმა ანდალუსიურმა კლუბმა მე-4 ადგილი და ჩემპიონთა ლიგის საგზური დაიბევა. ახლა კი „მსუყე" ტრანსფერებზე ნადირობს. **მანუელ პელეგრინი** ფიქრობს „მანჩესტერ სიტის" ფორვარდის **ედინ ჯეკოს** დამატებას, „მალაგას" სურს **ემანუელ ადებაიორიც.** ოღონდ ერთია - „მალაგა" ორივეს ვერ შეწვდება.

## ტიაგო შენ, ტიაგო მე?

„ბარსელონამ" „მილანი" უარით გაისტუმრა - ესპანური მედიის ცნობით, იტალიელებს **ტიაგო ალკანტარას** შეძენა სურდათ. „მილანი" შემადგენლობის გაახალგაზრდავებას აპირებს და ტიაგო, რომელიც იტალიაშია დაბადებული, საჭირო ფეხბურთელად ესახებათ. კატალონიელებმა ცივი უარი სტკიცეს **ადრიანო გალიანის,** მაგრამ არის ერთი მომენტიც - „ბარსელონას" ძალიან უნდა „მილანის" ბრაზილიელი მცველი **ტიაგო სილვა,** რომლის სანაცვლოდაც ისინი 20 მილიონ ევროს და ერთ ფეხბურთელს გაიღებენ. აქამდე **სეიდუ კეიტაზე** იყო ლაპარაკი...

## ვილანოვაზე კარგი ვერ ვიპოვეთო

„ბარსელონას" სპორტულმა დირექტორმა, წარსულში სახელგანთქმულმა მეკარე **ანდონი სუბისარეტამ** განაცხადა, რომ **ხოსეპ გვარდიოლას** შემცვლელად **ტიტო ვილანოვაზე** კარგი კანდიდატურა კლუბმა ვერ ნახა. *„ჩვენ შექმნილი სიტუაცია გავაანალიზეთ და მივედით იმ დასკვნამდე, რომ საუკეთესო სწორედ ვილანოვაა, რომელიც შეძლებს ჩვენი პროექტის გაგრძელებას. ჯერ ჩვენ გვარდიოლასთან გავარკვიეთ ურთიერთობა და მხოლოდ ამის შემდეგ შევთავაზეთ მწვრთნელობა ვილანოვას",* - განაცხადა სუბისარეტამ.

## ბილბაოს მცველი ფეხბურთიდან წავიდა

„ბილბაოს" 36 წლის ცენტრალურმა მცველმა **აიტორ ოსიომ** ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა. ოსიო თითქმის 12 წელიწადი თამაშობდა ბასკურ გუნდში და „სევილიაში", მაგრამ ბოლოს ტრავმებმა ის ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო. ბასკს, როგორც თავად განაცხადა, შემოთავაზებები ჰქონდა საზღვარგარეთიდან, მაგრამ მას მხოლოდ შინ თამაში სურდა. „სევილიასთან" ერთად მან ორჯერ მოიგო უეფას თასი, ერთხელ კი სუპერთასი, ერთხელ ოსიო ესპანეთის თასსაც დაეუფლა.

## ბარსას ჯოვინკო სურს?

„ბლაუგრანა" თავისთან 25 წლის იტალიელ **სებასტიან ჯოვინკოს** იწვევს. ამის შესახებ თავად თავდამსხმელის აგენტი. **ანდრე დამიკო** ამბობს, რომ „პარმას" შემტევმა უკვე მიიღო წინადადება და დიდი შანსია, ევრო 2012-ის შემდეგ „ბარსელონაში" გადაბარგდეს. აქვე ფეხბურთელის აგენტი ამბობს, რომ ჯოვინკოს სხვა წინადადებებიც ბევრი აქვს. ამ სეზონში ჯოვინკომ 15 გოლი გაიტანა ჩემპიონატში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## უცხოური ფეხბურთი

● იტალიის თასი. ფინალი



„ნაპოლის" კაპიტანი პაოლო კანავარო თასით ხელში

# ეს უბრალო თასი არაა

## ნეაპოლში ფიესტაა, ლონდონი მონაგონია...

**იუვენტუსი–ნაპოლი 0:2**

**გოლები:** 0:1 კავანი (63-პენ.), 0:2 ჰამშიკი (83).
**გაძევება:** კვალიარელა (90. იუვენტუსი).

ნეაპოლში ისეთი ფიესტაა, ლონდონს არც დაესიზმრება – მეორე დღეა ქალაქში სრული საგიჟეთია და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ "ნაპოლიმ" იტალიის თასი მოიგო. დიახ, ტურნირი, რომელიც ერთი შეხედვით ნაკლებად პრესტიჟულია, თუმცა ვისთვის როგორ და ეს სამხრეთელთა მაგალითზე მტკიცდება. გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ ნეაპოლელთა ბოლო წლების პროგრესმა ერთი ტიტული ნამდვილად მოამწიფა და ეს მართლაც ასეა – **ვალტერ მაცარის** გუნდი "კოპა იტალიას" იმსახურებდა და მოიგო კიდეც. ფინალური მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, მომენტები ორივე კართან შეიქმნა, მაგრამ უფრო მონდომებულნი სამხრეთელები ჩანდნენ და შედეგად, ორი უპასუხო გოლიც გაიტანეს. გოლების აღწერით თავს არ შეგაწყენთ, მით უმეტეს, ერთი თერთმეტმეტრიანით გავიდა და პირდაპირ მატჩისშემდგომ ემოციებზე გადავალთ...

რომის ოლიმპიური სტადიონის ტრიბუნები ორად იყო გაყოფილი და წარმოიდგინეთ, რა ატმოსფერო იქნებოდა მატჩის მსვლელობისას... ხუმრობა საქმე ნამდვილად არაა, როდესაც ერთმანეთის პირისპირ "იუვეს" და "ნაპოლის" ქომაგები არიან და თანაც, დაახლოებით თანაბარი რაოდენობით. თამაში პერიოდულად პეტარდების კვამლში ეხვეოდა, რამდენჯერმე ტიფოზებმაც გაიწიეს ერთმანეთზე, მაგრამ საბედნიეროდ, სერიოზულ დაპირისპირებამდე საქმე არ მისულა. მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ კი სამხრეთელები ზეიმს მიეცნენ და ოლიმპიური სტადიონის გაზონიც მთლიანად ნეაპოლელებმა დაიკავეს. გამარჯვებულთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ეს კომენტარებშიც ნათლად ჩანს...

**ვალტერ მაცარი (ნაპოლის მთავარი მწვრთნელი):** *"ტურინულ გრანდს აქამდე არც ერთი შეხვედრა არ ჰქონდა წაგებული და ბუნებრივია, რომ ფავორიტად სწორედ "იუვენტუსი" ითვლებოდა. არ დავმალავ, მოედანზე გასვლის წინ მოთამაშეებს ფეხებიც კი უკანკალებდათ, მაგრამ ეს არა შიშის, არამედ მღელვარების ბრალი იყო. საბედნიეროდ, ჩვენ შევძელით ის, რასაც ბევრი არ ელოდა და დავამარცხეთ დაუმარცხებელი. იმედია, არავის ეწყინება თუ სამ ფეხბურთელს გამოვყოფ: ჰამშიკს, ლავეცის და კავანის – ამ ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ "ნაპოლის" ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ტროფეი მოეგო. ამაყი ვარ და მჯერა, რომ ეს წარმატება კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებს დაუდებს სათავეს. მივდივარ თუ არა ნეაპოლიდან? – კლუბთან კონტრაქტი 2013 წლის ზაფხულამდე მაკავშირებს და არავითარი სურვილი არ მაქვს, რომ პირობები დავარღვიო".*

**აურელიო დე ლაურენტისი (ნაპოლის პრეზიდენტი):** *"თასის მოგება დიდი გამარჯვებების დასაწყისია და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ძალიან კარგი სეზონი გამოვიდა და ეს მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური ვერ მოვიპოვეთ. სამაგიეროდ, იმავე ლიგაზე შესანიშნავად ვიასპარეზეთ და იტალიის თასი მოვიგეთ. არც სერია A-ში შეგვირცხვენია თავი და სამეულში მოსახვედრად ძალიან ცოტა დაგვაკლდა. ვფიქრობ, გულშემატკივრები კმაყოფილები უნდა იყვნენ, რადგან გუნდი მთელი სეზონის განმავლობაში უმაღლეს დონეზე ასპარეზობდა".*

**ედინსონ კავანი (ნაპოლი):** *"ამ გამარჯვებას გულშემატკივრებს ვუძღვნი, რომლებიც ასეთ სიხარულს ნამდვილად იმსახურებენ. ზეიმი ძალიან კარგია, მაგრამ ხვალიდან უკვე მომდევნო სეზონზე უნდა ვიფიქროთ. სერია A-ში უმაღლესი მიზანი გვექნება და არც ევროპის ლიგაზე შევირცხვენთ თავს – ასე რომ, მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ და ვიცი, რომ იტალიის თასის მოგება ჩვენი შესაძლებლობების ზღვარი არ არის".*

**მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი):** *"ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან "ნაპოლის" ისტორიაში ახალი ფურცელი ჩავწერეთ. ამ საოცარ გუნდს კარგა ხანი არაფერი მოეგო და შავი პერიოდი სწორედ ამ თასის მოგებით დავარღვიეთ. ამიტომ, ეს უბრალო თასი არაა, ეს განსაკუთრებული თასია და ამას თითოეული ჩვენი გულშემატკივარი ხვდება. ეს თასი კიდევ ერთი სტიმულია საიმისოდ, რომ მომდევნო სეზონისთვის უფრო დიდი ენთუზიაზმით მოვემზადოთ და კიდევ უფრო პრესტიჟული ტროფეებისთვის ვიბრძოლოთ. პირადად მე, ნეაპოლში ვრჩები, რადგან ჩემი მიზნები ერთადერთ გუნდს, "ნაპოლის" უკავშირდება".*

**ანტონიო კონტე (იუვენტუსის მთავარი მწვრთნელი):** *"წაგება ყოველთვის საწყენია და მით უმეტეს, ფინალურ მატჩში. ამასთან, გვქონდა შანსი სეზონი დაუმარცხებლად დაგვესრულებინა, მაგრამ მოვახერხეთ და უკანასკნელ შეხვედრაში წავაგეთ. რას ვიზამთ, როგორც ჩანს, მეტოქემ უფრო მოინდომა, მეტი ჩადო თამაშში და გაიმარჯვა კიდეც. არტურო ვიდალი და შტეფან ლიხტშტაინერი ბოლომდე მზად არ იყვნენ თამაშისთვის, სხვა საკადრო პრობლემებიც გვქონდა და ამანაც დაგვასვა დაღი. მოკლედ, ძალიან საწყენი მარცხი ვიწვნიეთ, მაგრამ რას ვიზამთ, ეს ფეხბურთია და ბედს უნდა შევურიგდეთ".*

**P.S.** არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ **ალესანდრო დელ პიერომ** უკანასკნელი მატჩი გამართა "იუვენტუსის" შემადგენლობაში. ალე 19 წლის განმავლობაში ასპარეზობდა ტურინულ გრანდში და მასთან ერთად უამრავი ტიტული მოიგო. "პინტურიკიომ" "ვეკია სენიორას" მაისურა 705-ჯერ მოირგო და 208 გოლი გაიტანა. დელ პიერო მარცხით გაცილებისთვის არავის გვემეტება, თუმცა შევეშვათ იტალიის თასს, მან ხომ სკუდეტო მოიგო და ისე დაემშვიდობა მშობლიურ "იუვენტუსს".

● სერია B

# ტორინო და პესკარა ელიტაში

## ცოტა რამ აღზევებულთა შესახებ

გასაგებ მიზეზთა გამო, სერია B-ს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ და მხოლოდ სტატისტიკით შემოვიფარგლებით, მაგრამ ხანდახან იქაც უნდა შევიხედოთ, მით უმეტეს, ამის საკმარისზე მეტი საბაბი გვაქვს. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, იტალიის ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში ქვედა დივიზიონის ორი მოთამაშეა: ანჯელო ოგბონა "ტორინოდან" და მარკო ვერატი "პესკარადან"... თუმცა, ნაკრები იქით იყოს და გასულ უქმეებზე იმ ორი გუნდის ვინაობა გამოვლინდა, რომლებიც მომდევნო სეზონიდან სერია A-ში იასპარეზებენ. დიახ, "ტორინო" და "პესკარა" ელიტარულ დივიზიონში გადავიდნენ, მესამე დაწინაურებულის ვინაობა კი გადათამაშებით გახდება ცნობილი. XXXXI ტურმა ის ოთხი გუნდიც გამოავლინა, რომლებიც ნახევარფინალებისა და ფინალის მეშვეობით, სერია A-ში გადამსვლელ მესამე გუნდს გამოავლენენ და ბარემ, ჩამოვთვალოთ ისინიც: "სასუოლო", "ვერონა", "ვარეზე", "სამპდორია". გადათამაშებაზე აღარ შევჩერდებით და იმ გუნდებს დავუბრუნდეთ, რომლებმაც სერია A-ს საგზური უკვე მოიპოვეს – მაშ ასე, მოკლე ინფორმაცია "ტორინოსა" და "პესკარას" შესახებ...



ტურინში "ტორინოს" აღზევება ასე აღნიშნეს

### ტორინო

"ტორინოსთან" ერთად, სერია A-ში ტურინული დერბი ბრუნდება, დაპირისპირება, რომელსაც უდიდესი ისტორია აქვს. მართალია, "იუვე" დღეს გაცილებით ძლიერია და თანაქალაქელთან ფავორიტიც იქნება, მაგრამ მეორე მხრივ, დერბიში პროგნოზების კეთება უმადური საქმეა და ესეც საყოველთაოდ ცნობილი ამბავია.

უკანასკნელი ტურის წინ, "ტორინოს" სატურნირო ცხრილში პირველი ადგილი უკავია და ამ მხრივ, ალბათ არც არაფერი შეიცვლება - "გრანატა" ბოლო სათამაშო დღეს "ალბინოლეფეს" ესტუმრება და წესით, სერია C-ში დაქვეითებულ გუნდთან მორიგი გამარჯვება უნდა მოიპოვოს. "ტოროს" გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს და როგორც იტალიელი საფეხბურთო ექსპერტები ამბობენ, ამ გუნდის ძალა სწორედაც რომ გუნდურობაშია. შესაბამისად, მუდმივ დითირამბებშია "ტორინოს" მთავარი მწვრთნელი **ჯამპიერო ვენტურა**, რომელმაც ერთ მუშტად შეკრა გუნდი და ერთი მიზნის ქვეშ გააერთიანა.

მიმდინარე სეზონში, გუნდის ყველაზე შედეგიანი ფორვარდი **მირკო ანტენუჩია**, რომელმაც 40 თამაშში მხოლოდ 10 გოლი გაიტანა – აქედანაც კარგად ჩანს, რომ "გრანატა" ერთ ფეხბურთელზე არაა დამოკიდებული. ცნობილ გვარებს ტურინულ გუნდში ნაკლებად შეხვდებით – შეგვიძლია **როლანდო ბიანკი** ვახსენოთ, რომელიც თავის დროზე "რეჯინაში" ბრწყინავდა და შემდეგ ინგლისურ "მანჩესტერ სიტიში" ამოყო თავი. ბიანკის მიმდინარე სეზონში 36 თამაში აქვს ჩატარებული და 8 გოლი გატანილი, ანუ, ძირითადი შემადგენლობის სრულფასოვანი მოთამაშეა. ყველაზე მეტი, 39 თამაში **ანჯელო ოგბონას** აქვს ჩატარებული და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამ ნიჭიერი მცველის საბაზრო ღირებულება 20 მილიონი ევროა... დიდია შანსი, ანჯელო ამავე ზაფხულს ევროპული ფეხბურთის გრანდში გადაბარგდეს, თუმცა ტურინელები ყველაფერს აკეთებენ, რომ მინიმუმ ერთი სეზონით შეინარჩუნონ. თუ მიაღწიეს მიზანს და კიდევ ორი-სამი მაღალი კლასის მოთამაშე დაიმატეს, ვინ იცის, იქნებ "ტორომ" ცხრილის ზედა ნაწილშიც დაიმკვიდროს ადგილი.

### პესკარა

"პესკარას" ცნობილი ჩეხი სპეციალისტი, **ზდენეკ ზემანი** უდგას სათავეში და ეს უკვე ძალიან საინტერესოა... ანუ, გამოდის, რომ სერია A-ში "იუვენტუსის" ერთდროულად ორი მტერი აღზევდა: ერთი "ტორინო" და მეორე, პერსონალურად ზემანი, რომლის ერთ-ერთი საყვარელი საქმე "ვეკია სენიორას" ლანძღვა-გინებაა. თუმცა, ლანძღვის გარდა, ზდენეკმა საქმეც შესანიშნავად იცის და "პესკარაში" ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა.

ზემანის გუნდები ტრადიციულად შემტევ ფეხბურთს თამაშობენ და გამონაკლისი არც "პესკარაა"... მიუხედავად იმისა, რომ სერია B-ს სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე "ტორინოა", ნეიტრალურ გულშემატკივართა სიმპატიები სწორედ "პესკარასკენ" იხრება, რადგან ზემანის გუნდი შემტევ და საოცრად ლამაზ ფეხბურთს თანაშობს, რომლის ყურებაც ერთ რამედ ღირს – თუ არ გჯერათ, ჩახედეთ სატურნირო ცხრილს და ყურადღება ამ გუნდის მიერ გატანილი გოლების რაოდენობას მიაქციეთ...

იმავე "ტორინოსგან" განსხვავებით, "პესკარაში" რამდენიმე მკვეთრად გამოხატული ტალანტი ასპარეზობს, რომლებზეც ევროპული ფეხბურთის გრანდებს ნადირობა აქვთ გამოცხადებული. თუნდაც **მარკო ვერატი**, 19 წლის ნახევარმცველი, რომელიც **ჩეზარე პრანდელიმ** იტალიის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში შეიყვანა; აღარაფერს ვამბობთ 22 წლის ფორვარდ **ჩირო იმობილეზე**, რომელმაც 35 თამაშში არც მეტი, არც ნაკლები, 28 გოლი გაიტანა (!!!). დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ 20 წლის თავდამსხმელ **ლორენცო ინსინიეს**, რომლის ანგარიშზეც 35 თამაში და 18 გოლია; დავამატოთ ამათ გამოცდილი **მარკო სანსოვინი**, რომელმაც 38 შეხვედრა გამართა და 16-ჯერ გამოიჩინა თავი. მოკლედ, ზემანს ზე-შემტევი გუნდი ჰყავს, ნიჭიერი ფეხბურთელებით და შესაბამისად, "პესკარას" ელიტაში გადასვლამ ბევრი ნეიტრალური გულშემატკივარი გაახარა. რას უნდა ველოდოთ ამ გუნდისგან სერია A-ში? – აბსოლუტურად ყველაფერს...



ზდენეკ ზემანი "პესკარას" ფეხბურთელებმა ჰაერში აიტაცეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორინო | 41 | 24 | 10 | 7 | 57-28 | 82 |
| 2. პესკარა | 41 | 25 | 5 | 11 | 89-55 | 80 |
| 3. სასუოლო | 41 | 21 | 14 | 6 | 54-32 | 77 |
| 4. ვერონა | 41 | 23 | 8 | 10 | 59-40 | 77 |
| 5. ვარეზე | 41 | 19 | 11 | 11 | 54-40 | 68 |
| 6. სამპდორია | 41 | 17 | 16 | 8 | 52-31 | 67 |
| 7. პადოვა | 41 | 18 | 9 | 14 | 56-56 | 63 |
| 8. ბრეშა | 41 | 15 | 12 | 14 | 47-46 | 57 |
| 9. იუვე სტაბია | 41 | 16 | 13 | 12 | 52-46 | 57 |
| 10. რეჯინა | 41 | 14 | 13 | 14 | 63-56 | 55 |
| 11. მოდენა | 41 | 12 | 15 | 14 | 49-57 | 51 |
| 12. გროსეტო | 41 | 11 | 16 | 14 | 47-58 | 49 |
| 13. კროტონე | 41 | 12 | 15 | 14 | 56-57 | 49 |
| 14. ჩიტადელა | 41 | 13 | 9 | 19 | 49-61 | 48 |
| 15. ბარი | 41 | 13 | 14 | 14 | 44-48 | 47 |
| 16. ასკოლი | 41 | 14 | 11 | 16 | 45-50 | 46 |
| 17. ლივორნო | 41 | 11 | 12 | 18 | 47-49 | 45 |
| 18. ემპოლი | 41 | 11 | 11 | 19 | 45-57 | 44 |
| 19. ვიჩენცა | 41 | 9 | 14 | 18 | 40-61 | 41 |
| 20. ნოჩერინა | 41 | 10 | 10 | 21 | 52-70 | 40 |
| 21. გუბიო | 41 | 7 | 11 | 23 | 37-66 | 32 |
| 22. ალბინოლეფე | 41 | 6 | 11 | 24 | 39-69 | 29 |

*შენიშვნა: ასკოლი – 7 ქულა, იუვე სტაბია - 4, ბარი – 6, კროტონე - 2 ქულა.*

**ბომბარდირები:** 28 – იმობილე (პესკარა); 21 – საუ (იუვე სტაბია); 20 – სფორცინი (გროსეტო), სანსონე (სასუოლო); 18 — ინსინიე (ბრეშა), ტავანო (ემპოლი).

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი



ლუკა მოდრიჩი 30 მილიონი ღირს

# მოუს მოდრიჩი მოუნდა!

## ჟოზე სანაცვლოდ დიარას და კაკას თმობს

მადრიდის „რეალს“ ახალი სეზონისთვის ჯერჯერობით არც ერთი ტრანსფერი არ განუხორციელებია, გარკვეული ძვრები კი უკვე შეინიშნება. ინგლისური და ესპანური მედიის ცნობით, „სამეფო გუნდის“ თავკაც **ჟოზე მოურინიოს** სასურველი ფეხბურთელების სიაში „ტოტენჰემის“ ნახევარმცველი **ლუკა მოდრიჩი** ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე წერია. პორტუგალიელ სპეციალისტს 26 წლის ხორვატი ძალიან მოსწონს და მისი მადრიდში გადაბირება უნდა. ჩვენი ინგლისელი კოლეგები იმასაც წერენ, რომ „რეალი“ მზადაა, „ტოტენჰემს“ მოდრიჩის სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო შესთავაზოს.

მოდრიჩი (46 მატჩი ხორვატიის ნაკრებში) „ტოტენჰემში“ 2008 წლიდან თამაშობს – თავის დროზე „სპურზმა“ ზაგრების „დინამოს“ მის სანაცვლოდ 21 მილიონი ევრო გადაუხადა. ლუკას „ტოტენჰემთან“ კონტრაქტი 2016 წლამდე აკავშირებს.

ესპანური პრესა კი იუწყება, რომ მოდრიჩის გადაბირების შემთხვევაში მოურინიო მზადაა, **კაკა** და **ლასანა დიარა** გაუშვას. მეტიც: „მარკას“ ცნობით, „რეალს“ ეს ფეხბურთელები აღარ სჭირდება და შეფები მზად არიან, ნებისმიერი შეთავაზება მოისმინონ. ბრაზილიელით პსჟ დაინტერესდა, დიარამ კი, შესაძლოა, „ტოტენჰემში“ ამოყოს თავი და მოდრიჩის გარიგების მონაწილე გახდეს. თავად ლუკა მოდრიჩი კი ამბობს, რომ გადაწყვეტილებას, სურს თუ არა „ტოტენჰემიდან“ აზარგება, მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მიიღებს.

**გოტფრიდ ლენცი**

გერმანიის ნაკრები

# იოზილი და ხედირაც იქ არიან

ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფ გერმანიის ნაკრებს გუშინ მადრიდის „რეალის“ ლეგიონერები, **მესუთ იოზილი** და **სამი ხედირაც** შეუერთდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** ახლა მხოლოდ „ბაიერნის“ მოთამაშეები აკლია, რომლებმაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშეს.

„ბაიერნის“ წაგებამ გული დამწყვიტა, - უთხრა გუშინ იოზილმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს სპეციალურ პრესკონფერენციაზე, - ფინალში წაგება ყოველთვის მტკივნეულია, მაგრამ ეს მარცხი ორმაგად სამწუხარო იყო, რადგან „ბაიერნმა“ „ჩელსის“ თამაშით აჯობა. მაგრამ ამ წაგებამ „ბაიერნის“ ფეხბურთელები შოკში არ უნდა ჩააგდოს. წინ ევროპის ჩემპიონატია და ბუნდესგუნდის ნევრ თითოეულ ბაიერნელს სალი გონება სჭირდება. პირადად მე შვაინშტაიგერისა და კომპანიის შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება.“

„არა მგონია, რომ „ბაიერნის“ წაგებამ გერმანიის ნაკრებზე ცუდად იმოქმედოს. ევროპის ჩემპიონატი ჩემპიონთა ლიგაზე ათმაგად მნიშვნელოვანი ტურნირია და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ იოახიმ ლიოვს ბაიერნელების მოტივირება არ გაუჭირდება. მჯერა, შვაინშტაიგერი, მიულერი, ნოიერი და სხვები „ჩელსისთან“ განცდილ დასანან მარცხს მალე დაივიწყებენ,“ - ეს კი მატს ჰუმელსის სიტყვებია.

ბაიერნელები გერმანიის ნაკრებს სავარაუდოდ კვირის ბოლოს შეუერთდებიან. მანამდე ლიოვი 19 ფეხბურთელს წვრთნის. შაბათს ბუნდესგუნდი ბაზელში შვეიცარიის ნაკრებს ბაიერნელების გარეშე შეხვდება.

**გოტფრიდ ლენცი**



მესუთ იოზილი და სამი ხედირა

ვოლფსბურგი

# ჰოლანდიელი გოლეადორი მგლებში!

## ვოლფსბურგმა ბას დოსტში 10 მილიონს იხდის



32 გოლი 34 მატჩში: 22 წლის ბას დოსტი ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა

„ვოლფსბურგმა“ ევროპალიგის საგზური ვერ მოიპოვა და კლუბის დამფინანსებელი ავტოკონცერნი „ფოლკსვაგენი“ „მგლების“ მწვრთნელსა და მენეჯერს **ფელიქს მაგათს** ძვირადღირებული ტრანსფერების განხორციელების უფლებას აძლევს: ისევე, როგორც შარშან, მაგათი ამ ზაფხულშიც ბევრი ფულის დახარჯვას აპირებს. 58 წლის „დესპოტმა ფელიქსმა“ გასულ უქმეებზე მორიგი ხმაურიანი ტრანსფერი სრულყო: „ვოლფსბურგმა“ „ჰერენვენის“ 22 წლის გოლეადორი, **ბას დოსტი** დაიბევა. „ბილდის“ ცნობით, მაგათი ახალგაზრდა ჰოლანდიელში 10 მილიონ ევროს იხდის.

დოსტი ნამდვილი „საგოლე მანქანაა“ - გასულ სეზონში 32 გოლი (4 პენალტით) გაიტანა და ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა – მეორე ადგილზე გასულ **ლუუკ დე იონგს** (ტვენტე) შვიდი გოლით აჯობა. დოსტის ტრანსფერი „ვოლფსბურგისთვის“ პირველ რიგში იმას ნიშნავს, რომ **მარიო მანჯუკიჩს** ცენტრფორვარდის პოზიციაზე სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა და დიდი შანსია, რომ 25 წლის ხორვატმა თავდამსხმელმა (12 გოლი გასულ სეზონში) „ვოლფსბურგი“ დატოვოს. ცნობილია, რომ მაგათს ეს უკანასკნელი გულზე აღარ ეხატება. ამას წინათ ფელიქსმა თქვა, მარიოს შეუძლია, ახალი გუნდი ეძებოს – 10 მილიონ ევროდ ნებისმიერს დავუთმობთო.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მაგათი მხოლოდ დოსტის ტრანსფერით არ შემოიფარგლება და ზაფხულში კიდევ არაერთ ახალ ფეხბურთელს გადაიბირებს. ფელიქსის მიზანი გაისად მინიმუმ ევროპალიგის საგზურის მოპოვებაა. აღსანიშნავია, რომ მაგათმა შარშანაც ძალიან ბევრი ფეხბურთელი შეიძინა, გასულ სეზონში კი სულ 36 მოთამაშე გამოიყენა, რაც ბუნდესლიგის რეკორდია. გარკვეულია, რომ „ვოლფსბურგს“ 35 წლის **ჰასან სალიჰამიჯიჩი**, 30 წლის **თომას ჰიტცლშპერგერი** და 33 წლის მცველი **კრისი** ტოვებენ. გარდა ამისა, ზაფხულში მაგათი არაერთ ფეხბურთელს გაანათხოვრებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ლივერპული

# დე ბურის უარი

## და ვილაშ ბოაშის გარანტიები

“დე ტელეგრააფთან” ინტერვიუში “აიაქსის” მთავარმა მწვრთნელმა **ფრანკ დე ბურმა** განაცხადა, რომ მიუხედავად მისი პერსონისადმი “ლივერპულის” ინტერესისა, უახლოესი წლების განმავლობაში ის ამსტერდამიდან ფეხის მოცვლას არ აპირებს. *“ჩემთვის ეს უზარმაზარი პატივია, მაგრამ მუშაობა “აიაქსში” სულ 2 წლის წინ დავიწყე. ამსტერდამში ძალიან დიდ პროექტს ჩავუყარეთ საფუძველი და ძალიან არ მინდა, რომ ამ პროცესს მოვწყდე. დიდი სურვილი მაქვს, ვიმ იონკთან და დენის ბერგკამპთან, სხვა ჩემს კოლეგებთან ერთად დაწყებული საქმე წარმატებით დავაგვირგვინო. სწორედ ეს არის უპირველესი მიზეზი იმისა, რატომაც არ მინდა “აიაქსიდან” წასვლა,”* – თქვა დე ბურმა. არადა, ბოლო დღეების განმავლობაში სწორედ დე ბურს, **ანდრე ვილაშ ბოაშსა** და **რობერტო მარტინესს** ასახელებდნენ “ლივერპულში” დანიშვნის უმთავრეს პრეტენდენტებად. ჰოლანდიელამდე “ენფილდზე” მუშაობა “სუონსის” დამრიგებელმა **ბრენდან როჯერსმა** და “დორტმუნდის” თავკაცმა **იურგენ კლოპმა** იუარეს.

კიდევ ერთი, ვის კანდიდატურასაც “წითლები” სერიოზულად განიხილავენ, ეს ანდრე ვილაშ ბოაშია. პორტუგალიელმა სპეციალისტმა კლუბის ხელმძღვანელობასთან პირველი შეხვედრა უკვე გამართა. მან მოითხოვა კლუბისგან იმის განმარტება, მისგან, როგორც სავარაუდო მენეჯერისგან, ზუსტად რას ითხოვდნენ. რაკი ლაპარაკი კონკრეტულ პირობებს შეეხო, “ინდეპენდენტმა” ივარაუდა, რომ ამიერიდან სწორედ ანდრე უნდა ჩავთვალოთ უპირველეს კანდიდატად. “ლივერპულის” აღმასრულებელი დირექტორი **იან ეირი** და მწვრთნელის აგენტი **კარლუშ გონსალვეში** მომდევნო შეხვედრას ერთი კვირის შემდეგ გამართავენ. მხარეები მოვლენათა ფორსირებას არ აპირებენ, რადგან ერთსაც და მეორესაც უკვე აქვთ მწარე გამოცდილება, თუ რა მოსდევს ცხელ გულზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. ვილაშ ბოაშს სჭირდება კონკრეტული დრო გუნდის თავის ჭკუაზე მოსაყვანად, მყარი გარანტიები, რომ მას ხელს არავინ შეუშლის გუნდის მშენებლობის პროცესში და რაც მთავარია – ფინანსები. *“ჯერ კიდევ ვფიქრობ და ვარჩევ ჩემთვის იდეალურ პროექტს. გადაწყვეტილების მისაღებად ჯერ კიდევ მჭირდება დრო,”* – აცხადებს ახალგაზრდა მწვრთნელი. “ლივერპულის” გარდა პორტუგალიელს “რომაც” იწვევს.

**ლევან ბიბილაშვილი**



ანდრე ვილაშ ბოაშმა ლივერპულს კონკრეტული მოთხოვნები წაუყენა

ამბები

### დროგბა ჩელსის ეყრება

“ჩელსის” 34 წლის კოტდივუარელი სუპერვარსკვლავი **დიდიე დროგბა** ლონდონური კლუბიდან მიდის, ამტკიცებს “ფრანს ფუტბოლი” მავან წყაროზე დაყრდნობით. დიდიე თანაგუნდელებს აღნიშნულ თემაზე თურმე უკვე ესაუბრა და დაუდასტურა, რომ კლუბის მიერ შეთავაზებულ ახალ ხელშეკრულებაზე უარი თქვა. რომ დაფიქრდე, დროგბა ამაზე უკეთეს დროს “სტემფორდ ბრიჯიდან” წასასვლელად ველარ ნახავს, რადგან მას აქვს შანსი, “ჩელსის” გულშემატკივარს ტრიუმფატორის რანგში დაემშვიდობოს. დროგბამ “ჩელსიში” 8 სეზონი გაატარა და ამ დროის განმავლობაში 339 შეხვედრაში 157 გოლი შეაგდო. ლონდონში მან 3-ჯერ მოიგო პრემიერლიგა (2004/05, 2005/06, 2009/10), 4-ჯერ ასოციაციის თასი (2006/07, 2008/09, 2009/10, 2011/12) და 2-ჯერ ინგლისის ლიგის თასი (2004/05, 2006/07).

### რამირესი ნაწყენია

“ჩელსის” 25 წლის უნივერსალმა ნახევარმცველმა **რამირესმა** წყენა ვერ დამალა, რომ ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მანო მენეზეში** ბოლო პერიოდში მას “სელესაოს” რიგებში არ იწვევს. უკანასკნელად ყვითელი მაისურა ფეხბურთელმა 2011 წლის 10 ოქტომბერს გერმანიის ნაკრებთან წაგებულ შეხვედრაში (3:2) ჩაიცვა. *“არასოდეს წარმომედგინა ჩემი თავი ბრაზილიის ნაკრებს მიღმა, მაგრამ ჯობია, თუკი ლაპარაკის ნაცვლად საქმეს მოვკიდებ ხელს და ასე დავუმტკიცებ მწვრთნელს, რომ ნაკრებში მიწვევას ვიმსახურებ. თუკი ის ჩათვლის, რომ ამის ღირსი ვარ, დარწმუნებული ვარ, რომ ისევ დამიძახებს,”* – განუცხადა გამოცემა Lancenet–ს ფეხბურთელმა.

### 20 მილიონი ვესტ ჰემს

პრემიერლიგაში დაბრუნების შემდეგ “ვესტ ჰემი” გაძლიერებას გეგმავს. “ჩაქუჩების” ხელმძღვანელობა ახალი ფეხბურთელების შესაძენად **სემ ელერდაისს** 20 მილიონ ფუნტს გამოუყოფს. *“დაძაბული მზადება პრემიერლიგის ახალი სეზონისთვის უკვე დღეიდან უნდა დავიწყოთ, რადგან იმისთვის, რომ ელიტაში წარმატებას მივაღწიოთ, ჯერ კიდევ ძალიან დიდი სამუშაოები გვაქვს ჩასატარებელი. ვფიქრობ, კლუბი გამონახავს 20 მილიონ ფუნტს, რაც კონკრეტულად შემადგენლობის გასაძლიერებლად დაიხარჯება,”* – განაცხადა “ვესტ ჰემის” ერთ-ერთმა მესაკუთრე **დევიდ გოლდმა**. გოლდის გარდა კლუბის აქციებს მისი ბიზნესპარტნიორი **დევიდ სალივანი** ფლობს. გარდა შემადგენლობის გაძლიერებისა, კლუბი თავისი ლიდერებისთვის კონტრაქტების გახანგრძლივებასაც აპირებს. ლაპარაკია **კარლტონ კოულსა** და **რობერტ გრინზე**.

**ლევან ბიბილაშვილი**

ლიგა 1. ახალი ჩემპიონი

# ყველაზე ხანგრძლივი თამაში კარიერაში



მონპელიეს პრეზიდენტი ლუი ნიკოლენი

კვირას საღამოს საფრანგეთის 38-ე ტურის ყველა მატჩი ჩვენი დროით 23:00-ზე დაიწყო და წესით ყველა დროის მოკლე ინტერვალში უნდა დამთავრებულიყო. თუმცა თამაში (ოსერი-მონპელიე), სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა უნდა მომხდარიყო (მთელი ქვეყანა ახალი ჩემპიონის დაბადებას ელოდა), მასპინძელ გულშემატკივართა მიერ ტრიბუნებზე მონყობილი არეულობების გამო სამჯერ შეწყდა. ისინი მოედანზე ჩოგბურთის ბურთებს, ტუალეტის ქაღალდებს, პომიდვრებსა და პიროტექნიკურ საშუალებებს ისროდნენ. ამის გამო თამაში მეტისმეტად გაიწელა. ის სხვებზე თითქმის 45 წუთით გვიან დასრულდა. "ოსერთან" თამაშის დამთავრების შემდეგ ჩემპიონების მთავარმა მწვრთნელმა ჟურნალისტების წინაშე საჩემპიონო მატჩის შთაბეჭდილებებზე ილაპარაკა: *"ჩვენი გამარჯვება ფრანგულ ფეხბურთზე დადებით ზეგავლენას მოახდენს. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ვინმეს წინაშე შიში უსაფუძვლოა და რაც მთავარია, მნიშვნელოვანია, რომ ყოველ მატჩში ბოლომდე იხარჯებოდე. ფანტასტიკური სეზონი იყო და ჩემი ფეხბურთელებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენ 100%-ით დავიმსახურეთ ეს ტრიუმფი. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭები ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდები არიან, მათ შეძლეს, ბოლომდე შეენარჩუნებინათ ცივსისხლიანობა. ახლა ჩემპიონთა ლიგაში მოგვიწევს თამაში და არათუ შემადგენლობის შენარჩუნება, არამედ ფეხბურთელების გადმობირებაც კი არ გვაწყენდა, რათა ამ ტურნირში თავი ღირსეულად წარმოვაჩინოთ.*

*როცა ტრიბუნებზე სიტუაცია ძალიან იძაბება, ყოველთვის ნერვიულობ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ყველაფერი დასრულდეს. თუმცა ჯობს გვიან მაინც ჩაწყნარდეს, ვიდრე დაუსრულებლად გაიწელოს. რაღაც მომენტში მომეჩვენა, რომ ამას ბოლო არ ექნებოდა და მსაჯს ვკითხე, შეიძლებოდა თუ არა ყველაფერი დილის 5 საათამდე გაგრძელებულიყო. შესაძლოა ეს იყო ყველაზე გრძელი მატჩი ჩემს კარიერაში".*

მატჩის დასრულების შემდეგ "მონპელიეს" პრეზიდენტმა **ლუი ნიკოლენმა** გულშემატკივრებისთვის მიცემული პირობა შეასრულა და "იროკეზის" ვარცხნილობა დაიტოვა. რაც მთავარია, დარჩენილი თმები საკლუბო ფერებში (ნარინჯისფერი და ლურჯი) შეიღება. ის აცხადებს, რომ თუკი 2012/13 წლების ჩემპიონთა ლიგას მისი გუნდი მოიგებს, მზადაა, თმაც კი გადაიპარსოს, - იუწყება "ეკიპი". ნიკოლენმა "მონპელიე" 1974 წელს შეიძინა. პირველი სერიოზული გამარჯვება, საფრანგეთის თასი, კლუბმა 1990 წელს მოიპოვა, 1992 წელს კი ლიგის თასსაც დაეუფლა. ახალმა ჩემპიონებმა 82 ქულა დააგროვეს და "პარი სენ-ჟერმენს" 3-ით გაუსწრეს. ლიგა 1-ის ბრინჯაოს პრიზიორი შარშანდელი ჩემპიონატის გამარჯვებული "ლილი" შეიქნა.

ინტერვიუ. დარიო სრნა

# გვინდა, ჩვენით იამაყონ

**გთავაზობთ ინტერვიუს ხორვატიის ნაკრების კაპიტან დარიო სრნასთან, რომელიც ევრო 2012-ისთვის სლავენ ბილიჩის გუნდის მზადების შესახებ გვიყვება.**

**- დარიო, ევროპის ჩემპიონატამდე დასვენება ალბათ ნორმალურად მოასწარით.**

- დიახ, ჯერ ჩემს მშობლებთან ვიყავი, შემდეგ ოჯახთან ერთად რამდენიმე დღე სხვაგან დავისვენე.

**- ხორვატიაში რომელ ქალაქში გაქვთ შეკრება?**

- როვინში. ეს არის პატარა ტურისტული ქალაქი ისტრიაში, ზღვის ნაპირას.

**- შეკრებას გუშინ შეუერთდით. პარტნიორები როგორ შეხვდნენ თავის კაპიტანს?**

- ყველაფერი რიგზეა. ჩვენთან საკმაოდ მხიარული და მეგობრული ატმოსფერო სუფევს. წინ კიდევ სამი კვირა გვაქვს ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად.

**- როგორი განწყობაა ნაკრებში?**

- რა თქმა უნდა, ყოველ ჩვენგანს ეამაყება, რომ ევროპის ჩემპიონატზე მოუწევს თამაში. ვეცდებით, კარგი შედეგი ვაჩვენოთ, მთლიანად დავიხარჯოთ და გულშემატკივარს ხარისხიანი ფეხბურთი შევთავაზოთ. გვსურს, რომ მთელი ერი ამაყობდეს ჩვენით.

**- ედუარდო ნაკრებს თქვენზე ადრე შეუერთდა. როგორ გრძნობს თავს? ფორმის აკრეფას მოასწრებს?**

- ის სპეციალურად გამოცხადდა შეკრებაზე 4-5 დღით ადრე, რადგან სეზონის განმავლობაში ბევრი გაუცდა. მას ესმის, რა პასუხისმგებლობაც ეკისრება და შეეცდება, რომ ევროპის ჩემპიონატს მაქსიმალურად კარგად მომზადებული შეხვდეს. თავისი საქციელით მან თავისი პროფესიული და ადამიანური ღირსებები გამოავლინა – ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რამდენად უყვარს და რამდენად აფასებს ის ჩვენს ქვეყანას.

**- რა რეჟიმით ვარჯიშობს ხორვატიის ნაკრები?**

- ჩვენ ორიოდე დღის წინ დაგვეწყო მინიციკლი - დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვაქვს, ერთი ფიზიკური, მეორე – ტექნიკური, ანუ უფრო მეტად ბურთით. პარასკევს ავსტრიაში გამგზავრებამდე ერთი ამხანაგური მატჩი გველის ქალაქ პულაში.

**- პულაში ესტონეთთან მატჩში არცთუ ყველაზე ტევად არენაზე მოგიწევთ თამაში. როგორ ფიქრობთ, ყველა მსურველი შეძლებს სტადიონზე მოხვედრას?**

- არცთუ ისე დიდი ხნის წინ ჩვენ იქ ჩეხებს ვეთამაშეთ და 4:2 დავამარცხეთ. ახლა რა თქმა უნდა უფრო ბევრს დააინტერესებ, თუ როგორ ფორმაშია ხორვატია ჩემპიონატის დაწყებამდე. თუმცა ეს მხოლოდ ამხანაგური მატჩი იქნება, სადაც ბევრი ფეხბურთელი ითამაშებს.

**- ბილიჩი ყველასთვის შეეცდება სათამაშო დროის გამოყოფას?**

- დიახ, ყველას გამოცდის. მატჩის შემდეგ კი ალბათ დაასახელებს იმ ფეხბურთელებს, რომელთაც უკრაინა-პოლონეთში წაიყვანს თან.



დარიო სრნა ხორვატიის ნაკრების შეკრებას ორი დღის წინ შეუერთდა

ინგლისის ნაკრები

# რუნი ასე ემზადება...



"მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების 26 წლის ვარსკვლავმა **უეინ რუნიმ** საკლუბო სეზონის დასრულებისთანავე ლას ვეგასს მიაშურა და რამდენიმე დღე იქ აქტიურად "დაისვენა". პაპარაცებმა ის აზარტული თამაშების მსოფლიო დედაქალაქის ერთ-ერთ ღამის კლუბში ლამაზმანების გარემოცვაში დააფიქსირეს. ვარსკვლავი ამერიკას მეუღლე **კოლინთან** და ვაჟ **კაემთან** ერთად ესტუმრა, მაგრამ ღამის თავგადასავლების საძებნელად მათ გარეშე გაეშურა. როგორც "სანის" ჟურნალისტები ირწმუნებიან, რუნიმ რამდენიმე საათი ჯერ ერთ-ერთ კაზინოში გაატარა, ღამის კლუბში კი მხოლოდ ამის შემდეგ გაეშურა, სადაც შუაღამემდე დარჩა. ფეხბურთელი იქ ქალბატონების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა, თუმცა რამე "საეჭვო" ჟურნალისტებს არ დაუფიქსირებიათ. რუნიმ ძალიან ბევრი იცეკვა, უარი არ უთქვამს არც ალკოჰოლურ სასმელებზე. ფეხბურთელის ყოველ ნაბიჯს მისი პირადი მცველები აკონტროლებდნენ და ვარსკვლავთან მიახლოების საშუალებას ყველას არ აძლევდნენ. ფეხბურთელის ვიზიტის შესახებ წინასწარ იყო გაფრთხილებული ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **როი ჰოჯსონი**. მისი თქმით: *"მძიმე სეზონის შემდეგ ფეხბურთელებს განტვირთვისთვის ხანდახან დათრობაც სჭირდებათ"*. ასე რომ, რუნის შეუძლია მშვიდად იყოს, მისი დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი არ დაისმება.

როგორც ცნობილია, ევრო 2012-ის შესარჩევი ეტაპის ბოლო შეხვედრაში ჩერნოგორიის წინააღმდეგ ფეხბურთელს უხეში თამაშისთვის 3-თამაშიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა მისჯილი. აპელაციის შემდეგ ეს ვადა 2 მატჩამდე შეამცირეს. ასე რომ, ფეხბურთელს პირველად მოედანზე გასვლის უფლება მხოლოდ მესამე ტურში უკრაინის ნაკრებთან მიეცემა. "ახლა ირკვევა, რომ "იუნაიტედის" შემადგენლობაში უეინ რუნიმ ბოლო 3-4 თამაში ტრავმირებულმა ჩაატარა. იმისთვის, რომ სიტუაცია სრულად მოწესრიგდეს, მას რამდენიმე კვირა დასჭირდება. სეზონის დასრულებამდე კი ამაზე კლუბში დუმდნენ", - აღშფოთებულია ჰოჯსონი.

მანჩესტერ სიტი

# რობერტო მანჩინის სატრანსფერო მადა

"მანჩესტერ სიტის" მთავარ მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** არაერთხელ უთქვამს, თუნდაც სეზონის მიმდინარეობისას, რომ ის შემადგენლობის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას ისურვებდა. ერთ-ერთი ასეთი ტირადის შემდეგ "არსენალის" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** იტალიელს მოუწოდა, ყურადღებით გადაეხედა მისი გუნდის განაცხადისთვის და საკადრო პრობლემებზე მხოლოდ ამის მერე ეწუწუნა. მანჩინის რომ ახალი ფეხბურთელების შეძენა უნდა, ეს ერთია, მაგრამ მას "სიტის" ბოსობაც ეთანხმება და მზადაა, ამ მიზნით თანხები გამოყოს. "სიტის" მესაკუთრემ, შეიხმა **მანსურმა**, როგორც ჩანს, ნამეტანი გემო ჩაატანა პრემიერლიგის მოგებას და ამის გასამეორებლად და პლუს, ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად ძალასა და სახსრებს არ დაიშურებს.

რობერტო მანჩინი ამ ეტაპზე გაურბის კონკრეტულ გვარებზე ლაპარაკს. შესაბამისად, ბრიტანულ პრესას ისღა დარჩენია, რომ მკითხველი მხოლოდ სავარაუდო შენაძენებზე ლაპარაკით "კვებოს". მაგალითად, დაიწერა, რომ "ქალაქელებს" "ლილიდან" **ედენ აზარის**, "მილანიდან" **ზლატან იბრაჰიმოვიჩის**, "ბილბაოდან" კი **ფერნანდო ლორენტეს** შეძენა სურთ. ბევრი იწერებოდა ასევე **სერხიო აგუეროსა** და **გონსალო იგუაინის** შესაძლო გაცვლაზეც, მაგრამ არ გვგონია, მანჩინი ამას დათანხმდეს, რადგან კლასიკური ცენტრფორვარდები მას ისედაც ჰყავს, აგუეროს კი იგუაინი, თავისი სათამაშო სტილიდან გამომდინარე, ვერ შეცვლის. *"სატრანსფერო ბაზარზე მუშაობის დრო ჯერ კიდევ მოვა. აუცილებელია, რათა გუნდი სათანადოდ გავაძლიეროთ, თუმცა გადაწყვეტილებების მიღებას არ ვიჩქარებთ,"* – აცხადებს მანჩინი.

გუშინდელმა "გაძეტა დელო სპორტმა" მკითხველს აუწყა, რომ "ინტერი" ინგლისის ჩემპიონებს **მაიკონის ნაიჯელ დე იონგში** გაცვლას სთავაზობს და რაკი ბრაზილიელი უკვე ასაკშია, მზადაა, ამისთვის ფულადი კომპენსაციაც გაიღოს. აქვე გეტყვით, რომ ფრანგი ჟურნალისტები მაიკონის შეძენას თავის მხრივ "პარი სენ-ჟერმენს" უწინასწარმეტყველებენ.

იქამდე ვიდრე **ადამ ჯონსონი** "მანჩესტერ სიტიში" გადავიდოდა, ის ინგლისის ნაკრების ერთ-ერთ უმთავრეს იმედად მიიჩნეოდა, მაგრამ 24 წლის მარჯვენა ნახევარმცველს "ქალაქელთა" რიგებში თამაშის საშუალება მხოლოდ შეცვლებზე უწევდა. მართალია ყურს ხვდება, რომ ჯონსონმა სეზონის განმავლობაში ყველა ტურნირზე ერთად 38 თამაში გამართა, მაგრამ აქედან სასტარტოში ის სულ 16-ჯერ იყო და საფინალო სასტვენამდე მოედანზე მხოლოდ 6-ჯერ დარჩა. შედეგი ლოგიკური მივიღეთ: როი ჰოჯსონმა ნახევარმცველი ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანთა სიაში არ შეიყვანა. ჯონსონი საკუთარი მდგომარეობით უკმაყოფილოა. მისი აგენტი შეეცდება, "სიტის" ხელმძღვანელობა კლიენტის "ევერტონში" ან "სანდერლენდში" ერთწლიან იჯარაზე დაითანხმოს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



მანჩესტერ სიტის მთავარი მწვრთნელი რობერტო მანჩინი

ბაიერნი. ფინალის უცნობი დეტალები

# პენალტის დარტყმა არავის უნდოდა!

## ჰიონესი წუხს: ეჰ, სად არ იყვნენ იერემისი და ეფენბერგი...



ბაირნელები პენალტების სერიის შემდეგ

**„ბაიერნი“ ჯერ კიდევ შოკშია – გერმანელებს ვერაფრით მოუნელებიათ ის, რომ მათმა რეკორდმაისტერმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში ინგლისურ კლუბთან თერთმეტმეტრიანების სერიაში წააგო. უშუალოდ ფინალის დროს, პენალტების სერიის წინ და თერთმეტმეტრიანების შესრულებისას დაკვირვებული თვალი აუცილებლად შეამჩნევდა, რომ ბაიერნელები ერთმანეთში უცნაურ დისკუსიებს მართავდნენ.**

ისე ჩანდა, თითქოს პენალტის დარტყმა არავის უნდოდა, ანაც იმაზე მსჯელობდნენ გაუთავებლად, ვის რა დროს უნდა დაერტყა. სანამ **მანუელ ნოიერი** დაარტყამდა, „ბაიერნის“ სათადარიგოთა სკამზე სხვადასხვა ჟესტიკულაციასაც შენიშნავდით – ბევრს გაუკვირდა, პენალტის დასარტყმელად მანუ რომ მივიდა.

„ბილდის“ ინფორმაციით, მიუნხენური გრანდის მთავარ მწვრთნელ **იუპ ჰაინკესს** ხუთეულის შერჩევა ძალიან გაუჭირდა, რაც 67 წლის სპეციალისტმა კვირას დაადასტურა კიდეც: *„რამდენიმე ფეხბურთელმა პენალტების სერიაში მონაწილეობაზე უარი მითხრა. ცხადია, მათ ამას ვერ დავაძალებდი...“*

რა მოხდა სინამდვილეში? ფაქტია, რომ ჰაინკესი ნოიერზე ისედაც სერიოზულად ფიქრობდა და როცა სხვებმა უარი უთხრეს, საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მანუს ერთ-ერთი პენალტი უნდა შეესრულებინა. თავად ნოიერი ამბობს, ვფიქრობდი, რომ ბოლოსწინა პენალტს შევასრულდებდი, მაგრამ როცა დავინახე, რომ დასარტყმელად არავინ მიდიოდა, მე წავედიო. მანუ **ივიცა ოლიჩს** გულისხმობს – როგორც ირკვევა, „ბაიერნიდან“ მესამე პენალტი სწორედ ხორვატს უნდა შეესრულებინა, ნოიერს კი მეოთხე უნდა დაერტყა, მაგრამ რაკი ოლიჩმა ფეხი არ მოიცვალა, მესამე პენალტი ნოიერმა დაარტყა და გაიტანა. ოლიჩი ნიშნულთან მანუს შემდეგ მივიდა და როგორც იცით, მას ჩეხმა აუღო.

### მიულერი ტიმოშჩუკს ეხვეწებოდა, რობენი - გომესს

იდეაში, პენალტი აუცილებლად უნდა დაერტყა თომას მიულერსაც, მაგრამ რაკი ჰაინკესმა მატჩის მიწურულს შეცვალა, ამის უფლება აღარ ჰქონდა და „ბილდის“ ცნობით, მიულერმა **ანატოლი ტიმოშჩუკს** სთხოვა, შენ დაარტყიო, რაზეც უკრაინელისგან სასტიკი უარი მიიღო. ამაზე მიულერი ძალიან გაბრაზდა და წყლის ბოთლი ძირს დაახეთქა.

პენალტის დარტყმა არაფრის დიდებით აღარ სურდა **არიენ რობენსაც** (ჰოლანდიელმა ხომ დამატებით დროში ვერ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი) და ჩვენი გერმანელი კოლეგები ირწმუნებიან, არიენმა **მარიო გომესს** სთხოვა, შენ უნდა დაარტყაო – როგორც იცით, გომესმა გაიტანა.

მიულერის დარად, პენალტის შესრულება არ შეეძლო **ფრანკ რიბერისაც**, რადგან მან მოედანი 97-ე წუთზე დატოვა. სწორედ ფრანგის ნაცვლად დაარტყა ოლიჩმა, რომელსაც დარტყმამდე სახეზე ეტყობოდა, რომ თავდაჯერება აკლდა – ივიცამ ვერც გაიტანა. რაც შეეხება შვაინშტაიგერს – ბასტიანი ყველა შემთხვევაში დაარტყამდა და როგორც იცით, შვაინიმ გადამწყვეტი პენალტი ვერ გამოიყენა (ბურთი ძელს მოარტყა).

პოსტფაქტუმ

### შვაინშტაიგერმა გერმანიის პრეზიდენტს მოუბოდიშა

#### ხელი იმიტომ არ ჩამოვართვი, რომ ვერ დავინახეო...

**ბასტიან შვაინშტაიგერმა** გერმანიის პრეზიდენტ **იოახიმ გაუკს** ოფიციალურად მოუბოდიშა იმის გამო, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ, დაჯილდოების ცერემონიის დროს, ბუნდესპრეზიდენტს ხელი არ ჩამოართვა. გაუკმა შვაინის ხელი გაუწოდა, ბასტიანმა კი უმოქმედოდ ჩაუარა და ბუნდესპრეზიდენტი გაოცებული დატოვა.



დაჯილდოების დროს შვაინშტაიგერმა ბუნდესპრეზიდენტ გაუკს ხელი არ ჩამოართვა

*„ამის გამო ძალიან ვწუხვარ. საშინელ ხასიათზე ვიყავი, ვერაფერს ვხედავდი და ვერაფერს ვგრძნობდი. ვერც ბუნდესპრეზიდენტის გამოწვდილი ხელი ვერ შევნიშნე. ბოდიშს ვიხდი!“* - განაცხადა შვაინშტაიგერმა.

### ჰიონესი: აფსუს, იერემისი...

ალსანიშნავია, რომ ბაიერნელებს ფინალამდე პენალტებში თითქმის არ უვარჯიშიათ. ჰაინკესი ფიქრობდა, რომ ეს არ იყო აუცილებელი, რადგან ამ სეზონში რეკორდმაისტერმა თერთმეტმეტრიანების სერია ორჯერ მოიგო – გერმანიის თასის ნახევარფინალში „გლადბახთან“ და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „რეალთან“.

*„პენალტების სერიის წინ ძალიან ბევრმა ჩაისვარა,* - განრისხებულია „ბაიერნის“ პრეზიდენტი **ული ჰიონესი**, - *ასეთ რამეს ვერ წარმოვიდგენდი! ვერცერთ ფეხბურთელში ვერ დავინახე ისეთი აღტკინება და მონდომება, როგორიც 2001 წელს იენს იერემისს ჰქონდა. როგორც ჩანს, ჩვენ სწორედ ასეთი ფეხბურთელები გვაკლია. აღარაფერს ვამბობ შტეფან ეფენბერგზე, რომელიც ასეთ დროს ყველაფერს მოაგვარებდა და პენალტს მშიშრებსაც კი არა მარტო დაარტყმევინებდა, არამედ გაატანინებდა კიდეც!“*

რაღა უნდა დავამატოთ – ული ცამდე მართალია.

ჩელსი

# ობი მიკელი: რობენს ვუთხარი, ვერ გაიტან-მეთქი!

ჩემპიონთა ლიგის ფინალში, 95-ე წუთზე **არიენ რობენმა** პენალტი რომ ვერ გაიტანა, ეს არა მარტო „ჩელსის“ მეკარე **პეტრ ჩეხის**, არამედ ნახევარმცველი **ობი მიკელის** დამსახურებაც ყოფილა. ტელეეკრანზე ეს კარგად არ ჩანდა და შესაძლოა, ვერავინ შეამჩნია, მაგრამ ფაქტია, რომ პენალტის დარტყმამდე მიკელი რობენთან მივიდა და რაღაც უთხრა.

*„რობენს ვუთხარი, პენალტს ვერ გაიტან, რადგან ჩეხმა ზუსტად იცის, რომელ კუთხეშიც ურტყამ-მეთქი. ჩეხმა მას თერთმეტმეტრიანი მართლაც აუღო, რის შემდეგაც უკვე საბოლოოდ ვირწმუნეთ, რომ ჩემპიონთა ლიგის თასი ჩვენ დაგვრჩებოდა. სწორედ იმ მომენტში მივხვდით, რომ ეს ჩვენი დღე იყო“*, - განუცხადა მიკელმა „სანს“.

ჩვენი ინგლისელი კოლეგები ლონდონელთა კიპერ პეტრ ჩეხსაც გაესაუბრნენ. აი, რა უთხრა ჩეხმა „სანს“: *„რობენი პენალტებს სხვადასხვანაირად ურტყამს ხოლმე. ზუსტად არ ვიცოდი, რომელ კუთხეში დაარტყამდა. სამაგიეროდ, ვიცი, რომ 100 წუთის შემდეგ ფეხბურთელების უმრავლესობა თერთმეტმეტრიანის შესრულებისას უპირატესობას ძალისმიერ დარტყმას ანიჭებს და არა ტექნიკურ შესრულებას.“*




მომენტი, როცა ობი მიკელი არიენ რობენს ესაუბრებოდა

დიუსელდორფის საქმე

# არანაირი გადათამაშება: ჰერტა გავარდა!

გუშინ, გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულმა სასამართლომ „ფორტუნა“-„ჰერტას“ სკანდალურ მატჩს საბოლოო განაჩენი გამოუტანა: „ჰერტას“ პროტესტმა შედეგი არ გამოიღო, მოსამართლემ ბერლინული კლუბის არგუმენტები გადათამაშების დანიშვნისთვის არასაკმარისად მიიჩნია, რაც იმას ნიშნავს, რომ „ჰერტა“ მეორე ბუნდესლიგაში უკვე ოფიციალურად გავარდა, ხოლო დიუსელდორფის „ფორტუნა“ კი მომავალ სეზონში პირველ ბუნდესლიგაში ითამაშებს.

მოსამართლე **ჰანს ლორენცმა** განაჩენი ჩვენი დროით 17:06-ზე გამოაცხადა: *„საბოლოო გადაწყვეტილების მიღება იოლი არ იყო. ასეთი შემთხვევა და ერთდროულად ამდენი ბრალდება პრაქტიკაში აქამდე არასდროს გვქონია. მესმის, რომ განაჩენი და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება ბერლინელებისთვის მძიმეა, უფრო მძიმე, ვიდრე ორი წლის წინანდელი გავარდნა იყო, მაგრამ სამართლებრივი კუთხით განაჩენი ასეთი უნდა ყოფილიყო და ის „ჰერტამ“ უნდა მიიღოს.“*

### კობიაშვილის ამბავი კი კვირის ბოლომდე გაირკვევა



ლევან კობიაშვილი დიუსელდორფის (ფორტუნა-ჰერტა 2:2) სკანდალური მატჩის დროს

### დიუსელდორფელები მოედანზე სამტროდ არ შევარდნილან!

ლორენცმა გადაწყვეტილება ასე განმარტა: *„დიუსელდორფელი ფანები მოედანზე სამტროდ არ შევარდნილან და მსაჯ ვოლფგანგ შტარკს სრული უფლება ჰქონდა, ეთქვა, მოედანი თავისუფალია და თამაში უნდა გაგრძელდესო... საფეხბურთო მატჩების ბედი მოედანზე წყდება და მხოლოდ უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში – სასამართლოში. შტარკს წესები არ დაურღვევია. მან სამჯერ შეწყვიტა მატჩი და სამჯერვე სამართლიანად გააგრძელა. ხანგრძლივი განხილვის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ შტარკმა სწორი გადაწყვეტილებები მიიღო. ბერლინელთა მტკიცებით, ფეხბურთელებს ძალიან ეშინოდათ მაყურებლის და გასახდელში ტიროდნენ. ჩვენ ვერ დავინახეთ საკმარისი მტკიცებულებები იმისა, რომ „ჰერტას“ ფეხბურთელებს ეშინოდათ. მათ არავინ შეხებია, სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფა არავის მიუყენებია. არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ მართლაც ეშინოდათ.“*

ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, განაჩენზე სერიოზული გავლენა იქონია **შტარკის** განცხადებებმა, რომელმაც პარასკევს თქვა, ბერლინელი ფეხბურთელები ჩემზე ნადირობდნენო. *„საფინალო სასტვენის შემდეგ ბერლინელები შტარკს ძალიან აგრესიულად უტევდნენ,“* - თქვა ლორენცმა. ანუ, რომელ შიშზეა ლაპარაკიო...

რაც შეეხება კონკრეტულად **ლევან კობიაშვილის** საქმეს, რომელმაც შტარკის ოფიციალურ განცხადებით, მას კატაკომბებში მუშტი უთავაზა: გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული სასამართლო ლევანის საკითხს ამ დღეებში განიხილავს და ქართველ ფეხბურთელს განაჩენს კვირის ბოლომდე გამოუტანს. კობიაშვილთან ერთად, განიხილება **კრისტიან ლელის, პეტერ ნიმაიერისა** და **ანდრე მიატოვიჩის** საკითხებიც, რომლებმაც შტარკს ასევე სიტყვიერი (მიატოვიჩი, ნიმაიერი) და ფიზიკური (ლელი) შეურაცხყოფა მიაყენეს. კობის ექვსი კვირიდან ორ წლამდე დისკვალიფიკაცია ემუქრება.

*P.S. „ჰერტა“ მაინც არ ნებდება: გუშინ ბერლინელთა მენეჯერმა მიხაელ პრეეტცმა განაცხადა, რომ სპორტული სასამართლოს განაჩენს უფრო მაღალ ინსტანციაში, გერმანიის საფეხბურთო კავშირის ბუნდესსასამართლოში გააპროტესტებს.*

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● უნივერსიადა 2012

# ფალავნებმა და ხელბურთელებმა მედლები გაინაწილეს



თბილისის სპორტულ ბაზებზე გრძელდება „უნივერსიადა 2012“-ის შეჯიბრებები. გლდანის ოლიმპიური მზადების ცენტრში გამარჯვებულები და პრიზიორები ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობებში გამოვლინდნენ. თავისუფალში შვიდივე წონაში უშელავათო პაექრობები გაიმართა. სეუ-მ და სტუ-მ ორი-ორი ოქროს მედალი მოიპოვეს, ხოლო სოხუმის, გორის და ბათუმის უნივერსიტეტების წარმომადგენლები კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე თითოჯერ ავიდნენ. „კლასიკურში“ ორთაბრძოლები მხოლოდ ხუთ წონაში გაიმართა. აქ საუკეთესო მაჩვენებლები ბათუმსა (2 ოქრო, 1 ვერცხლი, 3 ბრინჯაო) და სტუ-ს (2 ოქრო, 1 ვერცხლი, 2 ბრინჯაო) ჰქონდათ. აგრარული უნივერსიტეტი თითო ოქროს და ბრინჯაოს დასჯერდა.

### თავისუფალი ჭიდაობა

**55 კგ.** 1. გიორგი ლამბაშიძე (სოხუმის უნივერსიტეტი), 2. გენადი აბაშიძე (ბათუმის უნივერსიტეტი), 3. ირაკლი გვაძაბია (სამედიცინო). **60 კგ.** 1. კოტე ხუციშვილი, 2. შალვა ხუციშვილი (ორივე - გორის უნივერსიტეტი), 3. გიორგი დიასამიძე და სულხან ცეცხლაძე (ორივე - ბათუმი). **66 კგ.** 1. დიმიტრი ბასილაშვილი (სტუ), 2. გიორგი კაციტაძე (აგრარული), 3. ზაურ მარგიევი (სტუ) და გიორგი მუსელიანი (საქართველოს უნივერსიტეტი). **74 კგ.** 1. ზვიად მეკეიძე (ბათუმი), 2. გიგა ნაგლაძე (აგრარული), 3. გიორგი კაზილაშვილი (სამედიცინო) და მინდია გუჯარაიძე (სასულიერო აკადემია). **84 კგ.** 1. ლაშა გოგრიჭიანი (სეუ), 2. რევაზ ივანიშვილი (აგრარული), 3. პიმენ გიორგაძე (სამედიცინო) და გიორგი ბასილაშვილი (საქართველოს უნივერსიტეტი). **96 კგ.** 1. გიორგი მეშვილდიშვილი (სტუ), 2. ივანე უძილაური (აგრარული), 3. დავით დავითაშვილი (სოხუმი). **120 კგ.** 1. ლევან გოგრიჭიანი (სეუ), 2. ლევან ხეთაგური, 3. გიორგი კვირჭიშვილი (ორივე - აგრარული).

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

**60 კგ.** 1. სპარტაკ ცეცხლაძე, 2. თენგიზ ბოლქვაძე, 3. სულხან ცეცხლაძე (სამივე - ბათუმი). **66 კგ.** 1. ირაკლი შანთაძე (ბათუმი), 2. გელა ჯვარიძე (სტუ), 3. მინდია შავაძე (ბათუმი). **74 კგ.** 1. გიორგი დათუნაშვილი (სტუ), 2. მინდია გუჯარაიძე (სასულიერო აკადემია), 3. იოსებ ხოზრევანიძე (ბათუმი) და დავით ჩიტაძე (სტუ). **84 კგ.** 1. რუდოლფ ოგანეზოვი (სტუ), 2. აკაკი კანდელაკი (ილიას უნივერსიტეტი), 3. გიორგი გუჯარაიძე (სასულიერო აკადემია) და თედო ციხისელი (სტუ). **120 კგ.** 1. გიორგი კვირჭიშვილი (აგრარული), 2. ცოტნე ნოზაძე, 3. გურამ დგებუაძე (ორივე - თსუ) და გიორგი გოცირიძე (აგრარული).

### ხელბურთი

**გუშინ** ასპარეზობა დაამთავრეს ხელბურთელებმა. წინასწარი განაცხადის მიხედვით, ჯილდოებისთვის რვა გუნდს უნდა ესპარეზა. საბოლოოდ კი შეჯიბრებას კვარტეტი შემორჩა. **I ტური.** თსუ - საქართველო 31:25 სტუ - სამედიცინო 36:26. **II ტური.** თსუ - სამედიცინო 38:31, სტუ-საქართველო 41:22. **III ტური.** სამედიცინო - საქართველო 38:35, სტუ-თსუ 36:25.

**საბოლოო შედეგები:** 1. სტუ - 6 (113:74), 2. თსუ - 4 (95:92), 3. სამედიცინო - 2 (95:109), 4. საქართველო - 0 ქულა (82:110). ასპარეზობის საუკეთესო მოთამაშედ ნიკოლოზ ჯორბენაძე (სტუ) დაასახელეს.

**ვაჟა დანელია**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

● ჭიდაობა. ანკარის ტურნირი

# ძველი კადრებით ახალ შეჯიბრებაში

ამ საღამოს ჩვენი „თავისუფალი“ და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული გუნდები ანკარაში გაემგზავრებიან, სადაც 25-27 მაისს ამ ასაკში დიდი საერთაშორისო ტურნირი „ჩემპიონები“ ტარდება. ჩვენები ამ შეჯიბრებასაც ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისთვის მოსამზადებლად და მონაწილეთა შესარჩევად იყენებენ. ამჯერადაც საქართველოს პირველობის ფინალისტების გარდა მწვრთნელებმა ზოგიერთ წონაში შანსი სხვებსაც მისცეს. „თავისუფალთა“ ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ნუგზარ სხირელს ბექა ბუჯიაშვილი, რამაზ დარჩიძე** (ორივე - 50), **ლაშა ტალახაძე, ოთარ გოგავა** (55), **ლევან ქელეხსაშვილი, ლაშა ბიტარაშვილი** (60), **კონსტანტინე ხაბალაშვილი, ზურაბ იაკობაშვილი** (66), **ჯუმბერ ყველაშვილი, კახა თავაძე** (74), **სანდრო ამინაშვილი, ლევან ანზორის ძე გოგრიჭიანი** (84), **ომარ გუსოშვილი, გიორგი მეშვილდიშვილი** (96) და **ლევან თენგიზის ძე გოგრიჭიანი** (120) მიჰყავს. მწვრთნელს სკოლის გამოცდების გამო მძიმე წონაში არ მიჰყავს პირადი შეგირდი, ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **გენო პეტრიაშვილი.**

ბერძნულ-რომაული ნაკრები უფრო არათანაბრადაა დაკომპლექტებული - ზოგიერთ წონაში მხოლოდ თითო მონაწილეა, ზოგან კი ორი და სამიც. **ვლადიმერ ადეიშვილმა** გუნდში შემდეგი ფალავნები შეიყვანა: **დავით სანიკიანი** (50), **რამაზ სურმანიძე** (55), **ფირუზ წულუკიძე, ამირან შავაძე** (ორივე - 60), **გიორგი დავითაია** (66), **ლაშა გობაძე, თორნიკე ძამაშვილი, რობერტ რასოიანი** (სამივე - 74), **რობერტ ქობლიაშვილი, დავით ჩაკვეტაძე, ლაშა შალიკაშვილი** (სამივე - 84), **იაკობ ქაჯაია, კუკური კირცხალია, ბექა ქურცაძე** (96), **შოთა გოგისვანიძე, ლევან არაბული** (ორივე - 120).

აბსოლუტურმა უმრავლესობამ აქამდე ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირებშიც იჭიდავა. ზოგან ისეთებმაც, რომლებიც საქართველოს პირველობაზე დამარცხდნენ და უცხოურ ტურნირებში (მაგალითად, ბაქოში) საკუთარი ხარჯით წავიდნენ, იქ კი ლიდერებსაც აჯობეს. სავარაუდოდ, თვითდაფინანსებით ზოგი ანკარაშიც გამოვა, მაგრამ ჩვენ ის სია შემოგთავაზეთ, რაც მწვრთნელთა მოთხოვნით ფედერაციამ დააფინანსა.

**ირაკლი თავაძე**

● სამბო

საქართველოს სამბისტთა ნაკრები რუსეთში გამართული ევროპის ჩემპიონატიდან გუშინ სამშობლოში დაბრუნდა. შეგახსენებთ, რომ ჩვენებმა 2 ოქროს, 4 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. წარმატებულ სამბისტებს თბილისის აეროპორტში ჟურნალისტები, გულშემატკივრები და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე - **გიორგი გალდავა** დახვდნენ.



● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ქერბის თასი

# ამერიკაში ქართული ნაკრები გაიმარჯვა

## გეგეშიძის და ფერსელიძის პროგრესი

**ამერიკულ ლაგრანდში „ქერბის თასზე“ საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა მასპინძელთა გუნდს 4:3 მოუგო. შეგახსენებთ, რომ ეს ამხანაგური შეხვედრა ამერიკელთა ინიციატივით გაიმართა და ლონდონის ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად ერთ-ერთი ბოლო სატურნირო ეტაპი იყო.**

თავიდანვე ქართველები 2:0 დაწინაურდნენ - ჩვენი ნაკრების ულიცენზიოდ დარჩენილ ერთადერთ წონაში **ლაშა გოგიტაძემ** (55) **სპენსერ მანგო** ორ პერიოდში 2:0; 1:0 დაამარცხა, **რევაზ ლაშხმა** (60) კი ასევე ძირითად დროში ძალიან იოლად დაჯაბნა **დმიტრი რიაბჩინსკი** - 1:0; 4:0. ამის შემდეგ მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს - **მანუჩარ ცხადაია** (66) მსოფლიოს ორგზის ბრინჯაოს მედალოსან **იუსტინ ლესტერთან** დამარცხდა, ვისაც შარშან მსოფლიოს პირველობაზე ნახევარფინალში მოუგო, **მანუჩარ კვირკველია** კი - **ბენ პროვისორთან.**

ოლიმპიადამდე ეს ჰაერივით საჭირო კომპონენტი უფრო მეტად დახვეწოს, თორემ იქ რიაბჩინსკიზე ბევრად გამოცდილი მეტოქეები შეხვდებიან. სხვები კი არა, თვით ამერიკელებიც ამ წონაში ახალგაზრდებში მსოფლიოს პრიზიორ **ელის კოლემანის** დაყენებას აპირებენ - შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებიათ, მაგრამ იქაური ფედერაციის საიტი აჭრელებულია მისი ქებით, მას უკვე ოლიმპიელად მოიხსენიებენ და ყველა წინა პირობა არსებობს საიმისოდ, რომ ლონდონში ლაშხის სავარაუდო მეტოქედ სწორედ კოლორადოელი აფროამერიკელი მივიჩნიოთ. შეგახსენებთ - ეს ის ფალავანია, რომელმაც შარშან მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზე პირველმა შეასრულა ის აკრობატულ ნახტომში გდება, რომლითაც წლეულს სოფიაში სალიცენზიო ტურნირზე **ზურაბ დათუნაშვილმა** (74) გაგვახარა.

ასე შორიდან და ასე ზერელედ ცოტა ძნელია ცხადაიას მარცხის მიზეზზე ლაპარაკი, მაგრამ შესაძლოა, ეს წონის დაკლებამაც განაპირობა. მას მწვრთნელები აქამდე შეღავათს უწევდნენ და 74-ში აჭიდავებდნენ, ახლა კი ისევ 66-ში დააბრუნეს.



ვლადიმერ გეგეშიძე (მარცხნივ)

შეხვედრა შემდეგაც ქულა-ქულაში წარიმართა და ყველაფერი მძიმეწონოსანთა შერკინებამ გადაწყვიტა - **ვლადიმერ გეგეშიძემ** (84) **ჩაშ ბეტსთან** ჩოქბჯენში კარგი ჭიდაობის ხარჯზე 2:0; 1:0 იმარჯვა და კვლავ წინ გაგვიყვანა - 3:2. სამაგიეროდ, **სოსო ჯაბიძემ** (96) მსოფლიოს პრიზიორ **იუსტინ რუისთან** წააგო და ანგარიში ისევ გათანაბრდა. არადა, ჯაბიძეს ამ გუნდური შეხვედრის ბედის გადაწყვეტა შეეძლო, ახლა კი ეს მძიმეწონოსანმა **გურამ ფერსელიძემ** ითავა, რომელმაც მასზე ბევრად მძიმე მსოფლიოს მედალოსანი **დრემილ ბიერსი** მეორე პერიოდში ჯვარედინი მოვლებიდან ჩინებულ სამქულიანზე გადააგდო.

ამერიკელებმა ერთი-ორი ლიდერი დაასვენეს თან ასეთი ტიპის შეხვედრა ვერასოდეს შეცვლის სატურნირო დატვირთვას, მაგრამ ძალთა შესამოწმებლად, იმის სანახავად, მოცემულ მომენტში ვინ რამდენადაა ახლოს ფორმის პიკთან, მაინც კარგი საშუალებაა. ცალკეული ჩავარდნების მიუხედავად, ჩვენმა ნაკრებმა ურიგო შთაბეჭდილება არ დატოვა, გეგეშიძემ და ფერსელიძემ კი თავიანთი პროგრესით გვარიანად გაგვაოცეს.

გოგიტაძემ მანგოს იმდენად იოლად აჯობა, სალიცენზიო სისტემისადმი პრეტენზიები კიდევ ერთხელ გაგვიმძაფრდა - ამერიკელი ლონდონში იჭიდავებს, საგზური კი პან-ამერიკის პირველობაზე მოიპოვა. ვფიქრობთ, მაინც ძველი წესი სჯობდა, ანუ ყოფილიყო 2-3 სალიცენზიო შეჯიბრება, მაგრამ საგზურები რეგიონულ პირველობებზეც განაწილებულიყო - სალიცენზიოებისგან განსხვავებით, იქ ლიცენზირებულებიც ჭიდაობენ და სუსტების ოლიმპიადაზე გაძრომის შანსი ნაკლებია. ძლიერად და თავისუფლად იჭიდავა ლაშხმაც, რომელმაც მეორე პერიოდში მეტოქე ძალიან იოლად გადააგდო სამქულიანზე. ოღონდ შეხვედრის დასაწყისში მიუტევებელი შეცდომა დაუშვა - 10 წამიც არ იყო გასული, როცა რიაბჩინსკის კარგად შემოუარა ზურგიდან (სიამოვნებით შევნიშნავთ, რომ ბოლო ტურნირებში ჩვენები სულ უფრო ხშირად აიძულებენ მეტოქეს ილეთზე გადაყოლას, შეცდომის დაშვებას და გდებებისთვის ძველებურად მათ შეცდომებს არ ელოდებიან), ლეიბიდანაც აიტაცა, მაგრამ სწორად ვერ გადააგდო, რის გამოც მთელი ეს გარჯა წყალში ჩაეყარა. მართალია, მეორე პერიოდში ზემოაღნიშნული სამქულიანისას უზადოდ გადააგდო, მაგრამ სასურველია, დღეს სპორტსმენისა და მწვრთნელთა ამოცანა ოლიმპიადამდე ამ წონით მისვლაა, თორემ სპორტსმენი ბევრსაც იკლებს და მისი ორგანიზმიც მტკივნეულად რეაგირებს ამაზე. კვირკველიამ ულიმლამოდ იჭიდავა. ცხადია, მოგების სურვილი ძველებურად ექნებოდა, მაგრამ საამისო მონდომება ვერ შევატყვეთ. იქნებ ეს არც იყოს უჩვეულო - „მოგიგებ, გადაგივლი, გაგანადგურებ“ განწყობა მას სახეზე არც თავის საუკეთესო წლებში ეტყობოდა, ემოციებს ძნელად თუ შეატყობ, მაგრამ ახლა სადღა იყო ის ადრინდელი აფეთქება, რომლითაც მეხივით დაეცემოდა ხოლმე თავზე მეტოქეებს და ქარიშხალს დაატეხდა! ვფიქრობთ, ამ ტურნირის შემდეგ დათუნაშვილის საოლიმპიადო შანსები კიდევ უფრო გაიზარდა.

გეგეშიძემ ბეტსს იოლად მოუგო. შეხვედრის ბედი ჩოქბჯენებში გადაწყდა - მეტოქე დაატრიალა, მერე კი წარმატებით დაიცვა თავი. მთლიანობაში, თვალშისაცემი იყო მისი დახვეწილი, დამაჯერებელი ჭიდაობა და საერთო პროგრესი. ჯაბიძეს თითქოს წასაგები შეხვედრა არ ჰქონდა. პირველი ორი პერიოდის ბედი აქაც ჩოქბჯენმა გადაწყვიტა, ოღონდ ვერც ერთმა ვერ დაატრიალა. დამატებითში ერთხანს თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ ჯაბიძე კისრულის მცდელობისას შეცდა და რუისმა ბეჭებზე დადო. ფერსელიძის არსენალში ახალი, კარგად დამუშავებული იარაღია - მეტოქეს ჯვარზე წარმატებით ეკვრება და მერე თავისუფლად აგდებს სამქულიანზე. ბიერსს ახლანდელი გდებით რევანშიც აუღო ადრინდელი წაგებისთვის და ჰელსინკის სალიცენზიო ტურნირის ნახევარფინალშიც ზუსტად ასე გადააგდო ბულგარელი **ივან ივანოვი**. თუნდაც ერთი წლის წინათ მის ასეთ პროგრესს ძნელად წარმოვიდგენდით და ძალიან კარგი, ეს რომ შეძლო, თუმცა საოლიმპიადოდ ამას ყველა საგულდაგულოდ გაშიფრავს. ამიტომ მუდმივად რაღაც ახლის, პროგრესის ძიებაში უნდა იყოს. მისი ბოლოდროინდელი აღმასვლა გვაიმედებს, რომ ასეც იქნება.

ჩვენი ნაკრები ამერიკიდან ხვალ დაბრუნდება და მალევე მინსკში გაემგზავრება ერთობლივ შეკრებაზე. ამით გუნდი ლონდონის ოლიმპიადისთვის საგანგებო მზადებას დაიწყებს.

**ირაკლი თავაძე**

მძლეოსნობა



# ლიცენზიის შანსი კიდევ აქვთ


თათია პაიკიძე

**გასულ უქმეებზე მძლეოსანთა საქართველოს ღია ჩემპიონატში საპრიზო ადგილებისთვის მასპინძლებთან ერთად აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებიც იბრძოდნენ და ჯილდოებიც გვარიანად მოიხვეჭეს.**

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის არის, რომ ერევნელი **ვარდან პახლევანიანი** სიგრძეზე 8,12 მეტრზე გადახტა და ლონდონის თამაშების საგზური მოიპოვა - ოლიმპიურ ნორმატივს 2 სანტიმეტრით გადაამეტა. თბილისელმა **ბოლესლავ სხირტლაძემ** 7,75 მეტრით მეორე ადგილი დაიკავა. ჩვენებურიც ოლიმპიადაზე ოცნებობს. ნორმატივის შესასრულებლად მას ორი საერთაშორისო ტურნირი და ევროპის ჩემპიონატი რჩება, ისევე, როგორც თარჯმრბენ **დავით ილარიანს** (მან ეროვნულ ჩემპიონატზე 110 მეტრი თარჯებით 14,01 წამში დაფარა, სალიცენზიო ნორმატივი კი 13,60 წამია), ტრავმამოშუშებულ ბირთვის მკვრელ **მარიამ ქევხიშვილს**, ბადროს მტყორცნელ **სალომე რიგიშვილს**, სიმაღლეზე მხტომელ **ზურაბ გოგოჭურს** (უკვე გაუწყეთ, რომ ზურაბმა თურქეთში საქართველოს რეკორდი 2,25 მეტრამდე გაზარდა). შესაძლოა, საგზურისთვის ბრძოლაში ჩაერთოს სამმხტომელი **ლაშა ლულელაური**, რომელმაც ერთი კვირის წინათ **თათია პაიკიძესთან** ერთად ყაზახეთის ყოფილ დედაქალაქ ალმათიში ახალგაზრდების მსოფლიო პირველობის (ამ შეჯიბრებას ივლისში ბარსელონა უმასპინძლებს) ლიცენზია შეასრულა. 30 მაისსა და 2 ივნისს ილარიანი და სხირტლაძე, შესაბამისად ისრაელისა და საბერძნეთის ტურნირებზე მოსინჯავენ ძალებს.


ლაშა ლულელაური

## კვარცხლბეკი

**ქალები. 100 მ.** 1. დიანა ხუბესერიანი (ერევანი, 12,61), 2. სოფი ჩალაშვილი (თბილისი, 12,85), 3. სალომე სირაძე (ქუთაისი, 12,94). **200 მ.** 1 დიანა ხუბესერიანი (ერევანი, 25,49), 2. სალომე აბშილავა (ზუგდიდი, 27,03), 3. სალომე სირაძე (ქუთაისი, 27,49). **400 მ.** 1. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 1.00,62), 2. თეა ფაცურია (ფოთი, 1.02,54), 3. თამარ ხაჟალია (ქუთაისი, 1.02,62). **800 მ.** 1. გაიანე ბულგადარიანი (ვანაძორი, 2.14,95), 2. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 2.16,58), 3. სოფო წულუკიძე (თბილისი, 2.29,17). **1500 მ.** 1. გიული დეკანაძე (ვანი, 4.44,64), 2. თამარ შამოევა (თბილისი, 5.55,45). **3000 მ.** 1. გიული დეკანაძე (ვანი, 10.05,17), 2. თამარ შამოევა (თბილისი, 12.51,33). **100 მ/თ.** 1. მარი ძაგნიძე (ვანი, 16,90), 2. თამარ ჯალაღონია (ფოთი, 17,28), 3. დეა საზუაშვილი (თბილისი, 18,68). **400 მ/თ.** 1. თეა ფაცურია (ფოთი, 1.08,54), 2. თამარ ხაჟალია (ქუთაისი, 1.11,66), 3. სალომე ჩაბაკაური (თბილისი, 1.15,09). **სიგრძე.** 1. სათენიკ ოგანესიანი (ერევანი, 6,20), 2. მარი ძაგნიძე (ვანი, 5,11), 3. ნესტან დათუნაშვილი (თბილისი, 5,10). **სიმაღლე.** 1 თამარ გელეიშვილი (ქუთაისი, 150). **ბადრო.** 1. ალბინა არუთუნიანი (აჭარა, 26,36), 2. სოფიო მუკათარიძე (თბილისი, 25,74), 3. ნათია ნაჭყებია (ფოთი, 23,65). **შუბი.** 1. თეა ფაცურია (26,32), 2. ნანა კორტავა (ორივე - ფოთი, 20,70), 3. ვერონიკა გალუზინსკაია (თბილისი, 19,36). **სამხტომი.** 1. სათენიკ ოგანესიანი (ერევანი, 12,69), 2. თათია პაიკიძე (ვანი, 12,67), 3. თამარ გელეიშვილი (ქუთაისი, 11,65). **ჭოკი.** 1. დიანა ზოლოტუხინა (თბილისი, 2.00). **ბირთვი.** 1. ნათია ნაჭყებია (ფოთი, 9,67), 2. ალბინა არუთუნიანი (აჭარა, 9,05), 3. მარი კეკელიძე (ოზურგეთი, 7,45). **ამანათი. 4X100 მ.** 1. ქუთაისი - 52,58, 2. თბილისი - 53,75. **4X400 მ.** 1. თბილისი - 4.34,87.

**ვაჟები. 100 მ.** 1. ბაჩანა ხორავა (ზუგდიდი-ჩხოროწყუ, 10,75), 2. რუსტამ ალიევი (10,89), 3. ვუგარ მეხტიევი (ორივე - ბაქო, 10,93), **200 მ.** 1. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე, 21,37), 2. ვადიმ რიაბიხინი (ბაქო, 21,37), 3. ბაჩანა ხორავა (ზუგდიდი-ჩხოროწყუ, 21,86). **400 მ.** 1. ხაკიმ იბრაგიმოვი (ბაქო, 47,15), 2. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე, 47,68), 3. ვადიმ რიაბიხინი (ბაქო, 47,70). **800 მ.** 1. ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე, 1.56,32), 2. თემურ ბაიკიევი (თბილისი, 1.56,50), 3. არტურ პეტროსიანი (სტეპანაკერტი, 1.56,95). **1500 მ.** 1. ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე, 4.00,70), 2. მერაბ ქინიძე (თბილისი, 4.02,14), 3. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე, 4.02,39). **3000 მ.** 1. ანატოლი ალეინიკოვი (ლაგოდეხი, 9.02,5), 2. გიორგი ლომიძე (თბილისი, 9.13,3), 3. მათე ჭედიშვილი (გარდაბანი, 9.50,1). **5000 მ.** 1. ანატოლი ალეინიკოვი (ლაგოდეხი, 16.07,6). **110 მ/თ.** 1. დავით ილარიანი (თბილისი, 14,03), 2. ლევან ფიფია (ზუგდიდი, 16,83), 3. ვაჟა ძაგანია (თბილისი, 16,88). **400 მ/თ** 1. ხაკიმ იბრაგიმოვი (ბაქო, 52,47), 2. სამველ გრიგორიანი (56,78), 3. რომან ალექსანიანი (ორივე - ერევანი, 57,68). **3000 მ/წ.** 1. ჯეირან ხოფერია (ფოთი, 9.31,57), 2. აშოტ აირაპეტიანი (სტეპანაკერტი, 9.58,46), 3. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე, 10.05,77). **სიგრძე.** 1. ვარდან პახლევანიანი (ერევანი, 8,12), 2. ბოლესლავ სხირტლაძე (თბილისი, 7,75), 3. ტორი ნარკარიანი (ერევანი, 7,56). **სიმაღლე.** 1. ეიუბ ბაირამოვი (ბაქო, 210), 2. ავთანდილ ლონლაძე (ქუთაისი, 180), 3. დავით ალხანიშვილი (მარტვილი, 180). **ბადრო.** 1. გიორგი ბედოშვილი (თბილისი, 50,60), 2. დადაშ დადაშევი (47,73), 3. ტოფიკ მამედოვი (ორივე - ბაქო, 41,43). **შუბი.** 1. გიორგი კორტავა (ხობი, 33,56), 2. მერაბ ლატარია (ზუგდიდი-ხობი, 25,50). **ურო.** 1. ლერი ჩიტაიშვილი (თბილისი, 65,82). **სამხტომი.** 1. ლაშა ლულელაური (ახმეტა, 16,10), 2. კიარმან ჯამილოვი (ბაქო, 15,96), 3. გოგა მაღლაკელიძე (ქუთაისი, 13,87). **ჭოკი.** 1. ლაშა ქარქუსაშვილი (თბილისი, 2,40). **ბირთვი.** 1. ტოფიკ მამედოვი (ბაქო, 15,82), 2. გიორგი ბედოშვილი (თბილისი, 15,69), 3. რუსლან მელიკოვი (ბაქო, 15,30). **ამანათი: 4X100 მ.** 1. ზუგდიდი - 42,98, 2. თბილისი - 43,26. **4X400 მ.** 1. ახალციხე - 3.27,77, 2. ქუთაისი - 3.37,66, 3. ვანი - 3.42,06.

**გუნდური. I ჯგუფი.** 1. თბილისი - 358, 2. ქუთაისი - 342, 3. ახალციხე - 332 ქულა. **II ჯგუფი.** 1. აჭარა - 106, 2. მარტვილი - 76, 3. ოზურგეთი - 64 ქულა.

*ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები*

წყალბურთი

# თურქეთში ფინალის საგზურისთვის

**24-27 მაისს სტამბოლი ახალგაზრდა წყალბურთელთა ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირს უმასპინძლებს. ფინალური ეტაპის ორი საგზურისთვის მასპინძლებთან ერთად ქართველები, ბელარუსები, მოლდოველები და კვიპროსელებიც იბრძოლებენ. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებიან ჩვენი ბიჭები სახელოვანი სპორტსმენის, ოლიმპიური თამაშების პრიზიორ რევაზ ჩომახიძის ხელმძღვანელობით. აპრილის მიწურულს ქართველმა წყალბურთელებმა საწვრთნელი შეკრება სერბეთში გაიარეს და რამდენიმე ტესტმატჩიც ითამაშეს. 3-6 მაისს კი პოლონური გორჟოვის საერთაშორისო ტურნირში ითამაშეს, ზედიზედ სძლიეს უკრაინას, დიდ ბრიტანეთს, პოლონეთს, ისრაელს, ბელარუსს და „სლოვიანკას თასი" მოიპოვეს. ამჟამად ახალგაზრდები საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" ემზადებიან.**

- მესამე წელიწადია, ამ გუნდს ვავარჯიშებ, - გვითხრა რევაზ ჩომახიძემ, - ერთობლივი მეცადინეობა ექვსი თვის დაწყებულიც არ გვქონდა, ყველასთვის მოულოდნელად ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩის დამატებით დროში პოლონელებს რომ ვძლიეთ და ფინალში მოვხვდით. იქ კი ყველა ორთაბრძოლა წავაგეთ, თანაც სოლიდური ანგარიშებით. ეს მოსალოდნელიც იყო. მას შემდეგ ორ წელიწადზე მეტი გავიდა და ჩვენი ნაკრებიც გაძლიერდა. ბიჭების დღევანდელი მომზადებით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ, თუმცა, შესაძლოა, უკეთეს ფორმაშიც ვყოფილიყავით, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა გვაკლია. ევროპის პირველობიდან დღემდე მხოლოდ ერთ ოფიციალურ ტურნირში ვიასპარეზეთ, პოლონეთში.

**- სტამბოლში რას გეგმავთ?**

- სერიოზული მეტოქეები გვეყოლება. გვსმენია მათი წარმატებების შესახებ, თუმცა, გუნდებს, ფაქტობრივად, არც ვიცნობთ. ვიცით მხოლოდ, რომ თურქეთის ნაკრების ოთხი წევრი უფროსების გუნდში გამოდის. წლეულს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპშიც მონაწილეობდნენ. ბელარუსებს პოლონეთში ვეთამაშეთ და დაძაბულ პაექრობაში 9:8 მოვუგეთ. მოლდოველების და კვიპროსელების შესახებ არაფერი ვიცით. ყოველივეს მიუხედავად, ფინალის საგზურისთვის ვიბრძოლებთ. სტარტზე - 24 მაისს - ტურნირის ფავორიტ თურქებს ვხვდებით, 25-ში საღამოს - ბელარუსს, 26-ში დილით - მოლდოვას, საღამოს კი - კვიპროსს. დაძაბული გრაფიკია, მაგრამ საამისოდ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად აქედანვე ვემზადებით.

**- ტესტმატჩებისთვის თქვენ კირიშის გუნდი მოიწვიეთ...**

- დიახ. ამ გუნდს ჩემი ყოფილი მწვრთნელი ბორის პოპოვი ავარჯიშებს. რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მეშვიდე ადგილზეა. მათთან ორი მატჩი გავმართეთ და ორივე წავაგეთ, მაგრამ ჩვენთვის ანგარიში კი არა, იმ ხარვეზების გამოვლენაა მთავარი, რომელთა აღმოფხვრაც თურქეთში წარმატებით თამაშში შეგვიწყობს ხელს. თანაც ყოფილი დამრიგებლის რჩევა-დარიგებებიც გასათვალისწინებელია. სტუმრად გვყავს ჩეხოვის „შტურმის" ჭაბუკი წყალბურთელები. ორივე გუნდის ჩამოსვლა ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისითაც არის მნიშვნელოვანი - იტყვიან, სავარჯიშო პირობები თბილისშიცაა და ისეთი წყალბურთელები ჰყავთ, სპარინგობა რომ შეიძლებაო. უნდა ვივარაუდოთ, რომ სამომავლოდ საქართველოში უფრო ძლიერ ევროპულ კლუბებსაც ვიხილავთ.

რევაზ ჩომახიძესთან საუბრის შემდეგ ინტერვიუ **ბორის პოპოვსაც** ვთხოვე:

- ქართველ წყალბურთელებთან ჩემი ნაცნობობა 1958 წლიდან იწყება, - თქვა სტუმარმა, - მაშინ თბილისში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა გაიმართა. მოსკოვის გუნდში ვთამაშობდი. მეორე ადგილზე გავედით. თქვენმა ნაკრებმა ჩემპიონობა მოიპოვა, რომლის შემადგენლობაში, თუ არ ვცდები, გამოდიოდნენ: სანაძე, შაშკინი, წიკლაური. მოგვიანებით, თბილისის „დინამოსთან" შეხვედრებისას ბრწყინვალე წყალბურთელები, ლერი გოგოლაძე, გივი ჩიქვანაია, ირაკლი ჩხიკვაძე, დულულა მიმინოშვილი გავიცანი. 1962 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდში, სადაც მე ვთამაშობდი, მთავარ მწვრთნელად როსტომ ჩაჩავა მოვიდა. ხუთი წელიწადი გვავარჯიშებდა. ბევრი რამ ვისწავლეთ მისგან - როსტომი საბჭოთა კავშირში წყალბურთის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი გახლდათ. მგუ-ს გუნდში მან ქართული წყალბურთის თამაშის სტილი შემოიტანა.

მიბრძოლია ვოვა ისელიძის წინააღმდეგაც. 1976-1977 წლებში, როცა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში ვმუშაობდი, გუნდში მოვიწვიეთ მიშა გიორგაძე და გელა ტუკვაძე, რომლებმაც 1978 წელს ახალგაზრდებში ევროპის პირველობა მოიგეს. სასიამოვნო იყო ჩემთვის რევაზ ჩომახიძესთან მუშაობა.


ახალგაზრდული ნაკრები

1999-2003 წლებში იგი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო წყალბურთელი იყო. 2002-2003 წლებში ხომ ევროპაში ოფიციალურად აღიარეს საუკეთესოდ. სწორედ, რეზოს თხოვნით ჩამოვედით თბილისში. ჩვენი სურვილიც იყო, ქართულ წყალბურთთან ახლო ურთიერთობა გვქონოდა. ორი მატჩი გავმართეთ ახალგაზრდულ გუნდთან. გამოუცდელი ბიჭები არიან, ცოტას ფიზიკურ მომზადებაშიც მოიკოჭლებენ. პირველი ორი პერიოდის განმავლობაში მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, გვიგებდნენ კიდეც, ბოლო ორ რვაწუთიან მონაკვეთში კი პოზიციები დათმეს. დროთა განმავლობაში გამოცდილებას შეიძენენ და ეს გუნდი ევროპაში ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**

ჭადრაკი

# სხვაობა ქულამდე გაიზარდა


ბაადურ ჯობავა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში მოჭადრაკე ვაჟთა 71-ე ეროვნულ ჩემპიონატს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო საქართველოს 2008 წლის ჩემპიონი **ლევან ფანცულაია** გამოეთიშა. **კონსტანტინე შანავას** გუშინ მასთან მოგება ჩაეწერა. ერთპიროვნული ლიდერი **ბაადურ ჯობავა** შავი ფიგურებით **ზურაბ ჯავახაძეს** 23-ე სვლაზე დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ **დავით ლომსაძე** და **ირაკლი ბერაძე. გიგა ყუფარაძემ** საქართველოს ჩემპიონ **დავით ზარქუას** წინსვლა შეაფერხა - 1:0. ტრადიცია დაარღვია **დავით არუთინიანმა.** უკვე გაუწყეთ, რომ ზედიზედ ექვსი ყაიმის შემდეგ დათოს მე-7 ტურში **მერაბ გაგუნაშვილთან** წაგება ჩაეთვალა, გუშინ კი უიმედო აუტსაიდერ **ივერი ჭილლაძეს** მოუგო. დაძაბულობითა და პრინციპულობით გამოირჩეოდა გაგუნაშვილისა და მეორე ადგილზე მყოფი **ლუკა პაიჭაძის** შეხვედრა. კუთა ენდშპილში 66-ე სვლაზე გაგუნაშვილმა გაიმარჯვა და 6 ქულით პაიჭაძესთან ერთად მეორე-მესამე ადგილებს იყოფს. 7 ქულით ჯობავა მეწინავეობს. მომდევნო ადგილებზე არიან: შანავა - 5,5, ზარქუა - 5, ჯავახაძე, არუთინიანი - 4-4, ბერაძე - 3,5, ყუფარაძე - 3, ლომსაძე - 2,5, ფანცულაია - 1,5, ჭილლაძე - 0 ქულა.

დღეს მე-9 ტურში ითამაშებენ: პაიჭაძე - არუთინიანი, ჯობავა - გაგუნაშვილი, შანავა - ჯავახაძე, ზარქუა - ფანცულაია, ბერაძე - ყუფარაძე, ჭილლაძე - ლომთაძე.

კალათბურთი

ლეგიონერი

# ნიკოლოზ I

## ცქიტიშვილმა ირანის ჩემპიონატი მოიგო


ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნიკა ცქიტიშვილი** ირანიდან ტრიუმფით ბრუნდება. მისმა „მაჰრამმა" ამ სეზონში ყველა შეჯიბრება მოიგო. დასავლეთ აზიის თასს მაჰრამელებმა ირანის ჩემპიონობა მიაყოლეს. შიდა პირველობაზე ფინალური სერიის მესამე მატჩი (რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა) გუშინ თეირანში გაიმართა. სტუმარ „პეტროჩიმის" წაგების უფლება არ ჰქონდა, რადგან სერიაში 0:2-ს აგებდა, მაგრამ ცქიტიშვილის გუნდთან მაინც ვერას გახდა.

მაჰრამელებმა მეორე პერიოდში 12-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს და საფინალო სირენამდე ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ. საბოლოოდ 111:93 მასპინძელთა სასარგებლოდ.

როგორც ყოველთვის, „მაჰრამის" რიგებში ლეგიონერები ნიკა ცქიტიშვილი და **პაპე სოუ** გამოირჩნენ. აფრიკელმა 22 ქულა და 14 მოხსნა გაიფორმა, ხოლო სკიტამ 30 წუთში 17 ქულა, 7 მოხსნა, 2 დაფარება და 1 ჩაჭრა მოაგროვა. ქართველმა თავდამსხმელმა 7-დან 6 ორქულიანი, 5-დან 1 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა. თუ სხვა შეხვედრებს გავითვალისწინებთ, 30 წუთი მისთვის ცოტაა, რადგან, როგორც წესი, 35-40 წუთს თამაშობს, თუმცა დროის ოდნავ შეზღუდვას თავისი მიზეზი ჰქონდა, რასაც ნიკას სიტყვებიდან შევიტყობთ.

- მატჩის მსვლელობისას თვალი ვიტკინე და თამაშის გაგრძელება ველარ შევძელი. ახლა უკეთ მაქვს, თუმცა ხედვა ცოტა მიჭირს. ვფიქრობ, დაზიანება სერიოზული არ არის და მალე გამივლის.

**- „პეტროჩიმი" ამჯერადაც იოლად დაამარცხეთ. არადა, მეტოქის რიგებში კარგი ლეგიონერები არიან ფორტე და აკინდელე...**

- პეტროჩიმელებს ვერც უცხოელებმა უშველეს. მიმდინარე სეზონში „მაჰრამი" გაცილებით უკეთესი, კარგად აწყობილი გუნდია და ჩემპიონობა დამსახურებულადაც მოვიპოვეთ.

**- ამ სეზონში უკვე ორი ტიტული მოიგე, ივნისში მესამე ოქროს მედლის მიღებაც შეგიძლია...**

- აზიის ჩემპიონთა თასი ივნისში აღარ გაიმართება - ფიბა-მ ხუთი თვით გადადო. არადა, წლეულს კარგი გუნდი გვყავს და ფავორიტები ვიქნებოდით.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს XXII ჩემპიონატი

# ბრინჯაო ზედიზედ მეორედ



III ადგილი

| ქუთაისი-სოხუმი | 71:64 |
|---|---|

15:17, 19:15, 23:13, 14:19

**ქუთაისი:** ფაშაევი (16ქ), ბაბუნაშვილი (11ქ), დიდია (7ქ, 7პ), გ. ბარბაქაძე (8ქ), მათიაშვილი (7ქ, 11მ), კოპადარევიჩი (17ქ, 9მ), დ. ბარბაქაძე (5ქ).

**სოხუმი:** ჩლაიძე (9ქ), ათუაშვილი (21ქ, 9მ), გაფრინდაშვილი (9ქ), ჯგერენაია (14ქ), ჩაჩიბაია (6ქ, 11მ), როგავა (2ქ), ქადარია (3ქ), ჯანაშია.

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, ს. საინერისი.

როგორც მოსალოდნელი იყო, მესამე ადგილისთვის მატჩში „ქუთაისმა" ლეგიონერებისა და წამყვანი ქართველი კალათბურთელების გარეშე დარჩენილი „სოხუმი" დაამარცხა და ზედიზედ მეორედ გახდა საკალათბურთო სუპერლიგის ბრინჯაოს პრიზიორი.

სოხუმელებს „ქუთაისთან" მთავარი მწვრთნელი **ვაჟა კვარაცხელიაც** არ ჰყავდათ, რომლის ნაცვლად გუნდს ასისტენტი **თემურ კანკია** უძღვებოდა. მიუხედავად იმისა, რომ „სოხუმის" ხუთეული წინა მატჩებისგან განსხვავებით მთლიანად სახეშეცვლილი იყო, სტუმრები საწყის ორ პერიოდში მედგრად დაუდგნენ მეტოქეს და თუ არ ჯობდნენ, ქუთათურებს არც არაფერში ჩამოუვარდებოდნენ. სტუმართაგან განსაკუთრებით **სერგო ათუაშვილი** გამოირჩეოდა, რომლის შეჩერებაც მასპინძლებს ძალიან უჭირდათ. სოხუმელთა გოლიათმა ცენტრმა საბოლოოდ 21 ქულას მოუყარა თავი და ორმაგ დუბლამდე მხოლოდ ერთი მოხსნა დააკლდა.

დასაწყისში გუნდები დაცვაში კარგად დადგნენ. 5 წუთი იყო გასული და ტაბლოზე 4:4 ენთო. ამის შემდეგ ფორვარდები უფრო გააქტიურდნენ და თამაში ქულა-ქულაში წარიმართა. **ფაშაევმა** და **ბაბუნაშვილმა** მასპინძლები წინ გაიყვანეს, მაგრამ მათ ათუაშვილი და **გაფრინდაშვილიც** არ ჩამორჩნენ და „სოხუმი" ისევ დაწინაურდა (14:10), პერიოდის ბოლოს **ირაკლი ჩლაიძემ** ზუსტი სამქულიანი ისროლა და პირველი მეოთხედი სოხუმელთა გამარჯვებით დასრულდა. სტუმრები მეორე მეოთხედის დასაწყისშიც კარგად ირჯებოდნენ, 6 ქულით გავიდნენ წინ (29:23), მაგრამ მალე **დავით უსტიაშვილის** გუნდმა თამაში გამოასწორა, ჯერ ანგარიში გაათანაბრა, **კოპადარევიჩის** სამქულიანით კი წინაც გაიჭრა - 34:32.

მესამე პერიოდი ქუთაისელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა. მასპინძლებს ყველაფერი გამოსდიოდათ: ლამაზი კომბინაციები, პერიმეტრიდან სროლები, ფარიდან მოხსნები თუ სხვა საკალათბურთო კომპონენტები. კარგად გაისარჯნენ რიონისპირელთა ლეგიონერები ზაურ ფაშაევი და დარკო კოპადარევიჩი, პირველმა 16 ქულა მიითვალა, სერბი კი 17 ქულით თავის გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო და ორმაგ დუბლამდე მასაც ერთი მოხსნა დააკლდა. „ქუთაისმა" ამ პერიოდში 19-ქულიანი გაქცევა მოაწყო და, ფაქტობრივად, მესამე მეოთხედშივე გადაწყვიტა მატჩის ბედი. მასპინძელთა გამარჯვება უკვე „ტექნიკის" საქმე იყო. სოხუმელები ბოლო პერიოდში კიდევ გაუძალიანდნენ მეტოქეს, მაგრამ მათი მონდომება მატჩის გადასარჩენად საკმარისი არ აღმოჩნდა.

„ქუთაისმა" დამსახურებულად გაიმარჯვა და მატჩის შემდეგ გულშემატკივრებთან ერთად ჩემპიონატში საპრიზო ადგილზე გასვლა იზეიმა. მოეწყო დაჯილდოების ცერემონიალიც და კალათბურთელებს ბრინჯაოს მედლები გადასცეს. გუნდის საუკეთესო მოთამაშის პრიზი კი **რიჩარდ მათიაშვილს** გადაეცა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან
ავტორის ფოტო

ლეგიონი

# სანიკიძემ სეზონი დაასრულა

გუშინ ღამით **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსმა" იტალიის ჩემპიონატის მეოთხედფინალში **ნიკა მეტრეველის** „დინამო სასარის" უმასპინძლა. ბოლონიელები საწყისი ორი მატჩის შემდეგ მეტოქეს 0:2 ჩამორჩნენ და შინ წაგების უფლება არ ჰქონდათ.

მესამე შეხვედრა კარგადაც დაიწყეს, მაგრამ დინამოელებმა **ქუინტონ ჰოსლის** (18 ქულა) მეთაურობით გამარჯვება არ დაანებეს - ბოლო წამზე ქუინტონის პასით **ვანუძომ** სამქულიანი ჩააგდო და „დინამოს" მესამე მატჩიც მოაგებინა (72:71). ასე დასრულდა იტალიის მიმდინარე ჩემპიონატი სანიკიძისა და მისი „ვირტუსისთვის".

ვიქტორმა 35 წუთში 8 ქულა, 11 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება მოაგროვა. „დინამოს" ქართველმა ფორვარდმა მეტრეველმა 3 წუთში ერთხელ მოხსნა მოასწრო.

### 12-12

ვირტუსელებს სარდინიაზე, მეორე შეხვედრაში სერიაში ანგარიშის გათანაბრების კარგი შანსი ჰქონდათ. ვიქტორმა ნაყოფიერად დაიწყო - პირველ მეოთხედში 10 ქულა ჩააგდო, თუმცა


სანიკიძე დინამოელთა ფარქვეშ


მარკოიშვლისთვის პესარო იოლი ნადავლი აღმოჩნდა

პირველი ტაიმის შემდეგ ქულა არ ჩაუგდია, გუნდზე ითამაშა. საბოლოოდ სანიკიძემ წყვილი დუბლი მიითვალა - 12 ქულა, 12 მოხსნა.

მატჩის ძირითადი დროის დასრულებას წამები უკლდა, როცა ფინელმა **პეტრი კოპონენმა** შორეული სამქულიანი ფარიდან ასხლეტით კალათში მოათავსა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა.

დამატებითი დროის გამარჯვებით დასრულება ქართველ ფორვარდსაც შეეძლო, მაგრამ დამატებაზე მისი ნატყორცნი სასწაულებრივ ამოვარდა კალათიდან, ხოლო სირენასთან ერთად დინამოელმა **დრეიკ დიენერმა** ურთულესი პოზიციიდან ორქულიანი ჩააგდო და 88:86 „დინამოს" სასარგებლოდ.

სასარელმა **ნიკა მეტრეველმა** 4 წუთი ითამაშა და ერთხელ მოხსნა.

### 74-47

**მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუს" მეოთხედფინალში ან ძალიან სუსტი მეტოქე ერგო, ან თავად კანტუელები შეხვდნენ პლეი ოფს კარგ ფორმაში. ასეა თუ ისე, ფაქტია - მანუჩარისა და **გიორგი შერმადინის** გუნდი სერიაში 2:0 დაწინაურდა და ნახევარფინალამდე ერთი მოგებაღა აშორებს.

სერიის მეორე შეხვედრა კვირას ღამით გაიმართა და სარკისებური ანგარიშით დასრულდა: 74:47.

მანუჩარმა 29 წუთი ითამაშა, 6-6 ქულა-მოხსნა და 2 პასი მოაგროვა. მან ოთხი ორქულიანი, ერთი სამქულიანი და ორი საჯარიმოდან თითო ტყორცნა გამოიყენა.

13-13 ქულით „კანტუს" ბომბარდირები **დორონ პერკინსი** და **მაარტენ ლეუნენი** გახდნენ. გიორგი შერმადინს ტრავმის გამო არ უთამაშია. მის მოედანზე დაბრუნებას უახლოეს მატჩებში უნდა ველოდეთ.

სერიის მესამე შეხვედრა პესაროში დღეს გაიმართება.

### 4-3-2-1

ბევრისთვის მოულოდნელად „შარლერუას" მეოთხედფინალში „ლუვენის" ბარიერის დაძლევა გაუჭირდა. სერიის საწყისი ორი მატჩის შემდეგ ანგარიში საყაიმო იყო (1:1), თუმცა მესამე თამაშში შარლერუელებმა შინ ფავორიტის სტატუსი გაამართლეს, 89:68 გაიმარჯვეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

მოგებულთა რიგებში 16 წუთი ითამაშა **თორნიკე შენგელიამ**. მწვრთნელს, შესაძლოა, მისთვის მეტი დრო ემეტებოდა, მაგრამ ქართველმა თავდამსხმელმა შეხვედრა ხუთი ფოლით დაასრულა. თორნიკემ 5-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და 4 ქულას 3 ჩაჭრა, 2 პასი და 1 მოხსნა მიამატა.

„შარლერუა" ნახევარფინალურ სერიაში დღეს, 22 მაისს ჩაერთვება. პირველ შეხვედრას „ანტვერპენთან" სტუმრად ჩაატარებს. მეორე წყვილში „ოოსტენდე" „მონსს" ეთამაშება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს 14-წლამდელთა ჩემპიონატი

# ესეც ფინალისტები: აკადემია და ქუთაისი

დასრულდა საქართველოს 14-წლამდელთა ჩემპიონატის ნახევარფინალები და გაირკვა ფინალისტთა ვინაობა. ჩემპიონობისთვის ერთმანეთს „ქუთაისი" და „აკადემია" შეხვდებიან. სერია ორ მოგებამდეა.

პირველ ნახევარფინალში „ბათუმმა" „ქუთაისს" უმასპინძლა და 62:70 დამარცხდა, შესაბამისად, ქუთაისელებმა ზღვისპირელებს სერიაში 2:1 სძლიეს და ფინალში გავიდნენ.

ქუთაისელებს 34 ქულით **იოანე გუბაევი** გაუძღვა, ხოლო 14 ქულითა და 29 მოხსნით ორმაგი დუბლი **ლადო ფურცხვანიძემ** გაიფორმა. „ბათუმის" შემადგენლობაში გამოირჩა **დავით აფხაზავა**, რომელმაც საკუთარ გუნდს 23 ქულა შესძინა.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს თბილისური გუნდები დაუპირისპირდნენ - „აკადემია" და „კარდინალო-ორბი". მატჩები 19 და 20 მაისს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა. „აკადემიამ" სერია 2:0 მოიგო.

პირველ მატჩში **გია კაზანჯიანის** გუნდმა 86:47 იმარჯვა. ხოლო განმეორებითში - 69:50.

საწყის შეხვედრაში „კარდინალის" შემადგენლობაში 15 ქულით **ზაზა გონჯილაშვილი** გამოირჩა, ხოლო 14 ქულა **ნიკა ლოლიშვილმა** დააგროვა. გამარჯვებულთაგან საუკეთესო იყო **გიორგი ცირეკიძე**, რომელმაც ორმაგი დუბლი მიითვალა - 22 ქულა და 10 მოხსნა.

მეორე მატჩში ცირეკიძემ კიდევ უფრო ეფექტურად ითამაშა - 30 ქულას 19 მოხსნა მიამატა. 18 ქულა მისმა თანაგუნდელმა **ნიკა ლეონიძემ** ჩააგდო, ხოლო კარდინალელთაგან 14-14 ქულა **ნიკა ყირიმელისა** და **ზაზა გონჯილაშვილის** ანგარიშზეა. **ნიკა ლოლიშვილმა** ბურთი 22-ჯერ მოხსნა.

■ ■ ■

14-წლამდელთა ჩემპიონატში პლეი აუტის მატჩში ერთმანეთს „დინამო" და „რუსთავი" „დაეჭიდნენ". გამარჯვება და მე-5 ადგილი ქვემოქართლელებს დარჩათ - 75:73.

„რუსთავის" შემადგენლობაში ყველაზე მეტი, 35 ქულა **ნიკა აბაიშვილმა** დააგროვა, ხოლო „დინამოდან" ორმაგი დუბლი ერთბაშად ორმა მოთამაშემ მიითვალა. **გიორგი თვალაბეიშვილმა** თავი 22 ქულასა და 18 მოხსნას მოუყარა, ხოლო **გიორგი გვიანიძის** ანგარიშზე 10 ქულა და 21 მოხსნა დაფიქსირდა.

დაძაბული გამოდგა პლეი აუტის მეორე მატჩიც, სადაც „ჰიუნდაიმ" „ავერსი" 57:52 დაამარცხა და მე-7 ადგილი მოიპოვა.

გამარჯვებულთაგან **თორნიკე აბულაძე** და **გოგა ბითაძე** გამოირჩნენ. პირველმა 21 ქულა და 16 მოხსნა მიითვალა, ხოლო მეორემ - 14 ქულა და 10 მოხსნა. ავერსელებს 19 ქულა **ვატო თუთაშვილმა** შესძინა, ხოლო 13 ქულით (11 მოხსნა) გუნდის ვიცე-სნაიპერი და **ნიკა ბარათაშვილი** გახდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ლეგიონერები

# კოლელიშვილი ისევ პირველია

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში პლეი ოფის მეოთხედფინალის განმეორებითი მატჩები გაიმართა. ნახევარფინალში ქართველ მორაგბეთა სამმა გუნდმა გააღწია. ესენია: „მასი“, „ლილი“ და „ვალანს დაჟენი“.**

**შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიასა და არჩილ კობაურის** „მასიმ“ შინ მოუგო „კასტანეს“ - 26:13. ვინაიდან პირველ შეხვედრაში ჩვენებურთა გუნდმა ფრეს მიაღწია 23:23, ნახევარფინალშიც სწორედ ის გავიდა.

პარიზელებმა მატჩის ბედი ფაქტობრივად პირველი ტაიმის დასკვნით ხუთ წუთში გადაწყვიტეს. 36-ე წუთზე, როცა ანგარიში საყაიმო იყო - 3:3, საქართველოს ნაკრების მესამეხაზელმა შალვა სუთიაშვილმა ლელო გაიტანა. ამას მასელებმა ტაიმის ბოლო წუთზე კიდევ ერთი ლელო მიაყოლეს და 11 ქულით დაწინაურდნენ - 17:6.

შესვენების შემდეგ „მასიმ“ მონაგარს სამი ზუსტი საჯარიმო შემატა და ნახევარფინალსკენ გაიკაფა გზა, სადაც **დავით ბოლღაშვილის** „ლილს“ დაუპირისპირდება. ლილელებმა ორივე თამაშში შეძლეს ფავორიტად აღიარებული „ტიროსის“ დამარცხება. მათ პირველი მატჩი, შინ 28:23 მოიგეს, განმეორებით შეხვედრაში კი მეტოქეს სტუმრადაც აჯობეს - 27:21.

სუთიაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, აშვეთია 63-ე წუთზე შეცვალეს, კობაური და ბოლღაშვილი მოედანზე არ გამოსულან.

„მასისა“ და „ლილს“ შორის გამარჯვებული ფინალში გავა, რაც ელიტური, მეორე დივიზიონის საგზურის მოსაპოვებლად საკმარისია.


მარჯვნივ ვიქტორ კოლელიშვილი

მეორე ნახევარფინალურ წყვილში ითამაშებს **დიმიტრი ბასილაიასა** და **გიორგი ნემსაძის** „ვალანს დაჟენი“, რომელმაც გათამაშებას გამოთიშა „ნევერი“. ჩვენებურთა გუნდმა პირველ მატჩში, შინ 17 ქულის სხვაობით 32:15 მოიგო. განმეორებით შეხვედრაში კი სტუმრად 12 ქულით დათმო - 10:22.

ბასილაია 52-ე წუთზე შეცვალეს, ნემსაძე თამაშში 41-ე წუთიდან ჩაერთო. ვალანსელები ნახევარფინალში „კოლომიეს“ დაუპირისპირდებიან, რომელმაც ორჯერ მოუგო „მონტობანს“ 18:10 და 18:14. ფინალში გასული, როგორც უკვე ვთქვით, ელიტური, მეორე დივიზიონის საგზურს მოიპოვებს.

**ფედერალ 1**

**მეოთხედფინალი**

მასი-კასტანე 26:13 (23:23), ტიროსი-ლილი 21:27 (23:28), ნევერი-ვალანს დაჟენი 22:10 (15:32), კოლომიე-მონტობანი 18:10 (18:14).

**ნახევარფინალი**

მასი-ლილი, ვალანს დაჟენი-კოლომიე

საფრანგეთის ჩემპიონატის ესპუართა გათამაშება ზედიზედ მესამედ მოიგო **ვიქტორ კოლელიშვილისა** და **გიორგი ჯაშიტაშვილის** „კლერმონმა“. „უმცროსმა ვულკანებმა“ ფინალში „პერპინიანს“ დამატებით დროში სძლიეს - 22:19. აღსანიშნავია, რომ კოლელიშვილი მეორედ გახდა ესპუართა შორის საფრანგეთის ჩემპიონი.

**ესპუარები**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| კლერმონი-პერპინიანი | 22:19 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

წიგნის თარო




„ლელოს“ მკითხველებს და საერთოდ, რაგბის ქომაგებს ჯერაც არ განელებიათ ის შთაბეჭდილებები, რაც მათ მოუტანა ახალ ზელანდიაში მსოფლიო თასის გათამაშების ფინალში საქართველოს ნაკრების მონაწილეობამ.

„ლელოს“ ჟურნალისტი **ბესიკ ჯანგავაძე**, რომელიც ახალ ზელანდიაში ჩვენი გაზეთის გარდა ჰოლდინგ „პალიტრამედიის“ მასმედიის საშუალებებს წარმოადგენდა, ოპერატიულად და შთამბეჭდავად მოგვითხრობდა თასის გათამაშების დასკვნითი ეტაპის პერიპეტიებს, დაუვიწყარ შეხვედრებს და იმ პატივისცემას, რასაც ქართველი მორაგბეებისადმი მასპინძლები იჩენდნენ. ახლა ყველაფერი - განცდები, შთაბეჭდილებები, მატჩების ანალიზი, შეფასებები, გამონათქვამები ავტორმა ერთ წიგნად შეკრა და შესანიშნავ საჩუქრად უძღვნა ქართული რაგბის სამყაროს. თანაც გამოცემა უხვადაა ფერადი ფოტოებით ილუსტრირებული, რაც უფრო თვალსაჩინოდ დაუვიწყარს ხდის მსოფლიოს რაგბის ამ ღირსსახსოვარ მოვლენას.

წიგნს წამძღვარებული აქვს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის **რიჩი დიქსონის** სიტყვები: „2011 წლის მსოფლიოს თასზე ჩვენი გუნდის გამოსვლა უნდა იყოს ხიდი ქართული რაგბის წარსულსა და მომავალს შორის“. დიახ, „ხიდი წარსულსა და მომავალს შორის“. სწორედ მრავლისმეტყველი ეს სიტყვები იქცა წიგნის სათაურად...

საერთო სათქმელს შესანიშნავად გამოხატავს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი **გია ნიჟარაძე**, როცა ამბობს: „საქართველოს ნაკრების მორაგბეებს არასდროს სჭირდებათ დამატებითი მოტივაცია. ბევრჯერ მითქვამს, რომ ჩემთვის დიდი პატივია მათ გვერდში ყოფნა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო ცხოვრება გავიარე, ამაზე კარგი ცხოვრებაში არაფერი დამმართვია“.

წიგნს ლაიტმოტივად გასდევს ის აღიარება და სიყვარული, რაც ლელოს მემკვიდრეებმა ღირსეულად დაიმსახურეს შინ თუ გარეთ.

**თენგიზ თომაშვილი**

ტრანსფერები

# ქართულ-ფრანგული მიდი-მოდი

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. სატრანსფერო ციებ-ცხელება დიდი ხანია დაწყებულია, რომელშიც ქართველი მორაგბეებიც აქტიურად არიან ჩართულნი. ელიტურ, პირველ დივიზიონს რამდენიმე ჩვენებური შეემატა. თუმცა, სამწუხაროდ, არიან ისეთებიც, რომლებსაც ელიტის დატოვებამ მოუწიათ.**

ის რომ, „ბრივის“ შერკინების ბურჯი **ვასილ კაკოვინი** საფრანგეთის გრანდში, „ტულუზში“ გადავიდა, დიდი ხნის ამბავია. სამწუხაროდ, „ბრივი“ ელიტიდან გავარდა. შესაბამისად, სავარაუდოდ, ამ გუნდთან გამოთხოვება მოუწევთ ქართველ პირველხაზელებს **დავით ხინჩაგიშვილსა** და **ირაკლი ნატრიაშვილს**. პირველს პერსპექტივაში პარიზული „სტად ფრანსე“ ელოდება. ამავე გუნდში ახლახან ჩაირიცხა კიდევ ერთი პირველხაზელი, **ზურაბ ჟვანია**, რომელიც ფოთის სარაგბო სკოლის აღზრდილია და დღემდე ქუთაისის „აიაში“ ასპარეზობდა. ჟვანია მომავალი სეზონიდან პარიზელთა ესპუარებში, ანუ სათადარიგო გუნდში ითამაშებს.

ჯერჯერობით უცნობია, ნატრიაშვილის მომავალი გუნდის ვინაობა. სამაგიეროდ, გადაწყვეტილია, რომ „ბრივში“ გაატარებს მომავალ სეზონს საქართველოს A ნაკრების მესამეხაზელი **ბექა ბიწაძე**.

ელიტური, პირველი დივიზიონის კლუბებში ჩაირიცხნენ სხვა ახალგაზრდა მოთამაშეებიც. ასე მაგალითად: აკადემიელი **ბექა ლომიძე**, რომელიც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეორეხაზელია, **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა და გოდერძი შველიძის** „მონპელიეს“ ღირსებას დაიცავს. ქუთაისის „აიას“ პირველხაზელი **ტარიელ ჩხიკვაძე** კი **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრის“ კვართს მოირგებს.

სავარაუდოდ, „ტულუზში“ განაგრძობს ასპარეზობას შერკინების კვაჭი **აქვსენტი გიორგაძე**, რომელიც ამ კლუბში წლეულს, იანვარში ჩაირიცხა და ტრავმის გამო მხოლოდ სამ შეხვედრაში მოასწრო ასპარეზობა. „გლობუსა“ ამჟამად ჯანმრთელია და გუნდთან ერთად საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება.

საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონის“ ძირითად გუნდში ითამაშებს მომავალი სეზონიდან საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **ვიქტორ კოლელიშვილი**.

პირველი დივიზიონის დატოვება მოუწევს „აჟენის“ პირველხაზელ **ბექა შეყლაშვილს**, რომელმაც ხელშეკრულება ელიტური, მეორე დივიზიონის „დაქსთან“ გააფორმა. პირველი დივიზიონიდან მეორეში გავარდა **გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონი“.

შევსებაა მეორე დივიზიონის გუნდებშიც. ქუთაისის „აიას“ პირველხაზელი **თორნიკე ლომიძე** გასინჯვაზე იმყოფებოდა ბასკურ „ბიარიცში“, რომელმაც ქართველი შერკინების ბურჯი მეორედივიზიონელ „მონ დე მარსანში“ გაანათხოვრა. ამავე გუნდში ითამაშებს „არმიას“ შუამარბი **თამაზ მჭედლიძეც**. შეგახსენებთ, რომ ამ კლუბმა პლეი ოფის ფინალში გააღწია და იქ გამარჯვების შემთხვევაში ელიტურ, პირველ დივიზიონში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

მეორე დივიზიონის „ალბიში“, რომელსაც საქართველოს ნაკრების ყოფილი კონსულტანტი **ანრი ბრონკანი** წვრთნის, ერთბაშად სამი ქართველი, გარემარბი **ალექსანდრე თოდუა** (ლელო), მეორეხაზელი **ვახტანგ მაისურაძე** (ლა სეინი, ფედრალ 1) და მეორეხაზელი **კახა კობერიძე** (ხარები) ჩაირიცხა.

ახლახან **მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბთან“ გააფორმა ხელშეკრულება **გიორგი ნემსაძემ**, რომელმაც წლეულს ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „ვალანს დაჟენში“ ითამაშა. მისი თანაგუნდელი, საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **დიმიტრი ბასილია** კი შოტლანდიას მიაშურებს და ამ ქვეყნის უძლიერს კლუბის, „ედინბურგის“ ღირსებას დაიცავს.

ელიტური, მეორე დივიზიონიდან ფედრალ 1-ში დაქვეითდა **თედო ზიბზიბაძის, დავით დადუნაშვილისა** და **ალექსანდრე მარგველაშვილის** „პერიგო“. ქართველმა მორაგბეებმა ამ გუნდთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით გაახანგრძლივეს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ინტერვიუ ბაკურ გოშაძესთან


ბაკურ გოშაძე (ბურთით)

# არმიას არაფერს დავუთმობთ!

**დღეს, 22 მაისს ქუთაისის „აიას“ საკუთარ მოედანზე საქართველოს მოქმედ ჩემპიონ „არმიასთან“ განმეორებითი ნახევარფინალური შეხვედრა ელის. პირველ მატჩში ქუთაისური გუნდი 12:30 დამარცხდა და სოლიდური სხვაობის აღმოსაფხვრელად დიდი ჯაფა დაადგება. „აიას“ რთული ამოცანა აქვს შესასრულებელი, მაგრამ ქუთათურები იმედს არ კარგავენ და ბოლომდე ბრძოლას აპირებენ. მომავალი დაპირისპირების შესახებ ქუთაისური გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე ბაკურ გოშაძე გვესაუბრა.**

- გუნდში საბრძოლო განწყობაა, ყველა მორაგბე მწყობრშია და მატჩისთვის სერიოზულად ვემზადებით. თბილისში დიდი სხვაობით დავმარცხდით და საქმე გავირთულეთ, მაგრამ ვეცდებით, ჩვენი პლუსები გამოვიყენოთ და გავიმარჯვოთ. „არმიას“ იოლად არაფერს დავუთმობთ.

**- „არმია“ „აიასთვის“ გადაულახავ ბარიერად იქცა, გასული სეზონიდან მოყოლებული ამ გუნდთან უკვე ზედიზედ მეხუთედ წააგეთ. მაინც, რას დაუპირისპირებთ თბილისურ გუნდს?**

- „არმიას“ პირობებსა და ჩვენს პირობებს შორის ძალიან დიდი სხვაობაა. საშუალება აქვთ და ბევრი ძლიერი მორაგბე ჰყავთ, ჩვენ კი ახალგაზრდული გუნდი ვართ, წლეულს უფრო გადავხალისდით, ბევრი ნიჭიერი მორაგბე დავიმატეთ, მაგრამ აკლიათ მაღალ დონეზე გამოცდილება. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ „არმიასთან“ თანაბრად ჭიდილის ძალა შეგვწევს და ბოლომდე ვიბრძოლებთ. თანაც, საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ და გულშემატკივრების მხარდაჭერის იმედიც გვაქვს.

**- როგორ ფიქრობთ, შარშანდელ და წლევანდელ „აიას“ შორის დიდი სხვაობაა?**

- წლეულსაც მებრძოლი გუნდი გვყავს და ეს განვლილ მატჩებშიც დავამტკიცეთ. ჯგუფში ყველა შეხვედრა მოვიგეთ, „არმიასთან“ კი ახლა ვგეგმავთ რევანშის აღებას, უნდა დავამტკიცოთ, რომ ამ გუნდის მოგება ჩვენს შესაძლებლობებს არ აღემატება.

**- „არმიასთან“ 18 ქულით გამარჯვება ძალიან რთული ამოცანაა. შესაძლოა „აია“ გაზაფხულის ტურნირის ფინალის საგზურის გარეშე დარჩეს...**

- გაზაფხულის ტურნირს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ვიყენებთ, თუმცა, ვიმეორებ, სანამ წინ თამაში გვაქვს, დაკარგული არაფერია. თუ ფინალში ვერ გავედით, შემდეგ შვიდკაცასთვის შევუდგებით მზადებას, რომელიც მომავალ თვეში დაიწყება.

**- მესამე წელია „აიაში“ წამატებით თამაშობთ, თავად უთხარით მკითხველს, ქუთაისურ გუნდში მისვლამდე სად ასპარეზობდით?**

- ქუთაისური რაგბის სკოლის აღზრდილი ვარ, „აიას“ ასაკობრივ გუნდებში ვთამაშობდი. შემდეგ ჯარში წავედი და გარკვეული პერიოდი რაგბის ჩამოშორებული ვიყავი. თამაში 21 წლის ასაკში გავაგრძელე და „აიაში“ ბესიკ ხამაშურიძის მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ მივედი. ვცდილობ გუნდს სარგებელი მოვუტანო.

**- უცხოეთში თამაშზე თუ ფიქრობ?**

- ჯერჯერობით „აიაში“ ვარ და მშობლიური გუნდის წარმატებებზე ვფიქრობ. თუ მხარდაჭერა და ფინანსურად სტაბილური პირობები გვექნება, ყოველთვის მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. ქუთაისში ბევრი ნიჭიერი მორაგბეა და ჩვენს გუნდს დიდი რესურსი აქვს.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

მოტოგრანპრი. მსოფლიოს ჩემპიონატი


ხორხე ლორენსო

# ლორენსო-სტოუნერი: 2:2

მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი საფრანგეთში, ლე მანის ავტოდრომზე გაიმართა და შეიცვალა ლიდერი საერთო ჩათვლაში. წელს ჩემპიონატზე ჯერჯერობით ორი პილოტი იმარჯვებს - მოქმედი ჩემპიონი, ავსტრალიელი **კეისი სტოუნერი** და ესპანელი **ხორხე ლორენსო**, რომლებიც "ჰონდასა" და "იამაჰას" გუნდებს წარმოადგენენ. სტოუნერს სამიდან ორი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული და ახლა ლორენსომ ამ ერთგვარ დუელში ანგარიშის გათანაბრება შეძლო.

ლე მანიზე პოული **დანი პედროსამ** მოიგო, მეორე იყო სტოუნერი. სწორედ ეს ორი პილოტი დაწინაურდა სტარტზე და მათ კვალში ჩაუდგა ლორენსო. პირველივე წრის შუაში ხორხემ ორივე ლიდერის უკან ჩამოტოვება მოახერხა, რის შემდეგაც მრბოლელებმა ასეთი თანმიმდევრობით გაგრძელეს ბრძოლა: ლორენსო, პედროსა, სტოუნერი, **როსი** (სტარტზე სამი პოზიცია მოიგო), **დოვიციოზო** და **კრატჩლოუ**.

პოულის მფლობელმა პედროსამ მთლიანად ჩააგდო რბოლა: მეოთხე წრისთვის ის მეექვსე ადგილამდე ჩამოქვეითდა. ლიდერი ლორენსო სტოუნერს დაშორდა, რომელსაც, თავის მხრივ ვალენტინო როსი ავიწროებდა.

თუმცა რბოლის შუაში კეისიმ მოუმატა, ვალენტინო უკან ჩამოიტოვა და ლორენსოზე შეტევა სცადა, მაგრამ გენერალურ კლასიფიკაციაში თავის მთავარ კონკურენტს ვერაფერი მოუხერხა. უფრო მეტიც, როსი ისევ წამოეწია სტოუნერს, ოთხი წრე ავიწროებდა მას და ბოლო წრეზე გაუსწრო კიდეც მოქმედ ჩემპიონს. ლეგენდარული როსი ამ სეზონში პირველად ავიდა პოდიუმზე.

ლორენსომ კი შეინარჩუნა პირველი ადგილი და ამ მოგების ხარჯზე საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. მას 90 ქულა აქვს და რვა ქულით უსწრებს სტოუნერს.

**საფრანგეთის გრანპრი**

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 28 წრე; 2. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი") - +9,905; 3. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა") - +11,298; 4. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - +29,361; 5. **შტეფან ბრადლი** (გერ, "ჰონდა") - +32,477; 6. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი") - +32,842; 7. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „იამაჰა") - +59,759; 8. **კელ კრატჩლოუ** (აშშ, „იამაჰა") - +1.05,152; 9. **ექტორ ბარბერა** (ესპ, „დუკატი") - +1.07,846; 10. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, „ჰონდა") - +1.13,193...

**საერთო ჩათვლა**

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 90 ქულა; 2. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა") - 82; 3. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - 65; 4. **კელ კრატჩლოუ** (აშშ, „იამაჰა") - 45; 5. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „იამაჰა") - 44; 6. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი") - 42; 7. **შტეფან ბრადლი** (გერ, "ჰონდა") - 35; 8. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, „ჰონდა") - 35; 9. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი") - 33; 10. **ექტორ ბარბერა** (ესპ, „დუკატი") - 26...

კალათბურთი

## მეომრები სან ფრანცისკოსკენ იხედებიან

"გოლდენ სტეიტ უორიორზის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ მზად .არის თავისი გუნდი ქალაქ სან ფრანცისკოში გადაიყვანოს. შეგახსენებთ, რომ 11 მაისს სან ფრანცისკოს მერმა **ედ ლიმ** ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას წერილით მიმართა, რომელშიც უახლოეს ხუთ წელიწადში NBA-ის გუნდის მიღების მზადყოფნა გამოთქვა.

გარდა ამისა, სან ფრანცისკოს მთავრობამ ერთხმად დაუჭირა მხარი ახალი სპორტკომპლექსის მშენებლობას, რამაც შეიძლება დააჩქაროს "უორიორზის" გადასვლის პროცესი.

წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატი "გოლდენ სტეიტმა" დასავლეთ კონფერენციაში მე-13 ადგილზე დაასრულა.

## ბილაპსი წასვლას არ აპირებს

"ლოს ანჯელეს კლიპერსის" მცველმა **ჩონსი ბილაპსმა** დაადასტურა მომავალ სეზონში კარიერის განახლება. შეგახსენებთ, რომ 2012 წლის თებერვალში ვეტერანმა გამთამაშებელმა სერიოზული ტრავმა მიიღო – აქილევსის მყესი გაიწყვიტა.

*"ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ კარგად მოვემზადო ახალი სეზონისთვის. ჩვენ კიდევ დაგვრჩა დაუმთავრებელი საქმეები. თუმცა არ ვიცი, რა მიმართულებით წავა გუნდი, თუნდაც ჩემთან ერთად შემადგენლობაში. ვცდილობ არ ვიფიქრო ამაზე. ჯერჯერობით არ ვიცი, დავრჩები თუ არა "კლიპერსში", მაგრამ თუ განვლილი სეზონი ბოლო იყო ჩემსთვის ამ გუნდში, შემიძლია ვთქვა, რომ დრო შესანიშნავად გავატარე. მზად ვარ კარიერა "კლიპერსში" გავაგრძელო და ზუსტად ვიცი, რომ შემდეგ სეზონში ვითამაშებ"*, - ამბობს ბილაპსი.

## შიშკაუსკასმა წასვლა გადაწყვიტა

მოსკოვის ცსკა-სა და ლიტვის ნაკრების ფორვარდმა **რამუნას შიშკაუსკასმა** პროფესიული კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 33 წლის ვეტერანის საკლუბო კარიერაში შემდეგი გუნდები იყვნენ: ლიტვის "საკალაი" და "ლეტუვოს რიტასი", იტალიის "ბენეტონი" და საბერძნეთის "პანათინაიკოსი". ცსკა-ში შიშკაუსკასი 2007 წელს გადავიდა და ამ გუნდთან ერთად 2008 წელს ევროლიგის ჩემპიონი გახდა.

ლიტვის ნაკრებში შიშკაუსკასმა 2003 წელს ევროპის ჩემპიონატი მოიგო, აგრეთვე ბრინჯაოს მედლები მოიპოვა სიდნეის ოლიმპიადასა და 2007 წლის ევრობასკეტზე.

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# ლებრონი+ჯეიმსი=70

გუშინ, ინდიანაპოლისში გაიმართა "მაიამისა" და "ინდიანას" სერიის მეოთხე შეხვედრა, რომელშიც ფლორიდელებს აუცილებლად სჭირდებოდათ გამარჯვება, წინააღმდეგ შემთხვევაში სერიაში ანგარიში 3:1 ხდებოდა "ინდიანას" სასარგებლოდ და **სპოელსტრას** შეგირდებს კონფერენციის ფინალში გასვლის მინიმალური შანსი დარჩებოდათ.

სპოელსტრამ წინა შეხვედრის მსგავსად სასტარტოში **ბატიე** გამოიყვანა და **ლებრონ ჯეიმსი** მძიმე ფორვარდის პოზიციაზე დააყენა. სხვათა შორის ლებრონისთვის ეს იყო 101-ე მატჩი პლეი ოფში. "მაიამის" ლიდერი ერთადერთი მოთამაშეა ისტორიაში, ვინც პირველ 100 შეხვედრაში 2500 ქულაზე, 800 მოხსნასა და 600 შედეგიან გადაცემაზე მეტი დააგროვა. მან ამ მაჩვენებლებით ისეთ ლეგენდებს გაუსწრო, როგორებიც არიან **მაიკლ ჯორდანი**, **მეჯიქ ჯონსონი** და **ლარი ბერდი**. მაგრამ ეს სტატისტიკური მიღწევები პირველ წუთებში ვერ შველოდა მის გუნდს. აქტიურმა პრესინგმა და სწრაფმა ტემპმა, რომელიც მეტოქეს "პეისერსმა" შესთავაზა, სტუმრებს ოთხ წუთში ხუთი შეცდომა დააშვებინა.

"ჰიტს" ამ დაბნეულობის დასაძლევად **ბატიესა** და **ჩელმერსის** სამქულიანები დაეხმარა, რამაც "ინდიანას" 10 ქულაზე შორს წასვლის საშუალება არ მისცა. ხოლო, როცა მეოთხედის ბოლოს ჯეიმსს, როგორც იქნა, საფირმო გარღვევები წაუვიდა, **ფრანკ ფოგელის** გუნდის ინიციატივისგან არაფერი დარჩა. "მაიამის" სათადარიგო მოთამაშეებმა სტუმრებს მცირე უპირატესობაც კი მოუტანეს, თუმცა ამას "პეისერსის" შტურმი მოჰყვა და "ჰიტი" დიდი ხანი ვერ დატკბა მოპოვებული ლიდერობით. სტუმრებისთვის ყველაზე საგანგაშო ის იყო, რომ **დუეინ უეიდი** აგრძელებდა უზუსტო საშუალო ტყორცნების სერიას, რომელიც წინა მატჩიდან გადმოყვა.

მხოლოდ დიდი შესვენების წინ გუნდის მესამე ნომერმა რაღაც იმედი ჩაუსახა გულშემატკივრებს: ორ წუთში მან ექვსი ქულა დააგროვა. მესამე მეოთხედის დასაწყისში კი უეიდი უკვე შეუჩერებელი იყო: "ფლეშმა" პირველი ექვსი ტყორცნიდან ექვსივე მოათავსა კალათში. ამას ემატებოდა ლებრონის აქტიურობა და ნელ-ნელა მატჩის სასწორი სტუმრებისკენ გადაიხარა. ამ წყვილმა მეოთხედში გუნდური 30 ქულიდან 28 თავის ანგარიშზე მიითვალა და თან თავის საყვარელ საქმესაც მიხედა – პერსონალურებით დატვირთა მეტოქე. როგორც კი მათ ამ ხერხით გზიდან ჩამოიცილეს **უესტი და ჰიბერტი**, "ინდიანას" უპირატესობა მოხსნებში სადღაც გაქრა და მასპინძლები საშუალო და შორი მანძილებიდან ტყორცნების იმედად დარჩნენ. სამქულიანები კი "პეისერსს" სერიის დასაწყისიდან არ მისდის და ამის გამო ბოლო 12-წუთეულის დასაწყისისთვის სხვაობა 10 ქულა იყო, ოღონდ "ჰიტის" სასარგებლოდ.

ბოლო მეოთხედის წინ საკითხი ასე იდგა – შეძლებდა თუ არა "პეისერსი" ჯეიმსისა და უეიდის შეჩერებას. მასპინძლებმა ეს საკითხი ვერ მოაგვარეს, თან იმდენად გადაერთნენ ამ ორი კალათბურთელის განეიტრალებით, რომ დაავიწყდათ "მაიამის" სხვა შემტევი მოთამაშეები. ისინი საჭირო დროს გააქტიურდნენ. **ჰასლემი** ფარისკენ უშვებდა ყველა ბურთს, რომელსაც უეიდისგან ან ჯეიმსისგან იღებდა და რადგან ამ მომენტებში ყოველთვის თავისუფალი იყო, რეალიზაციის მხრივ პრობლემები არ ჰქონია.

ბოლოსკენ "ინდიანას" შეტევა გამოცოცხლდა, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვებულის საკითხი დღის წესრიგიდან ლებრონ ჯეიმსმა მოხსნა, რომელმაც ოთხიდან სამი საჯარიმო გამოიყენა და თავის გუნდს ფლორიდაში ფავორიტის რანგში დაბრუნების საშუალება მისცა.

**ინდიანა–მაიამი 93:101**

**25:18, 29:28, 16:30, 23:25**

**ი:** გრეინჯერი (20+5 მოხსნა+3 პასი), კოლისონი (16), ჯორჯი (13+6 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), ჰიბერტი (10+9 მოხსნა+3 დაფარება), უესტი (8+6 მოხსნა+3 პასი), ჰილი (8+4 პასი), ბარბოზა (8), ჰენსბრო (8), ამუნდსონი (2+7 მოხსნა).

**მ:** ჯეიმსი (40+18 მოხსნა+9 პასი+2 დაფარება), უეიდი (30+9 მოხსნა+6 პასი+2 დაფარება), ჰასლემი (14), ჩელმერსი (8+3 პასი), ენტონი (4+3 დაფარება), ბატიე (3), მილერი (2).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (41.8/47.5), სამქულიანებქი (31.8/41.7), საჯარიმოები (83.3/71.4).

**სერია:** 2-2


დუეინი და ლებრონი

# სპურსის რვიდან რვა

დღის მეორე მატჩს თითქმის არ ჰქონდა ინტრიგა, რადგან 0:3-ზე "კლიპერსს" "სან ანტონიოსთან" სერიის გადარჩენის არანაირი შანსი არ გააჩნდა. სერიის მეოთხე მატჩი ტექსასელთა დომინირებით დაიწყო. **გრეგ პოპოვიჩის** შეგირდებმა პირველი მეოთხედის შუაში ფანტასტიკური გაქცევა განახორციელეს – 14:0. "კლიპერსი" განადგურებას გადაურჩა იმ მცირე უპირატესობის წყალობით, რომელსაც მასპინძლები "სპურსის" სპურტის წინ ფლობდნენ. გარდა ამისა, იაქტიურა **კრის პოლმა**, რომელმაც თავისი ასისტენტური და შეტევითი თვისებებით "კლიპერსს" ერთ ქულამდე შეამცირებინა სხვაობა.

მესამე მეოთხედში პოლმა ისევ გამოიჩინა თავი და აიყოლია თავისიანები. **ფოიესა** და **ბატლერს** უფრო ზუსტად რომ ესროლათ, მასპინძლები ბოლო შესვენებაზე უფრო დიდი უპირატესობით გავიდოდნენ. ასე კი **გრიფინმა** მესამე მეოთხედში 12 ქულა დააგროვა და "კლიპერსმა" დაიბრუნა ლიდერობა - პირველად საწყისი მეოთხედის სტარტის შემდეგ.

ბოლო 12-წუთეულში **გრინისა** და **ნილის** სამქულიანებმა, აგრეთვე **დანკანისა** და **დიაოს** საჯარიმოებმა "სპურსს" უპირატესობა დაუბრუნა. თანაბარი ანგარიშის დროს კი მატჩის ბედი გადაწყვიტა გამთამაშებლების დუელმა. პოლმა და **პარკერმა** პასუხისმგებლობა აიღეს მატჩის საბოლოო შედეგზე და ამ დაპირისპირებაში უფრო გამოცდილმა ფრანგმა გაიმარჯვა. მისი ოთხი ქულა გახდა პასუხი პოლის მიერ ჯარიმით ჩაგდებულ სამ ქულაზე. და პარკერის ეს წარმატება გადამწყვეტი აღმოჩნდა მატჩში. პოლმა დანკანის პერსონალურის შემდეგ ორი საჯარიმოს გამოყენების მიუხედავად, ორი ცუდი შეტევა განახორციელა. ჯერ დანკანისგან ბლოკი მიიღო, შემდეგ კი **ჯინობილის** ჩააჭრევინა ბურთი. ბოლო შეტევისას კი ვარდნაში ურთულესი ტყორცნის განხორციელება გადაწყვიტა და ფარს ძლივს მოარტყა ბურთი.

"სპურსმა" ზედიზედ მეორე სერია მოიგო "მშრალი" ანგარიშით და ჯერჯერობით მისი შემჩერებელი არ ჩანს.


პარკერი ვერ გააჩერეს

**კლიპერსი–სან ანტონიო 99:102**

**21:26, 26:25, 28:23, 24:28**

**კ:** პოლი (23+11 პასი+6 მოხსნა), გრიფინი (21+5 მოხსნა), ბლედსოუ (17+3 ჩაჭრა), ჯორდანი (10+8 მოხსნა+3 დაფარება), ფოიე (8+3 პასი+3 ჩაჭრა), უილიამსი (7), ბატლერი (6), იანგი (3), მარტინი (2), სიმონსი (2), ევანსი (0+5 მოხსნა).

**ს-ა:** დანკანი (21+9 მოხსნა+4 პასი+3 დაფარება), პარკერი (17+5 პასი), გრინი (14+6 მოხსნა+4 პასი), ნილი (14+3 პასი), ჯინობილი (11+4 პასი), სპლიტერი (11+7 მოხსნა), ლეონარდი (5+5 მოხსნა), ბონერი (5), ჯექსონი (2+4 პასი), დიაო (2+5 მოხსნა).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (47.7/52.8), სამქულიანები (25/40), საჯარიმოები (68.4/74.1).

**სერია:** 0-4

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# მაინც გმირი სლოვაკეთი

ზდენო ხარა




როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის ნაკრებმა იოლად მოიგო ფინალური მატჩი სლოვაკების წინააღმდეგ. უკვე რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომ შემადგენლობის მხრივ რუსებს ყველაზე კარგად ჰქონდათ საქმე განვლილ ჩემპიონატზე და ეს საბოლოო შედეგზეც აისახა: **ზინეტულა ბილიალეტდინოვის** გუნდმა ათიდან ათი მატჩი მოიგო, ნახევარფინალსა და ფინალში ერთნაირი ანგარიშით – 6:2 გაანადგურა ფინეთი და სლოვაკეთი.

ფინალში მომავალი ჩემპიონის უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ მატჩის პერიპეტიების აღწერას აზრი არ აქვს. ამიტომაც ფინალისა და ჩემპიონატის საინტერესო ფაქტებს გაგაცნობთ:

- რუსეთის ნაკრებმა 2009 წლის შემდეგ პირველად მოიპოვა ოქროს მედალი. ეს არის პირველი გუნდი 1989 წლის შემდეგ, რომელმაც ტურნირზე ყველა მატჩი მოიგო. ბოლოს ეს სსრკ-ის ნაკრებმა გააკეთა და მაშინაც ჩემპიონმა 10 მატჩში გაიმარჯვა.

- რუსებმა ბოლო ხუთ წელიწადში მესამედ მოიპოვეს პირველობა. ბოლოს ასეთი სიხშირით ჩემპიონატს კანადა იგებდა (2003, 2004, 2007).

- **ევგენი მალკინმა** 19 ქულით საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიპოვა. მან ერთ სეზონში შეძლო NHL-ის რეგულარულ ჩემპიონატსა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ბომბარდირობა. ბოლოს ასეთი რამ 1992 წელს ლეგენდარულმა **უეინ გრეტცკიმ** გააკეთა.

- ფინალში რუსეთმა 11-ით მეტი დარტყმა შეასრულა: 42-31.

- სლოვაკეთმა 2002 წლის შემდეგ ჩემპიონატზე საუკეთესო შედეგი აჩვენა. იმ წელს სლოვაკებმა ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

- აქამდე მეათე ნომრად განთესილ არც ერთ გუნდს არ მოუგია ვერცხლი მსოფლიოს ჩემპიონატზე.

- **მიროსლავ შატანი** პირველი სლოვაკი ჰოკეისტია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატებზე ოთხი მედალი მოიპოვა (2000 – ვერცხლი, 2002 – ოქრო, 2003 – ბრინჯაო, 2012 – ვერცხლი).

- ფინალის შემდეგ სლოვაკების კაპიტანმა **ზდენო ხარამ პავოლ დემიტრას** 38-ნომრიანი მაისურა ჩაიცვა. სლოვაკებმა თავიანთი მეორე ადგილი ცნობილ თანამემამულეს, NHL-ის ყოფილ ვარსკვლავს მიუძღვნეს, რომელიც შარშან იაროსლავლის "ლოკომოტივის" სხვა ჰოკეისტებთან ერთად ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ამიერიდან, სლოვაკეთის ნაკრებში 38-ე ნომრით არავინ ითამაშებს.

## ლაურეატები

ტრადიციულად, ჩემპიონატის შემდეგ ორგანიზატორებმა და ჟურნალისტებმა ლაურეატები დაასახელეს. მესამედ მოხვდა ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში ევგენი მალკინი. გარდა ამისა, ის გახდა ტურნირის MVP და საუკეთესო ბომბარდირი (19 ქულა).

საინტერესოა, რომ **პატრიკ ტორესენი** პირველი ნორვეგიელია ისტორიაში, ვინც სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

ტურნირის საუკეთესო მეკარე გახდა სლოვაკი **იან ლაკო**. 30 წლის გოლკიპერს დებიუტი ჰქონდა მსოფლიოს ჩემპიონატზე და დარტყმების 93.55 პროცენტი მოიგერია, რაც საუკეთესო მაჩვენებელი იყო ყველა მეკარეს შორის.

## ინდივიდუალური პრიზები

**საუკეთესო მეკარე:** იან ლაკო (სლოვაკეთი)

**საუკეთესო მცველი:** ზდენო ხარა (სლოვაკეთი)

**საუკეთესო ფორვარდი:** ევგენი მალკინი (რუსეთი)

**ტურნირის MVP:** ევგენი მალკინი (რუსეთი)

## სიმბოლური ნაკრები

**მეკარე:** იან ლაკო (სლოვაკეთი);

**მცველები:** ზდენო ხარა (სლოვაკეთი), ილია ნიკულინი (რუსეთი);

**ფორვარდები:** ევგენი მალკინი (რუსეთი), პატრიკ ტორესენი (ნორვეგია), ჰენრიკ ზეტერბერგი (შვედეთი).

| რუსეთი-სლოვაკეთი | 6:2 |
|---|---|

1:1, 3:0, 2:1

**გოლები:** 0:1 ხარა-1 (სუროვი), 1:1 სიომინი-1 (ოვეჩკინი, დაციუკი), 2:1 პერეჟოგინი-4 (პოპოვი), 3:1 ტერეშჩენკო-2 (შიროკოვი, ჟერდიოვი), 4:1 სიომინი-2 (დაციუკი), 5:1 დაციუკი-3 (სიომინი, ოვეჩკინი), 5:2 ხარა-2 (სუროვი, შატანი), 6:2 მალკინი-11 (ნიკულინი, ნიკიტინი).

| ბომბარდირები | |
|---|---|
| მალკინი (რუს) | 19 (11+8) |
| ტორესენი (ნორ) | 18 (7+11) |
| ზეტერბერგი (შვედ) | 15 (3+12) |
| ერიქსონი (შვედ) | 13 (5+8) |
| სკროდერი (ნორ) | 12 (5+7) |
| პოპოვი (რუს) | 12 (4+8) |
| პასიორეტი (აშშ) | 12 (2+10) |
| მ. კოივუ (ფინ) | 11 (3+8) |
| კეიტი (კან) | 11 (1+10) |

| გოლები | |
|---|---|
| მალკინი (რუს) | 11 |
| ტორესენი (ნორ) | 7 |
| ერიქსონი (შვედ) | 5 |
| სკროდერი (ნორ) | 5 |
| ჰემსკი (კან) | 5 |
| ტრიგი (ნორ) | 5 |
| რაიანი (აშშ) | 5 |
| ი. იოკინენი (ფინ) | 5 |
| კოპეცკი (სლვ) | 5 |

| პასები | |
|---|---|
| ზეტერბერგი (შვედ) | 12 |
| ტორესენი (ნორ) | 11 |
| კეიტი (კან) | 10 |
| პასიორეტი (აშშ) | 10 |
| ასკი (ნორ) | 8 |
| ერიქსონი (შვედ) | 8 |
| მ. კოივუ (ფინ) | 8 |
| პოპოვი (რუს) | 8 |
| მალკინი (რუს) | 8 |

## ახალი ჩემპიონატისა და ოლიმპიადის კონტურები

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ ნაკრებების ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, რის მიხედვითაც დაკომპლექტდა მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონატისა და სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჯგუფები.

2013 წელს პლანეტის პირველობა კვლავ შვედეთსა და ფინეთში გაიმართება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ნახევარფინალიდან მოყოლებული ყველა მატჩს სტოკჰოლმი უმასპინძლებს. ტურნირის ჩატარების ფორმატი უცვლელი დარჩება: თავიდან ორი ჯგუფი და შემდეგ პლეი ოფის ეტაპი.

**სტოკჰოლმის ჯგუფი:** რუსეთი, შვედეთი, კანადა, ნორვეგია, შვეიცარია, დანია, ბელარუსი, სლოვენია;

**ჰელსინკის ჯგუფი:** ფინეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, აშშ, გერმანია, ლატვია, საფრანგეთი, ავსტრია.

ოლიმპიურ თამაშებზე სამი ქვეჯგუფი ასე დაკომპლექტდა:

A ჯგუფი: რუსეთი, სლოვაკეთი, აშშ, კვალიფიკაცია (III);

B ჯგუფი: ფინეთი, კანადა, ნორვეგია, კვალიფიკაცია (II);

C ჯგუფი: ჩეხეთი, შვედეთი, შვეიცარია, კვალიფიკაცია (I).

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| რანდერსი-ვესტსილანდი | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| სუნდსვალი-ელფსბორგი | 0:3 |
| გაის-გიოტებორგი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ანგელჰოლმი-ფალკენბერგსი | 1:3 |
| ასირისკა-დეგერფორსი | 0:0 |
| ბრაგე-ოსტერი | 0:1 |
| ლანდსკრონა-ჰამარბიუ | 4:1 |
| **ფინეთი** | |
| იარო-ლაჰტი | 0:2 |
| ჰიკ-ჰონკა | 3:0 |
| მარიეჰამნი-ინტერი | 2:1 |
| კუოპიო-ჰაკა | 3:0 |
| მიუპა-ვაასა | 1:0 |
| ტურკუ-იუვიასკიულა | 2:3 |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამეენლინა-სეინიონი | 0:2 |
| ოპს-როვანიემი | 0:1 |
| პკ35-ოულუ | 2:0 |
| ვიიკინგიტი-კოტეპე | 1:0 |
| **ირლანდია** | |
| დერი-ბრეი | 3:2 |
| დროგედა-კორკი | 1:1 |
| სტ. პატსი-დანდალკი | 1:2 |
| უნივერსიტი-სლიგო | 1:0 |
| მონეგანი-შემროკი | 0:0 |
| შელბურნი-ბოჰემიანსი | 1:2 |
| **ისლანდია** | |
| ფრამი-სელფოსი | 0:2 |
| გრინდავიკი-სტიარნანი | 1:4 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლუჩ ენერგია-გაზპრომი | 0:0 |
| გაზოვიკი-სკა ენერგია | 1:0 |
| კამაზ-ფაკელი | 2:0 |
| ტორპედო-ბალტიკა | 5:2 |
| ხიმკი-ენისეი | 0:0 |
| **რუმინეთი** | |
| ბრაშოვი-ტარგუ | 2:1 |
| პეტროლული-სპორტული | 0:3 |
| ჩახლაული-გაზ მეთანი | 2:0 |
| **ლიტვა** | |
| ვილნიუსი-დაინავა | 1:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ბელგია** | |
| ოსტენდე-მონსი | 92:67 |
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 84:78 |
| **იტალია** | |
| ვარეზე-მონტეპასკი | 73:70 |
| ვიტრუსი-სასარი | 71:72 |
| **პოლონეთი** | |
| პროკომი-სოპოტი | 89:81 |
| **თურქეთი** | |
| ეფესი-ბანვითი | 68:55 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. რომი** | |
| ნადალი-ჯოკოვიჩი | 7:5, 6:3 |
| **ATP. დიუსელდორფი** | |
| ფ. მაიერი-ანდრეევი | 6:2, 7:6 |
| ბერდიხი-სოედა | 6:1, 3:6, 6:1 |
| ტიპსარევიჩი-ყოვკო | 6:0, 6:0 |
| **WTA. სტრასბური** | |
| ჰსიე-ბეგუ | 6:7, 6:3, 6:1 |
| ბალტაჩა-ფორეტცი | 4:6, 0:6 |
| ლისიცკი-პარმენტიე | 4:6, 4:6 |
| პაჩეკი-ბრიანტი | 6:4, 0:6, 6:4 |
| მედინა გარიგესი-ტატიშვილი | შეწყდა |
| ერაკოვიჩი-მორიტა | შეწყდა |
| **WTA. ბრიუსელი** | |
| იანკოვიჩი-ჰალეპი | 2:6, 6:4, 6:7 |
| პეტროვა-კ. ბონდარენკო | 6:4, 6:4 |
| დანილიდუ-პირონკოვა | 1:6, 4:6 |
| მაკჰეილი-ციბულკოვა | 6:7, 1:6 |
| პერვაკი-ვან უიტვანკი | 3:6, 7:5, 4:6 |

● TV პროგრამა

**22 მაისი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. სენტ ეტიენი-ბორდო.
**12:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. ტულუზა-აიაჩო.
**14:00** არგენტინის ჩემპიონატი. XVI ტური. რასინგი-ბოკა ხუნიორსი.
**16:00** ინგლისის ლიგის თასი. ფინალი. კარდიფ სიტი-ლივერპული.
**19:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის მიმოხილვა.
**20:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ევროპალიგის პლეი ოფი. ფინალი. ვაალვიკი-ვიტესი. I მატჩი.
**22:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. ევროპალიგის პლეი ოფი. ფინალი. ვიტესი-ვაალვიკი. II მატჩი.
**00:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXVIII ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-სპორტინგი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ოკლაჰომა-ლეიკერსი. V მატჩი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ატლეტიკო.
**17:00** ბადმინტონი. თომასისა და უბერის თასი. ჩინეთი.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
**21:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**22:00** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
**22:45** NBA Action.
**23:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ოკლაჰომა-ლეიკერსი. V მატჩი.
**03:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მაიამი-ინდიანა. V მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. "ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. ბარსელონა-ოლიმპიაკოსი. სტამბოლი. თურქეთი.
**17:30** სპორტ-NEWS.
**18:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ოსერი-მონპელიე.
**20:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი. მემფისი-კლიპერსი.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 14 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 17 | 25 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 18 | 20 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 15 | 22 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 14 | 24 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 12 | 23 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 15 | 27 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 6 | 16 | (მცირე წვიმა) |
| ბორჯომი | 10 | 20 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | 5 | 17 | (მცირე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0582 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6219 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5621 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1666 |

● ჰოკეი. NHL სტენლის თასი. 1/2 ფინალი

# ფინიქსმა სერია გაახანგრძლივა

"ლოს ანჯელესმა" ვერ შეძლო "ფინიქსთან" დასავლეთი კონფერენციის ფინალური სერიის ოთხ მატჩში დასრულება. "კინგზი" 3:0-ზე სერიის მეოთხე შეხვედრას შინ ატარებდა და დიდი უპირატესობაც ჰქონდა, მაგრამ ამჯერად ვერაფერი მოუხერხა "ფინიქსის" კარის დარაჯს **მაიკ სმიტს**. სტუმრების მეკარემ 36 დარტყმა მოიგერია და ამ პლეი ოფში მესამე შათაუტი შეასრულა.

"ლოს ანჯელესი" ამ შეხვედრას რვამატჩიანი მოგებათა სერიით შეხვდა და საკუთარ მოედანზე სურდა 1993 წლის შემდეგ პირველად ფინალში გასვლის აღნიშვნა, მაგრამ მაიკ სმიტთან ერთად, მას ამაში ხელი "ფინიქსის" შეტევების ლიდერმა **შეინ დოუნმა** შეუშალა.

"ფინიქსმა" პირველ 14 წუთში მხოლოდ ორი ზუსტი დარტყმა შეასრულა და მაინც გახსნა ანგარიში. დოუნმა რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა, არადა, აქამდე "კოიოტზმა" ზედიზედ 22-ჯერ ვერ გამოიყენა ზედმეტი მოთამაშე.

მეორე გოლი იმავე დოუნმა მესამე პერიოდში გაიტანა – ვოლჩენკოვმა ჩაგდება მოიგო და შეინმა ისე მოულოდნელად და ძლიერად დაარტყა, რომ მსაჯებს ვიდეოგამეორების ნახვამ მოუწიათ გოლის დასაფიქსირებლად.

ახლა "ფინიქსს" სამი მოგება სჭირდება იმისთვის, რომ გახდეს NHL-ის ისტორიაში მეოთხე გუნდი, რომელიც 0:3-დან შეძლებს სერიის გადარჩენას. თუმცა ეს რთული გასაკეთებელი იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ "ლოს ანჯელესს" ამ პლეი ოფში სტუმრად შვიდიდან შვიდი მოგება აქვს. შემდეგი მატჩი კი სწორედ "ფინიქსის" მოედანზე გაიმართება...

| ლოს ანჯელესი-ფინიქსი | 0:2 |
|---|---|

0:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 დოუნი-4 (რეი უიტნი-5), 0:2 დოუნი-5 (ვერმეტი-5).

**სერია:** 3-1

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ჩოგბურთი. ტურნირები

# რეპეტიცია რაფამ მოიგო

წვიმის გამო გადადებული რომის მასტერსის ფინალი გუშინ გაიმართა. იტალიის დედაქალაქში წელს მესამედ ვიხილეთ **ნოვაკ ჯოკოვიჩისა** და **რაფაელ ნადალის** დაპირისპირება. შარშანდელ ფინალშიც ეს ჩოგბურთელები შეხვდნენ ერთმანეთს და **ენდი მიურეისთან** ურთულესი ნახევარფინალის შემდეგ, ნოვაკმა მაინც შეძლო ნადალის დამარცხება, თანაც ორ სეტში.



რაფა ნადალი

გუშინდელ მატჩამდე ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 17:14 იყო ესპანელის სასარგებლოდ. ბოლო ორ სეზონში კი ეს ჩოგბურთელები ცხრაჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და თან ყველა ეს მატჩი ფინალში შედგა.

საბედნიეროდ, გუშინ, "ფორო იტალიკოს" თავზე აღარ განვიმებულა და თამაში ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა. არადა, ამინდის პროგნოზი არადამაიმედებელი იყო და ორგანიზატორებს სათადარიგო გეგმაც ჰქონდათ მომზადებული – მატჩი დახურულ კორტზე, ჰარდის საფარზე მაყურებლების გარეშე ჩაივლიდა.

პირველივე წუთიდან ცხადი გახდა, რომ წინ გველოდა ჯოკოვიჩისა და ნადალის კლასიკური დაპირისპირება. აქ იყო სწრაფი ტემპი, ბეიზლაინზე გრძელი გათამაშებები, ინიციატივის ხელიდან ხელში გადასვლა, დაძაბული გეიმები და სხვა ატრიბუტი. ასევე ჩანდა განსხვავება შარშანდელ ფინალთან. მაშინ ჯოკოვიჩი ალმავლობის გზაზე იყო, მას ზურგს უმაგრებდა გამარჯვებათა ბრწყინვალე სერია და ეს დამაჯერებლობა ნოვაკს ძალიან აქტიურ თამაშში ეხმარებოდა. წლევანდელ გრუნტის სეზონში კი სიტუაცია შეიცვალა როგორც ფსიქოლოგიური, ასევე სათამაშო თვალსაზრისით. ნადალი იშვიათად აძლევდა მეტოქეს ინიციატივას. პერიოდულად სერბი დაცვაში უშვებდა მეტოქეს, მაგრამ ესპანელი ყოველთვის მზად იყო კონტრშეტევისთვის.

საერთო ჯამში, პირველ სეტში არც ერთს განსაკუთრებული უპირატესობა არ ჰქონია. ნადალმა პირველმა გააკეთა ბრეიკი, მაგრამ ჯოკოვიჩმა მალე აღადგინა თანაფარდობა. შემდეგ მატჩის გარკვეული მონაკვეთი უპირატესობა ნოვაკს გააჩნდა – ის დამაჯერებლად იღებდა თავის მოწოდებას და მეტოქის გეიმებში ბრძოლას მართავდა, თუმცა სეტბოლამდე ვერ მიაღწია. მე-11 გეიმში მსოფლიოს პირველი ჩოგანი მოდუნდა, ზედიზედ რამდენიმე შეცდომა დაუშვა, რის შემდეგაც ბრეიკ-პოინტზე რაფამ ბრწყინვალედ ითამაშა. გაბრაზებულმა სერბმა ჩოგანი დაამსხვრია (ამ ტურნირზე უკვე მეორედ), თუმცა ემოციების აქტიურად გამოხატვა ნოვაკს საპასუხო ბრეიკის გაკეთებაში ვერ დაეხმარა და პარტია ნადალმა 7:5 მოიგო.

მეორე სეტში რაფაელმა გააგრძელა თავისი წარმატებული სერია და მაშინვე ბრეიკი გააკეთა, თუმცა შემდეგ ჯოკოვიჩმა მოახერხა ვარდნის შეჩერება და თანდათან დაიბრუნა საკუთარი თამაში. სერბს საპასუხო ბრეიკის რამდენიმე შესანიშნავი შანსი ჰქონდა, მაგრამ ბრეიკპოინტებზე უფრო ხშირად ის უშვებდა შეცდომებს. რა თქმა უნდა, ნადალიც შესანიშნავად თამაშობდა და მეტოქეს რისკზე წასვლას აიძულებდა. მთელმა სეტმა სწორედ ჯოკოვიჩის უშედეგო მცდელობებში ჩაიარა, პარტიის ბოლოს კი ნადალმა კიდევ ერთხელ აილო მეტოქის მოწოდება, რაშიც ჯოკოვიჩის ორმაგი შეცდომა დაეხმარა – 6:3.

ესპანელმა რომში მეექვსე, კარიერაში კი 49-ე ტიტული დაიმსახურა. ასე რომ, როლან გაროსზე შესაძლო ტრიუმფი 50-ე იქნება. რომში გამარჯვების წყალობით რაფამ რეიტინგში მეორე ადგილი დაიბრუნა, რომელიც გასულ კვირას დაკარგა. გარდა ამისა, ესპანელი თავის საყვარელ ტურნირს საკუთარ თავში დაჯერებული ხვდება.

**Internazionali BNL d'Italia**

რომი (იტალია). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 2 168 500 დოლარი

**1/2 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1) 7:5, 6:3.

## რეიტინგები

| ATP | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 11 800 |
| 2(3). რაფაელ ნადალი (ესპ) | 10 060 |
| 3(2). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 9 790 |
| 4(4). ენდი მიურეი (ბრიტ) | 7 500 |
| 5(5). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 4 965 |
| 6(6). დავიდ ფერერი (ესპ) | 4 640 |
| 7(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 4 500 |
| 8(8). იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 3 010 |
| 9(9). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 2 910 |
| 10(11). მარდი ფიში (აშშ) | 2 625 |
| 11(10). ჯონ ისნერი (აშშ) | 2 620 |
| 12(12). ჟილ სიმონი (საფ) | 2 615 |
| 13(14). გაელ მონფილსი (საფ) | 2 165 |
| 14(13). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 095 |
| 15(15). ხუან მონაკო (არგ) | 1 945 |
| 16(16). ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 1 765 |
| 17(17). ფელისიანო ლოპესი (ესპ) | 1 725 |
| 18(19). კეი ნიშიკორი (იაპ) | 1 690 |
| 19(18). ა. დოლგოპოლოვი (უკრ) | 1 665 |
| 20(22). რიშარ გასკე (საფ) | 1 600 |

| WTA | |
|---|---|
| 1(1). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 9 020 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 8 390 |
| 3(3). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 7 080 |
| 4(4). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 6 275 |
| 5(6). სერენა უილიამსი (აშშ) | 5 695 |
| 6(5). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 5 440 |
| 7(9). ნა ლი (ჩინ) | 4 965 |
| 8(7). მარიონ ბარტოლი (საფ) | 4 870 |
| 9(8). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 4 586 |
| 10(11). ანჟელიკ კერბერი (გერ) | 3 560 |
| 11(10). ვერა ზვონარევა (რუს) | 3 440 |
| 12(13). საბინ ლისიცკი (გერ) | 3 012 |
| 13(15). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 975 |
| 14(14). ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 2 940 |
| 15(12). ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) | 2 921 |
| 16(17). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 2 635 |
| 17(16). მარია კირილენკო (რუს) | 2 475 |
| 18(18). დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2 355 |
| 19(19). რობერტა ვინჩი (იტა) | 2 320 |
| 20(21). ფლავია პენეტა (იტა) | 2 315 |

| ATP. ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 4 006 402 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 3 368 954 |
| 3. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 3 229 009 |
| 4. დავიდ ფერერი (ესპ) | 1 238 783 |
| 5. ენდი მიურეი (ბრიტ) | 1 229 361 |
| 6. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 1 123 515 |
| 7. ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 1 092 185 |
| 8. ჯონ ისნერი (აშშ) | 803 736 |
| 9. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 733 051 |
| 10. იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 649 315 |
| 11. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 629 202 |
| 12. რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 606 613 |
| 13. ჟილ სიმონი (საფ) | 604 122 |
| 14. ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 582 808 |
| 15. მილოშ რაონიჩი (კან) | 561 938 |
| 16. იურგენ მელცერი (ავსტრია) | 472 777 |
| 17. რიშარ გასკე (საფ) | 471 067 |
| 18. ხუან მონაკო (არგ) | 438 010 |
| 19. კეი ნიშიკორი (იაპ) | 416 900 |
| 20. ლეანდერ პაესი (ინდ) | 404 788 |

| WTA. ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 4 525 146 |
| 2. მარია შარაპოვა (რუს) | 2 680 090 |
| 3. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 1 905 323 |
| 4. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 267 640 |
| 5. სარა ერანი (იტა) | 819 759 |
| 6. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 682 324 |
| 7. ნა ლი (ჩინ) | 662 763 |
| 8. პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 635 625 |
| 9. რობერტა ვინჩი (იტა) | 631 070 |
| 10. ანჟელიკ კერბერი (გერ) | 612 443 |
| 11. იულია გორჯესი (გერ) | 553 718 |
| 12. მარიონ ბარტოლი (საფ) | 542 519 |
| 13. სამანტა სტოსური (ავსტრა) | 519 449 |
| 14. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 513 691 |
| 15. ეკატერინა მაკაროვა (რუს) | 491 432 |
| 16. ანა ივანოვიჩი (სერ) | 484 890 |
| 17. მარია კირილენკო (რუს) | 472 858 |
| 18. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 419 336 |
| 19. ვერა ზვონარევა (რუს) | 397 076 |
| 20. ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) | 392 835 |

ფორმულა 1


ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლ დი რესტა

# შუმის შემცვლელი უპოვეს?

გერმანულმა საჯინიბომ "მერსედესმა" დაადასტურა "ფორს ინდიას" შოტლანდიელი პილოტის – **პოლ დი რესტას** მიმართ ინტერესი.

"რა თქმა უნდა, დი რესტა იმყოფება ჩვენი თვალთახედვის არეში, - აღნიშნა "მერსედესის" ალმასრულებელმა დირექტორმა **ნიკ ფრაიმ**. – ის ფანტასტიკურ სამუშაოს ატარებს და ბრწყინვალე გუნდური მოთამაშეა. და თუ მიხაელ შუმახერი ამ სეზონის შემდეგ რბოლებიდან წასვლას გადაწყვეტს, მაშინ შოტლანდიელი მისი ადგილის დაკავების მთავარი პრეტენდენტი გახდება. მაგრამ სანამ შუმი გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მართლაც აღფრთოვანებული ვართ იმით, როგორ ასრულებს პოლი თავის სამუშაოს".

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი **ნიკოლოზ ნეფარიძე**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50
მისამართი: **ოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608